საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი

2019 / № 3

არქეოლოგია

№ 3

THE SCIENTIFIC JOURNAL OF THE UNIVERSITY OF GEORGIA

ARCHAEOLOGY

არქეოლოგია / ARCHAEOLOGY

სამშვილდის ნეოლითური ინდუსტრია

ქვის იარაღის წარმოების ანალიზი

YOCOCU 2020

Youth in Conservation of Cultural Heritage

საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი 2019

საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო
ჟურნალი

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა

III

A R C H A E O L O G Y

The Scientific Journal of the University of Georgia

თბილისი

Tbilisi

2019

საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი
International Archaeological Center of the University of Georgia
www. archaeology.ge

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, საქართველო

Printed at The University of Georgia
Tbilisi, Georgia

საავტორო უფლებები© 2019 ეკუთვნის საქართველოს უნივერსიტეტს. ყველა სახის ციფრული ან ბეჭდური სახით გავრცელება წინამდებარე ჟურნალში არსებული სტატიებისა და ფოტო-ვიზუალური მასალისა კომერციული მოგების მიზნით საქართველოს უნივერსიტეტთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია.

Copyright © 2019 All right reserved by the University of Georgia. Permission to make digital or hard copies of part or all of this work for personal or classroom use is granted without fee provided that copies are not made or distributed for profit or commercial adventage.

ჟურნალში წარმოდგენილი სამეცნიერო აზრები და შეხედულებები ეკუთვნით ავტორებს. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა პასუხს არ აგებს სტატიების სამეცნიერო შინაარსზე.

No responsibility for the views expressed by authors in the ,,Archaeology" scientific journal of the University of Georgia is assumed by the editors or the publisher.

„არქეოლოგია“ საქართველოს
უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი,
საქართველოს უნივერსიტეტი.
საქართველო, თბილისი. 0175
მ. კოსტავას 77ა, კორპუსი IV
ტელ: (+995 99) 319915

,,Archaeology" Scientific journal
of the University of Gerogia,
The University of Georgia.
Georgia. Tbilisi. 0175
M. Kostava Street 77, Building IV
Tel: (+995 99) 319915

Email: ug@ug.edu.ge

ყველა საავტორო უფლება დაცულია © 2019
Copyright © 2019
ISSN 2449-2922

საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი "არქეოლოგია"
"Archaeology" the scientific journal of the University of Georgia

სამეცნიერო რედაქტორი Scientific Editor	დავით ბერიკაშვილი David Berikashvili
ტექნიკური რედაქტორი Managing Editor	ნინო სუარიძე Nino Suaridze
ყდის დიზაინერი Designer	მარი ვერულაშვილი Mari Verulashvili
რედაქტორი Editor	მარინა ჟღენტი Marina Zhgenti

სარედაქციო საბჭო
Editorial Board

დავით ლომიტაშვილი David Lomitashvili	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia
გურამ გრიგოლია Guram Grigolia	ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი Iv. Javakhishvili Tbilisi State University
დარეჯან კაჭარავა Daredjan Kacharava	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum
იულონ გაგოშიძე Julon Gagoshidze	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum
ვახტანგ ლიჩელი Vakhtang Licheli	ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი Iv. Javakhishvili Tbilisi State University
მინდია ჯალაბაძე Mindia Jalabadze	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum
ლევან ჭაბაშვილი Levan Tchabashvili	საქართველოს უნივერსიტეტი The University of Georgia
ნიკოლოზ მურღულია Nikoloz Murgulia	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum

სარჩევი
Contents

ლევან ჭაბაშვილი
Levan Tchabashvili
არქეოლოგიის სტრატიგრაფიის მეთოდი და „ჰერისის მატრიცა“.....8
Archaeological stratigraphy and Harris Matrix.....19
ანა თეთრუაშვილი
Ana Tetruashvili
ტყავის დასამუშავებელ
ი იარაღი (ძეგლ იანკიტო 2-ის მასალების მიხედვით)..... 21
Tool for leather working (According to the materials from the site Yankito 2)..... 29
მარიამ ელოშვილი
Mariam Eloshvili
ძვლის დამუშავების ტექნიკები გადაჭრილი გორიდან..... 30
Worked Bone Techniques from Gadachrili Gora..... 41
გიორგი მწყერაძე
Giorgi Mtskeradze
კოლხურ თეთრზე არსებული გამოსახულებების გენეზისის საკითხისათვის..... 43
For the genesis of images on the Colchian White..... 52
ნინო გაბელაია
Nino Gabelaia
ბრინჯაოს ხანის მასალა სამშვილდის უახლესი გათხრებიდან..... 53
Bronze Period Material from the Recent Excavations in Samshvilde..... 58
დავით დოლაბერიძე
David Dolaberidze
შულავერ - შომუ თეფეს კულტურის ახალი ქვის მასალა მარნეულის ველიდან..... 59
New stone artifacts of Shulaveri-Shomu Tepe Culture from the Marneuli Valley..... 75
მარიამ გაბისონია
Mariam Gabisonia
შუა საუკუნეების ადგილობრივი მხატვრული კერამიკა სამშვილდედან..... 77
An artistic pottery of high medieval centuries from Samshvilde..... 84
შოთა თვალაძე
Shota Tvaladze
მინის ნივთები სამშვილდედან..... 85
Glass items from Samshvilde..... 91
ლევან კვახაძე
Levan Kvakhadze
სამშვილდის ნეოლითური ინდუსტრია (ქვის ნედლეულის წარმოების სრული ციკლის პროცენტული ანალიზი და აღწერა-დახასიათება)..... 93
Neolithic industry of Samshvilde (Percentage analysis and description - characterization of the full cycle of stone raw material production).....105

ლევან ლოსაბერიძე
Levan Losaberidze
დამირგაია - კლდის მხატვრობის უცნობი ძეგლი სამხრეთ საქართველოდან..... 109
Damirgaya – Unknown Rock Art site from Southern Georgia..... 118
დავით ბერიკაშვილი *იზაბელ კუპალი*
David Berikashvili *Isabelle Coupal*
ახლად აღმოჩენილი გვიან ბრინჯაოს ხანის სამარხი სამშვილდის ციტადელიდან.....120
Recently Discovered Late Bronze Period Burial from Samshvilde Citadel..... 135
ალვარო იგუერასი
Alvaro Higueras
Yococu-international - ისა და საქართველოს უნივერსიტეტის პარტნიორობა
კულტურული მემკვიდრეობისათვის..... 138
University of Georgia & YOCOCU Partnership: Envisioning a new future for cultural heritage in Georgia..... 145
ინტერვიუ არქეოლოგ ვახტანგ ჯაფარიძესთან 150

„არქეოლოგია“-ს მესამე ტომში, სამეცნიერო სტატიების სახით ქვეყნდება 2018 წელს, ახალგაზრდა არქეოლოგთა მესამე სამეცნიერო კონფრენციაზე წაკითხულ მოხსენებათა შინაარსები.

სტატიები ქრონოლოგიურად ვრცელ დიაპაზონს ფარავს და მოიცავენ პერიოდს ქვის ხანიდან, ვიდრე შუა საუკუნეებამდე. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რიგი სტატიები სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომების შემცირებულ ვერსიას წარმოადგენენ და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვთ ახალი არქეოლოგიური მასალა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჟურნალში წარმოდგენილი რამდენიმე სტატიის ავტორი დებიუტანტია და ახლა იწყებს პროფესიულ კარიერას. შესაბამისად, მათი სტატიები ხასიათდება დამწყებ მეცნიერთათვის დამახასიათებელი თხრობის სტილით, ტერმინოლოგიითა და ხასიათით. მიუხედავად ამისა, „არქეოლოგია“ სიამოვნებით უთმობს მათ საპუბლიკაციო სივრცეს და აძლევს საშუალებას განივითარონ საჭირო უნარ-ჩვევები და ჩამოყალიბდნენ პროფესიონალ მკვლევრებად.

გარდა ამისა, ჟურნალში ტრადიციულად ადგილი ეთმობა რუბრიკებს - „პროექტი“ და „ინტერვიუ“. წარმოდგენილია საერთაშორისო ორგანიზაციის Yococu International-ის პროექტი, რომელიც მთლიანად განსაზღვრულია კულტურული მემკვიდრეობის სფეროსა და ამავე სფეროში ჩართულ ახალგაზრდა მკვლევართათვის. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს სწორედ საქართველო უმასპინძლებს აღნიშნული ორგანიზაციის რიგით მეექვსე საერთაშორისო ფორუმს.

„არქეოლოგიის“ მესამე ნომერს სტუმრობს ცნობილი ქართველი არქეოლოგი, პროფესორი ვახტანგ ჯაფარიძე. იგი მისთვის დამახასიათებელი საინტერესო თხრობის სტილით იხსენებს მონაკვეთებს საკუთარი მრავალწლიანი მოღვაწეობიდან და გადმოსცემს შეხედულებებს ქართული არქეოლოგიის დღევანდელი მდგომარეობისა და მომავალის შესახებ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა ჟურნალ „არქეოლოგია“-ს მესამე ნომერი არ არის დაზღვეული ხარვეზებისაგან. აღნიშნულთან დაკავშირებით ყველა რჩევა და საქმიანი რეკომენდაცია სავსებით მისაღებია.

დავით ბერიკაშვილი

არქეოლოგიის სტრატიგრაფიის მეთოდი და „ჰერისის მატრიცა“

ჭაბაშვილი ლევან,
საქართველოს უნივერსიტეტი
tchabashvili@yahoo.com

შესავალი

არქეოლოგიური სტრატიგრაფია წარმოადგენს მეთოდს, რომელიც არქეოლოგიური ძეგლის აგებულების, სტრატიგრაფიული ერთეულების ურთიერთმიმართების შესასწავლად და მისი ინტერპრეტაციისთვის გამოიყენება. სტრატიგრაფია მეთოდოლოგიურ პრინციპად გეოლოგიაში ჩამოყალიბდა და განვითარდა. თუმცა დროთა განმავლობაში დადასტურდა, რომ არქეოლოგიას საკუთარი სტრატიგრაფიული მეთოდიკა სჭირდებოდა. არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც ადამიანის მოქმედების შედეგადაა წარმოქმნილი განსხვავდება იმ ფენომენისგან რაც ბუნებრივად წარმოიშვება და რაც გეოლოგიის შესწავლის ობიექტია. არქეოლოგიური სტრატიგრაფიის მეთოდის სრულყოფაში დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე ინგლისელმა მეცნიერმა ე. ს. ჰერისმა. ამ პიროვნების სახელს უკავშირდება ასევე ე.წ. „ჰერისის მატრიცა“, რომელსაც არქეოლოგიური სტრატიფიცირების გრაფიკული გამოსახულების შესადგენად მიმართავენ და პრაქტიკულად ყველა თანამედროვე არქეოლოგიურ გათხრებზე გამოიყენება.

ტერმინების განმარტება

ტერმინი „სტრატიგრაფია“ მომდინარეობს ლათინური stratum - ფენას და ბერძნული graphos, რაც წერას / აღწერას ნიშნავს. ამრიგად ეს არის სწავლება ფენების, შრეების, დაშრევების შესახებ.

არქეოლოგიაში სტრატიგრაფიული მეთოდის კონტექსტში საქმე გვაქვს რამდენიმე ცენტრალურ ცნებასთან: სტრატიფიცირება, სტრატიგრაფია, სტრატიგრაფიული ერთეული და სტრატიგრაფიული თანმიმდევრობა.

არქეოლოგიური სტრატიფიცირება ანუ, სხვა სიტყვებით, სტრატიფიცირებული არქეოლოგიური ძეგლი წარმოადგენს ფენების ან სხვა სტრატიგრაფიის ერთეულების თანმიმდევრობას, რომლის წარმოქმნა ადამიანთან და მის საქმიანობასთან არის დაკავშირებული. თუმცა, ზოგჯერ შესაძლებელია, რომ სტრატიგრაფიული ერთეულები ბუნებრივი პროცესების შედეგად იყოს წარმოქმნილი. მაგალითად, უნდა წარმოვიდგინოთ ბუნებრივი პროცესებისგან ფენების დაშრევების ფაქტი, რომელიც მიტოვებულ ნამოსახლარზე ხორციელდება.

არქეოლოგიური სტრატიფიცირების ერთ-ერთი მაგალითია - გორასამარხი, სადაც რამდენიმე სტრატიგრაფიული ერთეულია წარმოდგენილი [Eggert. 2008. 178].

არქეოლოგიური სტრატიფიცირების თვალსაჩინო მაგალითს საქართველოს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდან წარმოადგენს მრავალფენიანი ნამოსახლარი დიდი-გორა, იგივე ასანურის-გორა. ნამოსახლარი მდებარეობს ალაზნის ველზე, იგის შეისწავლებოდა 1997-1999 წლებში. ეს არის დაახლოებით 200 მ. დიამეტრისა და 5 მ. სიმაღლის ხელოვნური ბორცვი. ნამოსახლარზე წარმოდგენილია



ტაბ. 1.

უწყვეტად ყველა ფენა ქრ. შობამდე III ათასწლეულის შუახანებიდან ვიდრე I ათასწლეულის დასაწყისამდე. ნამოსახლარზე სულ გაითხარა ორი თხრილი. მეორე თხრილის დასავლეთ პროფილში კარგად ჩანს ერთმანეთზე განლაგებული ფენები, რომლებიც თითქმის ორიათასწლოვან უწყვეტ ცხოვრებას ასახავს [Korfmann et. al. 1999. 537-543, ტაბ. 5]. (ტაბ. 1).

ცნება „არქეოლოგიური სტრატიგრაფია“ გულისხმობს არქეოლოგიური სტრატიფიცირების აღწერას, შესწავლას და ინტერპრეტაციას. კონკრეტული არქეოლოგიური ძეგლის ინდივიდუალური თავისებურებები ვერაფერს ცვლის იმ რეალობაში რომ ყველა სტრატიფიცირებისთვის არსებობს ძირითადი სტრატიგრაფიული კანონი.

სტრატიგრაფიული ერთეული ნიშნავს სტრატიფიცირებაში შემავალ ყველა ერთეულს, იქნება ეს ჰორიზონტალურად განლაგებული ფენა, ორმო, სარის ფოსო თუ სხვა.

ტერმინი სტრატიგრაფიული თანმიმდევრობა ნიშნავს ფენების და სხვა სტრატიგრაფიული ერთეულების თანმიმდევრობას. აქ ერთმანეთისგან განასხვავებენ „ერთხაზოვან“ და „მრავალხაზოვან სტრატიგრაფიულ თანმიმდევრობებს“.

მხოლოდ ძალიან მარტივად სტრუქტურირებულ არქეოლოგიურ ძეგლებს გააჩნიათ ერთხაზოვანი სტატიგრაფიული თანმიმდევრობა. აქ იგულისხმება სტრატიფიცირება სადაც სტატიგრაფიული ერთეულები დაშრევების ერთადერთ ჯაჭვში არიან წარმოდგენილი (ტაბ. 2). არქეოლოგიაში ეს წესს კი არა, არამედ გამონაკლისს წარმოადგენს. არქეოლოგიური ძეგლებისთვის როგორც წესი მრავალხაზოვანი სტრატიგრაფიული თანმიმდევრობაა დამახასიათებელი. ის განპირობებულია იმ ფაქტით, რომ არქეოლოგიურ ძეგლზე, თავის დროზე, ადამიანის საქმიანობა, ზოგჯერ, მთელ ფართობს მოიცავდა და ზოგჯერ მხოლოდ მის ნაწილს. ამის შედეგად ერთი არქეოლოგიური ძეგლის მაგალითზე თავს იყრის მეტნაკლები რაოდენობის სტრატიგრაფიული თანმიმდევრობა [Eggert. 2008. 178-179]. (ტაბ. 3).



ტაბ. 2.



ტაბ. 3.

სტრატიგრაფიული მეთოდის ისტორია

ცნობილია, რომ სტრატიფიცირების ფენომენი ე.ი. ფენების თანმიმდევრობა (ლათ. stratum - ფენა) გეოლოგიაში იქნა აღმოჩენილი და მეთოდოლოგიურ პრინციპად გეოლოგიაში ჩამოყალიბდა. ამასთან ერთად იმ მეცნიერთა მხრიდან პალეონტოლოგიით დაინტერესებამ რომლებიც დაკავებული იყვნენ ამ საქმიანობით, გარკვეული როლი ითამაშა, რადგანაც ფოსილიების შემცველობა შესასწავლ ქანებში თავიდანვე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო და არის ამ ქანების ინტერპრეტაციის საქმეში [Eggert. 2008. 178-179].

დანიელი ბუნებისმეტყველი და ექიმი, შემდგომში კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსი ნილს სტენსენი (1638-1686 წწ.) ყველა სახელმძღვანელოში მოიხსენიება როგორც „სტრატიგრაფიის ძირითადი კანონის“ ფუძემდებელი.

ნიკოლაუს სტენონისი (Nicolaus Stenonis) – ან სტენო (ლათინურად) ამბობს რომ ბუნებრივი ქანების წარმოშობისას ქანი ქანს მოსდევს, ისე რომ თუ ეს თანმიმდევრობა სხვა გარემოებით არ არის დარღვეული, მაშინ ასაკით გვიანდელი ანუ ახალგაზრდა ქანი ზემოდან ადევს ადრინდელ, ანუ ძველ ქანს.

სტენო გეოლოგიური ქანების ინტერპრეტაციისას ასევე ეყრდნობა ამ ქანებში შემორჩენილი ფოსილიების შესწავლასაც.

1667 წელს გამოცემულ პუბლიკაციაში, ჩამოყალიბებულია დაშრევების კანონიც. მისი ეს პუბლიკაცია გეოლოგიაში პირველ ფუნდამენტურ გამოკვლევად მიიჩნევა.

აღსანიშნავია ასევე კიდევ რამდენიმე მეცნიერი. კერძოდ ინგლისელი ვილიამ სმიტი (William Smith 1769-1839) და შოტლანდიელი ჩარლზ ლიელი (Charles Lyell 1797-1875).

ინჟინერი და გეოლოგი სმიტი XIX საუკუნის დასაწყისში დაკვირვებებს აწარმოებდა სამხრეთ ინგლისში ერთ-ერთი არხის მშენებლობაზე. ის აკვირდებოდა იმ ფაქტს, რომ ქანების მონაცვლეობა მთელს ამ ტერიტორიაზე მსგავსი იყო და რომ ყველა ქანს გააჩნდა მისთვის დამახასიათებელი ფოსილიები.

აღსანიშნავია, რომ სმიტმა, რომელსაც “Strata-Smith” -ს უწოდებდნენ ამ აღმოჩენით და პუბლიკაციით წარმოადგინა ისეთი გეოლოგიური ქანების კორელაციის საფუძველი რომლებიც ერთმანეთთან ლითოლოგიურად და ნიადაგის კრიტერიუმების მიხედვით იყვნენ დაკავშირებული.

სტრატიფიცირებულად დაფიქსირებული ფოსილიების შემცველი ქანების კორელაცია დაფუძნებულია იმაზე, რომ ქანები, რომლებიც ხარისხობრივად და რაოდენობრივად ერთნაირ ფოსილიებს შეიცავენ, ამავე დროს ქრონოლოგიურადაც თანადროულები უნდა იყოს. სმიტის მიერ „ფოსილიების დახმარებით ქანების იდენტიფიკაციის“ პრინციპის აღმოჩენა შეიძლება განხილული იქნეს როგორც ბიოსტრატიგრაფიის დაარსება, რომელიც დაფუძნებულია ფოსილიების შემცველობის მიხედვით გეოისტორიული ქანების განლაგების წესრიგის განსაზღვრაზე.

ჩარლზ ლიელმა 1930 დან 1933 წლების შუალედში გამოაქვეყნა თავისი ცნობილი სამტომიანი ნაშრომი “Principles of Geology” ეს წიგნი ავტორის სიცოცხლეშივე თორმეტჯერ იქნა ხელახლა გამოცემული. ამ წიგნში სტრატიფიცირების პრინციპი და სტრატიგრაფიული მეთოდი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ის გეოლოგიასთანაა დაკავშირებული.

ლიელი დიდ ყურადღებას აქცევს ქანებში ფოსილიების შემცველობას. ასე განავითარა მან რელატიური ასაკის განსაზღვრის მეთოდი, რომელიც დაფუძნებული

იყო ფოსილიებსა და, ჯერ კიდევ არსებული, მოლუსკებს შორის კავშირსა და მის გამოკვლევაზე.

ამ მეთოდით მან დაადასტურა ქანების შესწავლისას წარმოშობილი ჰიპოთეზა, რომ ძალიან ძველ ქანებში მცირე რაოდენობით ფოსილიები აღმოჩნდება, რომლებიც დღეისათვის არსებულ სახეობებს შეესაბამება. ეს მაშინ, როდესაც ამ დამთხვევების რაოდენობა გეოლოგიურ პროფილში ქვემოდან ზემოთ მუდმივად იზრდება. ასე მაგალითად მან დაადასტურა, რომ მესამეული პერიოდის დასაწყისის ფოსილიების მხოლოდ 3,5 % შეესაბამება დღეისათვის არსებულ სახეობებს, ხოლო ამ ეპოქის დასასრულს ეს რიცხვი უკვე 90 % -ს აღწევს.

სტენოს, სმიტის და ლიელის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად ჩამოყალიბდა სტრატიგრაფიის საფუძვლები იმ კუთხით რომ შეიქმნა მეთოდი, რომელიც ქანების სივრცობრივი და ქრონოლოგიური განვითარების საკითხს განიხილავდა.

ეს მეთოდი დაფუძნებულია გადაშენებული და ცოცხალი ორგანიზმების „დინამიური“ განვითარების ისტორიულ კონცეფციაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ლიელის ნაშრომი “Principles of Geology” ის საშუალებით საბოლოოდ იქნა უარყოფილი კუვიერის (G. de Cuvier 1769-1832) მიერ წამოყენებული „კატაკლიზმების თეორია“, რომელიც გულისხმობდა სტრატიფიცირების კატაკლიზმების სახით წარმოშობას.

ამრიგად, აქ საქმე გვაქვს ფენომენ „აქტუალიზმთან“. ეს გამომდინარეობს იმ შეხედულებიდან, რომ ის გეოლოგიური პროცესები რომელიც დღეს მიმდინარეობს, პრინციპში არ განსხვავდება იმ პროცესებისგან, რომლებიც დედამიწის ადრეული ისტორიის განმავლობაში განხორციელდა და რომელთაც წარმოქმნეს ის ფორმაციები, რომლებიც ახლა გეოლოგიის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს.

ამ სამუშაო ჰიპოთეზით შესაძლებელი გახდა, რომ დღევანდელ აქტუალურ გეოლოგიურ ფაქტორებზე და პროცესებზე დაკვირვებითა და მათი შესწავლით შესაძლებელია დასკვნების გამოტანა ძველ დროში განხორციელებულ პროცესებზეც. ამრიგად, აქტუალიზმის ახსნა პრინციპში, დაფუძნებულია ანალოგიების წარმოშობაზე.

ესაა მოკლე სქემა გეოლოგიაში სტრატიგრაფიის მეთოდის წარმოშობაზე და იმ მნიშვნელობაზე რაც პალეონტოლოგიურმა ასპექტმა აქ წვლილი შეიტანა. უნდა ვახსენოთ ასევე დანიელი არქეოლოგები და მათ შორის ი.ი.ა. ვორსე, რომელიც გორასამარხებსა და ნიჟარების გროვებს იკვლევდა. მსგავსი ხაზით მიმდინარეობდა ასევე არქეოლოგიის განვითარება აშშ-ში. ვირჯინიის შტატის გუბერნატორმა თომას ჯეფერსონმა, რომელიც შემდეგ აშშ-ს მესამე პრეზიდენტი გახდა, ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლო მესამედში განახორციელა ამერიკის აბორიგენების გორასამარხების შესწავლა. სადაც ბრწყინვალე სტრატიგრაფიული დაკვირვებები განახორციელა. მან ეს შედეგები გამოაქვეყნა 1787 წელს გამოცემულ ნაშრომში ვირჯინიის შტატის შესახებ.

XIX საუკუნის ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში არქეოლოგიაში სტრატიგრაფიული მეთოდის განვითარება ძირითადად ანატოლიაში და საფრანგეთ-ში წარმოებული ინტენსიური არქეოლოგიური გათხრების შედეგად ხდებოდა. საფრანგეთში კვლევის ძირითად ობიექტს განამარხებული ადამიანი და გამოქვაბულებში არსებული არქეოლოგიური ძეგლები წარმოადგენდა. ამის საფუძველზე ედუარდ ლარტეს (Edouard Lartet 1801-1871) მიერ შემუშავებული და 1865 წელს გამოქვეყნებული პალეოლითის დაყოფის სისტემა, თავდაპირველად, მხოლოდ პალეონტოლოგიურად იყო დასაბუთებული.

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში იგი შეცვალა გაბრიელ დე მორტილიეს

(Gabriel de Mortillet 1821-1898) მიერ შემუშავებულმა სქემამ, რომელიც ძირითადად არქეოლოგიურ კრიტერიუმებზე იყო დაფუძნებული და რომელიც ლარტეს სისტემის მსგავსად სტრატიგრაფიულ დაკვირვებებს ეყრდნობოდა.

ანატოლიაში ჰაინრიხ შლიმანის (H. Schliemann 1822-1890) მიერ წარმოებულმა გათხრებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სტრატიგრაფიის მეთოდის საყოველთაოდ აღიარების საქმეში. ამ საქმესთან დაკავშირებით უდიდესია ვილჰელმ დორპფელდის (W. Dörpfeld 1853-1940) დამსახურება რომელიც 1882 წლიდან შლიმანის თანამშრომელი იყო ტროაში.

აღსანიშნავია ასევე რუდოლფ ვირხოვის (R. Virchow 1821-1902) დამსახურება. მან ამ დასახლების ისტორიის მნიშვნელობისთვის შლიმანის მიერ ტროაში გამოყენებული მუშაობის მეთოდი ძალიან მკაფიოდ ჩამოაყალიბა [Eggert. 2008. 163-168].

სტრატიგრაფიული მეთოდის პრინციპები

სტრატიგრაფიული მეთოდი დაფუძნებულია შემდეგ პრინციპზე:

1) A მდებარეობს B ზე
2) B მდებარეობს A ზე
3) A და B წარმოადგენს ერთი მთლიანობის ნაწილებს
4) A და B ერთმანეთს არ ეხება (ტაბ. 4).

სტრატიგრაფიის ორ ერთეულს შორის ფიზიკური კავშირი პირდაპირ კავშირშია ასევე მათ ქრონოლოგიურ თანაფარდობაზე. მათ შორის ქრონოლოგიური დამოკიდებულება ამ ოთხი ვარიანტიდან ერთ-ერთით განისაზღვრება:



ტაბ. 4.

1) A უფრო გვიანდელია (ახალგაზრდაა) ვიდრე B
2) B უფრო გვიანდელია (ახალგაზრდაა) ვიდრე A
3) A და B თანადროულებია
4) ქრონოლოგიური დამოკიდებულება A-ს და B-ს შორის არ დგინდება [Eggert. 2008. 168-169]. (სურ. 4).

არქეოლოგიური სტრატიგრაფიის მეთოდის შემუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ე. ს. ჰერისს (E. C. Harris). XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ინგლისში, ქალაქ ვინჩესტერის შუაგულში, იგი აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს და საქმე ჰქონდა არაჩვეულებრივად რთულ სტრატიფიცირებულ ძეგლთან. იგი განსაკუთრებული ინტენსივობით იყო დაკავებული სტრატიგრაფიული მეთოდის პრინციპებით.

მისი 1979 წელს გამოქვეყნებული დისერტაცია ამ საკითხთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი ნაშრომია. ეს პუბლიკაცია გადამუშავებული სახით 1989 წელს ხელმეორედ იქნა გამოცემული [Harris. 1989].

ჰერისმა სამართლიანად გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ რეალობაში არსებობს არქეოლოგიური სტრატიფიცირების შემთხვევები, როდესაც არქეოლოგიური ფენები არტეფაქტებს არ შეიცავს. მას უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ არქეოლოგიური სტრატიფიცირება ფენებში არქეოლოგიური მასალის შემცველობის გაუთვალისწინებლადაც არის შესასწავლი.

ჰერისი პირველი იყო, რომელმაც დაასაბუთა, რომ არქეოლოგიური სტრატიფიცირების შესასწავლად მხოლოდ გეოსტრატიგრაფიული პრინციპების გამოყენება არ იყო საკმარისი და, რომ არქეოლოგიას საკუთარი სტრატიგრაფიული მეთოდიკა სჭირდებოდა. თავის ნაშრომში ის ნათლად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ადამიანის მოქმედების შედეგად წარმოქმნილი არქეოლოგიური სტრატიფიცირება ძირეულად განსხვავდება იმ ფენომენისგან რაც ბუნებრივად წარმოიშობა და რასაც გეოლოგია შეისწავლის. უფრო კარგად დაკვირვებისას ცხადი გახდება, რომ ადამიანის მოქმედების შედეგად წარმოქმნილი სტრატიფიცირებები ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც მრავალფეროვანი გარეგნული სახით, ასევე იმით რომ ისინი სულ სხვადასხვაგვარ ადგილებში შეიძლება იყოს წარმოქმნილი. არქეოლოგიური სტრატიფიცირება შეიძლება წარმოიქმნას ნებისმიერ იმ ადგილას, სადაც ადამიანს უხდებოდა საქმიანობა. ადამიანის მიერ განხორციელებული ქმედებები მაგალითად – დაკრძალვა, სამშენებლო საქმიანობა, მარაგის შეგროვება, ნაგვის გადაყრა – წარმოშობს ისეთ სტრატიფიცირების ფაქტებს, რომელთაც არავითარი ბუნებრივი და შესაბამისად გეოლოგიური ექვივალენტი არ გააჩნიათ.

ჰერისმა ნათლად მიუთითა იმაზე, რომ არქეოლოგიური ფენების თანმიმდევრობა, გეოლოგიური ქანების თანმიმდევრობისგან განსხვავებით, ვერც ბუნებრივი პროცესების შედეგად და ვერც ადამიანის ჩარევით ისე ვერ შეიცვლება, რომ ქრონოლოგიურად ახალგაზრდა, უძრავი ფენა ძველი ფენის ქვეშ აღმოჩნდეს და ძველი ფენა ახალგაზრდა ფენის ზემოდან. ამით იგი სამართლიანად უპირისპირდება გეოლოგიაში ცნობილ ჰორიზონტალურ-ინვერსიული დაშრევების შედეგად განვითარებულ “შებრუნებული” თანმიმდევრობის კონცეფციის გადმოტანას არქეოლოგიურ ძეგლთან კავშირში.

არქეოლოგიის სტრატიგრაფიული მეთოდი დაფუძნებულია ოთხ წესსა თუ პრინციპზე, რომელიც პირველად ჰერისის მიერ იქნა ფორმულირებული სისტემატური სახით. ჰერისი ამას „სტრატიგრაფიულ კანონს“ ან „სტრატიგრაფიულ აქსიომას“ უწოდებს:

I. სტენოს „დაშრევების კანონი“ რომელიც გულისხმობს იმას, რომ დაშრევების პროცესში წარმოიქმნება ფენათა თანმიმდევრობა ისე, რომ ქრონოლოგიურად ახალგაზრდა ფენა ყოველთვის აღმოჩნდება ქრონოლოგიურად ძველი ფენის თავზე – თუკი, რა თქმა უნდა, ეს თანმიმდევრობა რაიმე ხელოვნური ჩარევის შედეგად არ არის დარღვეული.

II. „თავდაპირველი ჰორიზონტალურობის კანონი“ გულისხმობს იმას, რომ დაშრევების წარმოქმნის დროს ყველა ის მასალა რომელსაც არ აქვს მყარი პოზიცია (არ არის დამაგრებული სადმე) მიდრეკილია იქითკენ, რომ განთავსდეს მეტნაკლებად ჰორიზონტალურ ზედაპირზე.

III. „თავდაპირველი უწყვეტობის კანონის“ მიხედვით ყოველი არქეოლოგიური ფენა ან უფრო ადრეული ფენის ზედაპირი ფორმით გაიმიჯნება (შემოისაზღვრება) ან თანდათანობით თხელი ხდება და ამგვარად ქრება. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ფენას არ გააჩნია ასეთი მკვეთრი მიჯნა და, ამავე დროს, არც თანდათანობით ხდება მისი ზომის შემცირება სისქეში, მაშინ რაღაც სხვა განმარტება უნდა იქნეს ამისთვის მოძიებული.

IV. პირველი სამი წესი გეოლოგიიდან მომდინარეობს. ისინი ჯერ კიდევ სტენომ ჩამოაყალიბა. მეოთხე წესი / კანონი - ე.წ. სტრატიგრაფიული თანმიმდევრობის კანონი კი არქეოლოგიაში იქნა განვითარებული. ამ კანონის მიხედვით. სტრატიგრაფიულ თანმიმდევრობაში მისი მდებარეობის მიხედვით შესაძლებელია დადგენილი იქნეს ყველა იმ ფენის თუ სტრატიგრაფიული ერთეულის ქრონოლოგიური პოზიცია რომელიც მდებარეობს ქვედა (შედარებით ძველ) და ზედა (შედარებით გვიანდელ) ფენებს შორის. რომელიმე კონკრეტული ფენის სტრატიგრაფიული პოზიციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას თუ რა დამოკიდებულებაშია ეს ფენა იმ ფენებთან რომლებთანაც მას უშუალო შეხება აქვს, ყველა სხვა სტრატიგრაფიული კავშირები მისი პოზიციის დადგენისათვის მნიშვნელოვანი არ არის.

ეს ბოლო წესი გულისხმობს იმას, რომ სტრატიგრაფიული ერთეულების პოზიციური მდგომარეობიდან იქმნება მათი თანმიმდევრობა და აქედან გამომდინარე შესაძლებელი ხდება ამ სტრატიგრაფიული ერთეულების შედარებითი ქრონოლოგია დადგინდეს. ორ ფენას ან სხვა სტრატიგრაფიულ ერთეულებს შორის სტრატიგრაფიული კავშირები არქეოლოგიური ძეგლის სტრატიგრაფიული თანმიმდევრობის შემუშავების საფუძველს ქმნიან [Eggert. 2008. 169-175].

იმ შემთხევაში, თუკი რომელიმე არქეოლოგიურ ძეგლზე სტრატიფიცირება არის წარმოდგენილი (თუკი არქეოლოგიური ძეგლი სტრატიფიცირებულია) მაშინ სტრატიგრაფიულ მეთოდს ლოკალური ქრონოლოგიის შემუშავებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ აქ, როგორც უკვე ითქვა, გარკვევით უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, ფენების თანმიმდევრობა და მეორე მხრივ, ამ ფენებში დაფიქსირებული არქეოლოგიური მონაპოვრის შესწავლის მნიშვნელობა. სტრატიგრაფიულ ერთეულებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაპოვარი მასალის შესწავლას მაშინ აქვს მნიშვნელობა თუკი აუცილებელია, რომ განისაზღვროს იმ ფენების ერთმანეთთან ქრონოლოგიური დამოკიდებულება, რომელთაც ერთმანეთთან სტრატიგრაფიული კავშირი არ აქვთ. აქ შეიძლება საქმე ეხებოდეს, როგორც ერთი კონკრეტული არქეოლოგიური ძეგლის ფენებს, ასევე სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლების ფენებს.

სტრატიგრაფიასთან კიდევ ერთი ფენომენია დაკავშირებული ე.წ. stratigraphie comparee ანუ „შედარებითი სტრატიგრაფიის“ ფენომენი. სახელწოდება მომდინარეობს კლოდ შეფერის ფუნდამენტური ნაშრომიდან (1948), რომელსაც მისი გამოცემის დროს დიდი რეზონანსი ჰქონდა და ამის შემდეგ ეს სახელწოდება შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში. ამასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ასევე ვ. მილოჩიჩი (V. Milojčić), მის მიერ 1949 წელს შემუშავებული ევროპის ნეოლითის “შედარებით-სტრატიგრაფიული ქრონოლოგიური სისტემა”, რომელმაც თავის დროზე

შუა ევროპის ნეოლითური კულტურების აბსოლუტური ქრონოლოგიის განსაზღვრის საქმეში ძალიან დიდი როლი ითამაშა.

შედარებითი სტრატიგრაფია ნიშნავს სხვადასხვა რეგიონების რელატიური ქრონოლოგიის მონაცემების კორელაციას. თუმცა დღეისათვის, როდესაც ფართოდ გამოიყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიღწევები აბსოლუტური დათარიღების საქმეში, სულ უფრო იზღუდება დიდი რეგიონების მომცველი შედარებით-სტრატიგრაფიული ქრონოლოგიური სისტემების შემუშავების მცდელობები [Eggert. 2008. 179-180].

ჰერისის მატრიცა და მისი არსი

ჰერისი არქეოლოგიაში ჯერ კიდევ მისი ნაშრომის გამოქვეყნებამდე გახდა ცნობილი. ვინჩესტერის გათხრებთან დაკავშირებით მან განავითარა ე.წ. ჰერისის-ვინჩესტერის მატრიცა, რომელსაც შემდეგ ჰერისის მატრიცა ეწოდა. აქ საქმე ეხება სტრატიფიცირების გრაფიკულ გამოსახულებას.

ჰერისის მატრიცაში სტრატიგრაფიული ერთეულები, მაგალითად, ფენები გამოსახულია ოთხკუთხედი უჯრების სახით; ქრონოლოგიური დამოკიდებულება სტრატიგრაფიის ერთეულებს შორის კი ამ უჯრების შემაერთებელი ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ხაზებით გამოისახება. თვითოეულ ამ უჯრაში შემდეგ იწერება ფენების და სხვა სტრატიგრაფიული ერთეულების შესაბამისი ციფრები. ამ ციფრების შეტანა ხდება სტრატიფიცირების პრინციპის შესაბამისად, ისე რომ ყოველი უფრო ახალი (გვიანდელი) ფენა განთავსდება ძველი (ადრინდელი) ფენის ზემოთ, (ტაბ. 5.) ერთმანეთის თანადროული ფენები კი ერთ სიბრტყეზე (ტაბ. 8.).



ტაბ. 5.

ამგვარად, ჰერისის მატრიცის ფორმით შესაძლებელია ამა თუ იმ არქეოლოგიური ძეგლის მთელი სტრატიგრაფიცირების გრაფიკული გამოსახვა.

ჰერისის მატრიცის აგებულება დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ ორ სტრატიგრაფიის ერთეულს შორის შესაძლებელია მხოლოდ სამი ქრონოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების ვარიანტი და კიდევ ერთი ვარიანტი, როდესაც მათი ქრონოლოგიური დამოკიდებულება ვერ განისაზღვრება. ამრიგად, შეიძლება არსებობდეს: ერთხაზოვანი სტრატიგრაფიული თანმიმდევრობა და შესაბამისი მატრიცა (ტაბ. 6.), მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა ასე მარტივად სტრუქტურირებული არქეოლოგიური ძეგლები ფაქტობრივად არ არსებობს და შედარებით რთული სტრატიფიცირება (ტაბ. 7). ორხაზოვანი სტრატიფიცირება, სადაც ზედა ფენა საერთოა ორივე სტრატიგრაფიული თანმიმდევრობისთვის. შესაძლებელია რომ შეგვხვდეს ასევე სხვა ტიპის მრავალხაზოვანი სტატიგრაფიული თანმიმდევრობები და შესაბამისი მატრიცები (ტაბ. 8).



ტაბ. 6.



ტაბ. 7.



ტაბ. 8.

მატრიცა, როგორც ასეთი, არსებული სტრატიგრაფიული თანმიმდევრობის გამოსახვაა და არა ცალკეულ სტრატიგრაფიულ ერთეულებს შორის ყველა არსებული ფიზიკური კავშირებისა.

იმის მცდელობა, რომ ცალკეული ერთეულების ფიზიკური შეხება კავშირის ხაზებით გამოვსახოთ მიგვიყვანს ქაოტურ სურათამდე, სადაც მრავალი ხაზი ერთმანეთს კვეთს და ამ შემთხვევაში ვერ მოვიპოვებთ ვერანაირ საყრდენს სტრატიგრაფიული მდგომარეობის შესახებ [Eggert. 2008. 175].

არქეოლოგიური გათხრების დროს შედგენილი ჰერისის მატრიცა არის მუდმივი კონტროლის მექანიზმი. ზოგიერთი პოტენციური სტრატიგრაფიული უზუსტობები, რომლებიც სხვა შემთხვევაში მხედველობიდან გამოგვრჩებოდა, ჰერისის მატრიცაში მათი შეტანის შემთხვევაში ადვილად აღმოვაჩენთ [Klonk. 1994. 20.4].

ჰერისის მატრიცის აგება, როგორც წესი, თვით გათხრების მიმდინარეობის დროს წარმოებს. ამისთვის საჭიროა წინასწარ მომზადებული უბრალო ტაბულა, რომელშიც უჯრები შეივსება. თუმცა არსებობს ასევე სპეციალური კომპიუტერული პროგრამებიც მაგალითად Harris Matric Composer, Stratify და სხვა.

ჰერისის მატრიცა წარმატებით გამოიყენეს ტროაში, გათხრების დასრულების შემდეგ სტრატიგრაფიული მონაცემების ანალიზისთვის [Becks., Blum. 2014].

გათხრების წარმოების დროს, ჰერისის მატრიცა დამხმარე საშუალებას წარმოადგენს, მრავალფენიანი ძეგლის სტრატიგრაფიული ერთეულების ურთიერთმიმართების გასარკვევად და დასაფიქსირებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

Becks, R. Blum, St. W. E. (2014). *Methoden der prähistorisch-archäologischen Ausgrabung und stratigraphischen Analyse in Troia.* Studia Troica, Monographien 5. Bonn.

Eggert, M.K.H. (2008). *Prähistorische Archäologie Konzepte und Methoden*. Tübingen.

Harris, E.C. (1989). *Principles of of Archaeological Statigraphy*. London-San Diego-New York.

Korfmann, M., Pizchelauri, K., Jablonka. P. (1999). *Vorbericht zu den Ausgrabungen in der Siedlung Didi-Gora, Ostgeorgien, 1997 und 1998*. Studia Troica 9.

Grabungstechnik, H. d. (1994). *Dieter Klonk (Hrsg.)*. Tübingen.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. 1. ნამოსახლარ დიდი გორას 2-ე თხრილის დასავლეთ პროფილი. Korfmann et. al. 1999 -ის მიხედვით. ტაბ. 5.

ტაბ. 2. ერთხაზოვანი სტრატიფიცირების მაგალითი. Eggert 2008-ის მიხედვით. ტაბ. 34A.

ტაბ. 3. მრავალხაზოვანი სტრატიფიცირების მაგალითები. Eggert 2008-ის მიხედვით. ტაბ. 34B, 34C.

ტაბ. 4. სტრატიფიცირების ძირითადი მაგალითები. Eggert 2008-ის მიხედვით. ტაბ. 33.

ტაბ. 5. ჰერისის მატრიცის აგების მაგალითი. Eggert 2008-ის მიხედვით. ტაბ. 35.

ტაბ. 6. ერთხაზოვანი სტრატიგრაფიული თანმიმდევრობა და შესაბამისი მატრიცა. Eggert 2008-ის მიხედვით. ტაბ. 34A.

ტაბ. 7. მრავალხაზოვანი სტრატიგრაფიული თანმიმდევრობა და შესაბამისი მატრიცა. Eggert 2008-ის მიხედვით. ტაბ. 34B.

ტაბ. 8. მრავალხაზოვანი სტრატიგრაფიული თანმიმდევრობა და შესაბამისი მატრიცა. Eggert 2008-ის მიხედვით. ტაბ. 36.

Archaeological stratigraphy and Harris Matrix

Tchabashvili Levan,
The University of Georgia
tchabashvili@yahoo.com

Summary

Archaeological stratigraphy method is reviewed in the article. The terms related to this method and the history of this method are discussed in the beginning. It was initially established and developed in geology and was later used in archaeology. The stratigraphy method of modern archaeology differs from the method used in geology. Archaeological monument created as a result of human action differs from the phenomenon which is created naturally and is the object of study of geology. Accordingly, the archaeological stratigraphy method differs from geology stratigraphy method. A modern English scientist E. C. Harris made a great contribution to improvement of the archaeological stratigraphy method.

Archaeological stratigraphy method is based on four rules or principles which were initially formed by Harris in a systematic form. Harris refers to it as the "Stratigraphic Axiom".

I. "Law of Superposition" proposed by Steno which implies that a sequence of layers is created in the process of creation of superposition in such manner that a chronologically young layer is always placed above the old layer, of course, if this sequence is not violated as a result of artificial intervention.

II. "Law of Original Horizontality" implies that all materials which do not have a solid position (are not fixed somewhere) in the process of creation of superposition tend to be located on a more or less horizontal surface.

III. According to the "Law or Original Continuity", each archaeological layer or the surface of the earlier layer will be demarcated by the form or will gradually become thinner and thus disappear. In case any layer is not so strongly demarcated and at the same time, its thickness is not gradually reduced, some other explanation should be found for it.

IV. The first three rules originate from geology. They were established by Steno. The fourth rule/law – the so-called "Law of Stratigraphical Succession" was developed in archaeology. According to this law, by its location in the stratigraphic sequence it is possible to identify the chronological position of all layers or stratigraphic units which are located between the lower (comparatively older) and upper (comparatively later) layers. For the stratigraphic position of any specific layer, it is important how this layer is related to the layers with which it has a direct contact – all other stratigraphic connections are not significant for establishment of its position.

The so-called Harris Matrix is associated with the name of this person which is used for making graphic images of archaeological stratification and is used during practically all modern archaeological excavations.

List of Illustrations

Tab. 1. West profile in areal 2. Didi-Gora Settlement. Korfmann et. al. 1999. Pic. 5.
Tab. 2. Example of „unilinear stratigraphic sequence”. Eggert 2008. Pic. 34A.
Tab. 3. Example of „multilinear stratigraphic sequence”. Eggert 2008. Pic. 34B, 34C.
Tab. 4. Exemple of stratification. Eggert 2008. Pic. 33.
Tab. 5. Example of Harris Matrix. Eggert 2008. Pic. 35.
Tab. 6. Unilinear stratigraphic sequence and its Matrix. Eggert 2008. Pic. 34A.
Tab. 7. Multilinear stratigraphic sequence and its Matrix. Eggert 2008. Pic. 34B.
Tab. 8. Multilinear stratigraphic sequence and its Matrix. Eggert 2008. Pic. 36.

ტყავის დასამუშავებელი იარაღი
(ძეგლ იანკიტო 2-ის მასალების მიხედვით)

თეთრუაშვილი ანა,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
atetruashvili@yahoo.com

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება ტყავის დასამუშავებელ იარაღს, კერძოდ, სახვრეტს ძეგლ იანკიტო 2-ის მასალების მიხედვით. იანკიტო 2 მდებარეობს სახალინის ნახევარკუნძულზე (რუსეთი), დასახლება კიტოვიდან ჩრდილოეთით, მისი მდებარეობა ზღვის დონიდან 5-დან 17 მ-ზე მერყეობს. ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს იანკიტო 2-ზე გამოვლენილი ტყავის დასამუშავებელი იარაღი - სახვრეტი.

ს. სემიონოვი მიიჩნევდა, რომ ტყავი, თავისი თვისებების მიხედვით, მრავალგვარია და მათი გახვრეტა ნემსითა და სადგისით, ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ძვლის ნემსით ტყავის გახვრეტა და შემდეგ ნახვრეტის გაფართოება სადგისით ხდებოდა. სახვრეტის სამუშაო პირის კვალის ფორმირება დამოკიდებულია მისი მუშაობის ხასიათზე. იმის მიხედვით, თუ როგორი კვალი დატოვა იარაღზე მუშაობის პროცესმა, შესაძლებელია კინემატიკის აღდგენა. როგორც ცნობილია, სამუშაო პირი ხახუნის შედეგად ცვდება ორი მიზეზის გამო: სწორხაზოვანი ხახუნისა და ტრიალის შედეგად. პირველი ეტაპია სწორხაზოვნი გახვრეტა - ხაზოვანი კვალი სწორი და ერთმანეთის პარალელურია, ხოლო, მეორე ეტაპია ხელის მარცხნივ და მარჯვნივ ტრიალი (მეოთხედი ან სრული ბრუნვითი მოძრაობა), ამ შემთხვევაში, ხაზოვანი კვალი ნახევრად წრიულია [Семенов. 1957.125-127].

ფუნქციონალურად განსაზღვრული 88 ერთეული სახვრეტიდან ლამელაზე დამზადებულია 1 ლამელისებურ ანატკეცზე; 2 მიკროლამელაზე; 1 ანატკეცზე; 63 ანამტვრევზე; 14 გატეხილ ნივთზე, 7 ისრისპირის ნამზადზე. 50 მათგანი ნამუშევარია ტყავზე, ხოლო 38 მათგანზე კვალის დადგენა შეუძლებელი იყო სუსტი უტილიზაციის გამო. იარაღზე არსებული კვალის დასაფიქსირებლად გამოვიყენეთ „МБС“ ბინოკულარული და „OLYMPUS“ მეტალოგრაფიული მიკროსკოპი.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იანკიტო 2-ის ტრასოლოგიური მეთოდით შესწავლილი იარაღების უმეტესობა ტყავის დასამუშავებლად იყო გამოყენებული. ამ სერიიდან, ჩვენ მიერ გამოყოფილი სახვრეტი იარაღები, არცთუ ისე ბევრია, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დაეკონკრეტებინა თავისი ფუნქცია ტყავის წარმოების საქმეში.

ძეგლ იანკიტო 2-ის შესწავლის ისტორია

კურილის კუნძულზე ძირითადი არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებას XX საუკუნის შუა ხანებში მიეცა დასაბამი. 1920-1940 წლებში კუნძულზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების შესასწავლად სამუშაოებს ატარებენ იაპონელი მკვლევრები, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში - რუსული სკოლა აწარმოებს. 1956 წელს, შორეული აღმოსავლეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ა.პ. ოკლადნიკოვის ხელმძღვანელობით ალაიდადან შიკოტანამდე დაზვერვით სამუშაოებს ატარებს.

მის მიერ გამოვლენილ იქნა რამდენიმე ნეოლითური და უფრო მოგვიანო ძეგლები [Шубина, Яншина. 2013. 1].

1960-იან წლებში კურილის კუნძულზე, სამხრეთ-სახალინის პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ჩატარდა საველე სამუშაო, რომელსაც ვ.ა. გოლუბევა ხელმძღვანელობდა.

კუნძულის შესწავლის შემდგომი პერიოდი 1970-80-იან წლებს განეკუთვნება. კუნძულ სახალინზე კვლევებს აწარმოებდნენ არქეოლოგები ვ.ო. შუბინი, მ.მ პროკოფიევი და კურილის ისტორიის მატერიალური კულტურის ექსპედიცია უ.ვ კნოროზოვის ხელმძღვანელობით. მასალები ინახება სახალინის რეგიონალურ მუზეუმში და მასალის მხოლოდ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული [Шубина, Яншина. 2013. 1].

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ნეოლითური სადგომი იანკიტო 2, რომელიც მდებარეობს კურილის კუნძულზე. თავად კუნძული თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ყოველთვის ყურადღებას იქცევდა. კუნძული წყნარი ოკეანის სანაპიროს ჩრდილოეთ ნაწილს სამხრეთ რეგიონებთან აერთიანებს. ძეგლი იანკიტო 2 მდებარეობს დასახლება კიტოვიდან ჩრდილოეთით, მისი მდებარეობა ზღვის დონიდან 5-დან 17 მ-ზე მერყეობს. ძეგლს ჩრდილოეთიდან საკმაოდ ღრმა ხევი ესაზღვრება. ტერიტორია ხასიათდება კარიერებით, რომელიც დროდადრო იშლება, აღმოსავლეთის მხრიდან მას ესაზღვრება ვულკანი ბოგდან ხმელინცკი. გარდა იმ საფრთხისა, რომელიც კარიერის დაშლასთანაა დაკავშირებული, ძეგლს საფრთხე ბუნებრივი ნალექებისგანაც ემუქრება. ხშირი ქარისა და წვიმების შედეგად ძლიერ ზიანდება ნიადაგი და დროთა განმავლობაში ეროზია უფროდაუფრო აქტიური ხდება [Шубина, Яншина. 2013. 2-7].

ძეგლ იანკიტოზე, წინა წლებში წარმოებული სამუშაოები ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა, ტოპოგეგმისა და სტრატიგრაფიული მონაცემების უქონლობის გამო ძეგლი მოითხოვდა დეტალურ შესწავლას. 2007 წლის ზაფხულში, შორეული აღმოსავლეთის არქეოლოგიურმა ჯგუფმა ო.ვ. იანშინას ხელმძღვანელობით, არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა იანკიტო 1-სა და 2-ზე. იანკიტო 1, საარტილერიო პოლიგონის მშენებლობის გამო, თითქმის, განადგურებული იყო, ხოლო იანკიტო 2-ზე მოხერხდა კარგად შემონახული კულტურული ფენების დაფიქსირება. ჩატარდა მცირე მასშტაბის სადაზვერვო ხასიათის გათხრები და გაკეთდა შურფები. ძეგლის ქვედა ჰორიზონტი, კერამიკასა და ნახშირზე ჩატარებული ანალიზის მიხედვით, თარიღდება 7055±45 (AA-78928), 6895±55 (AA-78927). ზედა ჰორიზონტი მასალის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ძომონის კულტურას მიეკუთვნება, რომელიც ნეოლითის მოგვიანო პერიოდითაა განსაზღვრული. დღესდღეისობით, კურილის კუნძულებზე ძეგლი ყველაზე ძველ არქეოლოგიურ ობიექტად ითვლება [Шубина, Яншина. 2013.2-7].

2013 წლის ივლისში, არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს სახალინის მუზეუმისა და პეტრე დიდის სახელობის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის (კუნსტკამერა, სანკტ-პეტერბურგი) ერთობლივი ექსპედიცია.

გათხრები მიმდინარეობდა ძეგლის სამხრეთ ტერიტორიაზე, განისაზღვრა კულტურული ფენები: 1. კორდოვანი ფენა-5-7 სმ სისქის 2. ვულკანური ფერფლის ფენა-3-5 სმ სისქის 3. მოშავო-მოყავისფრო ნახშირის კულტურული ფენა-10-17 სმ. 4. მოყვითალო თიხა მიწა- 1სმ სისქის. ძეგლის გამთხრელი, კულუტურული ფენების სიმძლავრის ხასიათიდან გამომდინარე აღნიშნავს, რომ აქ ცხოვრება უწყვეტად მიმდინარეობდა [Шубина, Яншина. 2013.2-7].

იანკიტო 2-ის ქვის მასალა

ძეგლზე გამოვლენილი 10 000-მდე მონაპოვრიდან, ქვა საერთო რაოდენობის 67 % შეადგენს, (იარაღების, ანატკეცების, ანამტვრევებისა და ქერცლისებური ანატკეცების ჩათვლით). კერამიკული მასალა საერთო რაოდენობის 30%-ია.

ლიტერატურაში იარაღები ზოგადად არის მიმოხილული: ისრისპირები, ბიფასები, დანები, საფხეკები, ბურღები, საჭრისები, თოხისებური იარაღები, სახეხი, სატეხი, საკიდები, ზოომორფული ფიგურები (ობსიდიანის თევზის გამოსახულება, წითელი კაჟის დათვის გამოსახულება), რომელთა დასამზადებლადაც გამოყენებულია ანდეზიტ-ბაზალტი, კაჟი, კვარცი-კვარციტი, ობსიდიანი. იარაღების დასამზადებლად გამოყენებულია, როგორც ლამელები, ისე ანატკეცები [Шубина, Яншина.2013].

სანკტ-პეტერბურგის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ-ტრასოლოგიურ ლაბორატორიაში, ამავე ინსტიტუტის მეცნიერ - თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ნატალია სკაკუნის ხელმძღვანელობით, ტრასოლოგიური ანალიზი ჩაუტარდა იანკიტო 2-ის სადგომზე აღმოჩენილ 6 236 ერთეულ ქვის არტეფაქტს. აქედან: ნუკლეუსი - 5; ნუკლეუსისებური ანატკეცი - 10; ნუკლეუსისებური ანამტვრევი - 63; ლამელა - 12; ლამელისებური ანატკეცი - 3; მიკროლამელა - 4; ანატკეცი - 1481; ანამტვრევი - 932; ქერცლისებური ანატკეცი - 2757; ისრისპირი - 200 (მასში შედის როგორც გატეხილი ისრისპირები, ასევე, ისრის პირის ნამზადი); შუბისპირი - 2; სალესი ქვა - 1; სახვრეტი - 88; საფხეკი - 67; საჭრისი - 16; სახოკი - 1 (კვალის გარეშე); სახეხი - 18; სათლელი დანა - 1 (კვალის გარეშე); ბურღი - 13 (კვალის გარეშე); მიკროსაჭრისი - 1; სწორპირიანი სატეხი - 1; წერაყინი - 5; სამტვრევი/სატეხი - 7; ტუფი - 6 (გაურკვეველი დანიშნულების); კომბინირებული იარაღი - 3; გაურკვევლი დანიშნულების იარაღი - 160. ხის დასამუშავებელი იარაღები: საფხეკი - 3; სახოკი - 65; საჭრისი - 6; პატარა ზომის საჭრისი - 1; წერაყინი - 1; სათლელი დანა - 17; ბურღი - 12; ხერხი - 47. ქვაზე სამუშაო იარაღები: ბურღი - 2; ხერხი - 1. ხორცის დასამუშავებელი იარაღი: დანა - 40. ტყავის დასამუშავებელი იარაღები: სახვრეტი - 50; დანა - 3; საფხეკი-122. რქისა და ძვლის დასამუშავებელი იარაღები: სახოკი - 22; საჭრისი - 1; ბურღი - 6; ხერხი რქასა და ძვალზე სამუშაოდ - 6.

იარაღების დასამზადებლად გამოყენებულია ბაზალტის, ობსიდიანის, კაჟის, კვარცისა და კვარციტის ლამელები, ანატკეცები, ანამტვრევები.

სახვრეტების დანიშნულებისათვის

არქეოლოგიურ კოლექციებში ქვის სახვრეტები ხშირად გვხვდება. იარაღის ეს ტიპი, უკვე, ზედა პალეოლითიდან არის ცნობილი. სახვრეტებად იყენებდნენ ლამელებს, ანატკეცებს, წვეტანებს და ტარში ჩამაგრებულ მიკროლითებს. ს. სემიონოვი ტყავისა და ბეწვეულისგან ტანსაცმლის დასამზადებელ იარაღებს შორის (ქვის საფხეკები, ძვლის ნემსები, სადგისები, საპრიალებლები), კაჟის სახვრეტებსაც განიხილავდა - ეს იარაღები, ისევე როგორც ნემსები და სადგისები, უხვად მოიპოვება ზედაპალეოლითურ ძეგლებზე. ს. სემიონოვი მიიჩნევდა, რომ ტყავი, თავისი თვისებების მიხედვით, მრავალგვარია და მათი გახვრეტა ნემსითა და სადგისით, ყოველთვის არ არის შესაძლებელი.

ძვლის ნემსით ტყავის გახვრეტა და შემდეგ ნახვრეტის გაფართოება, სადგისით ხდებოდა. მაგრამ, უფრო ფართო ჭრილის მისაღებად, კაჟის სახვრეტი იყო საჭირო. ს. სემიონოვმა, პირველად, კოსტენკი I და IV-ის კაჟის მასალების ტრასოლოგიური ანალიზით შესწავლის საფუძველზე გამოყო სახვრეტების ჯგუფი [Семенов. 1957. 125-127].

სახვრეტების ჯგუფში ერთიანდებიან ისეთი იარაღები, რომელთა კინემატიკა ერთგვაროვანია - სახვრეტები, ბურღები და საფართები. ბურღებისა და საფართებისგან განსხვავებით სახვრეტი ჯერ სწორხაზოვან მოძრაობას ასრულებს, ხოლო შემდეგ ბრუნებს - მარჯვნივ და მარცხნივ (წინსვლით-შექცევითი).

სახვრეტის სამუშაო პირის კვალის ფორმირება დამოკიდებულია მისი მუშაობის ხასიათზე. იმის მიხედვით, თუ როგორი კვალი დატოვა იარაღზე მუშაობის პროცესმა, შესაძლებელია კინემატიკის აღდგენა. როგორც ცნობილია, სამუშაო პირი ხახუნის შედეგად ცვდება ორი მიზეზის გამო: სწორხაზოვანი ხახუნის და ტრიალის შედეგად [Семенов. 1957.126] (სურ.1).



სურ. 1.

მუშაობის პროცესში ცვეთა ხდება ნებისმიერი ქანისგან დამზადებულ იარაღზე და კვალის განსაზღვრის პრინციპი ყველგან ერთია. სხვაობას გვაძლევს, მხოლოდ, ნედლეულის ფიზიკური მონაცემები და დასამუშავებელი ობიექტი (ძვალი, რქა, ხე, ხორცი, ტყავი, ქვა და ა.შ.). მაგალითისთვის მოვიყვანთ ობსიდიანსა და კაჟს: ობსიდიანი, თავისი ბუნებრივი მონაცემებით, გამჭვირვალე, მბრწყინავი და რბილია. კაჟი, პირიქით - მკვრივი და გაუმჭვირვალე. მაშინ, როცა კაჟის ზედაპირი მუშაობის პროცესში სიპრიალეს იძენს და ვიზუალურადაც ადვილი შესამჩნევია, ობსიდიანის ზედაპირი გახეხილი და მქრქალი ხდება. ცვეთის ხაზოვანი კვალი ობსიდიანზე მალევე ჩნდება, ხოლო კაჟზე ძნელად და, ხანდახან, მიკროსკოპითაც ძნელდება ხაზების გარჩევა [Семенов.1957. 125-126].

იანკიტო - 2-ის სადგომზე ნედლეულის მრავალფეროვნებამ საშუალება მოგვცა ამ იარაღებში საერთო და განმასხვავებელი ნიშნები გამოგვეყო:

სახვრეტებისთვის დამახსიათებელი საერთო ნიშნებია: პატარა წვეტი გამოფხვნილი ან გამოფხვნის გარეშე; ბასრკუთხა, თხელი კიდე; სიპრიალე ლოკალიზებულია ორივე მხარეს ან სულ არ არის (მაგ. ობსიდიანზე და კვარცზე); ხაზოვანი კვალი კაჟზე ცუდად არის შენახული, ასევე რთულია მისი დაფიქსირება კვარცზე. ობსიდიანის სახვრეტზე - ნაკაწრების სახით უკეთ ჩანს იარაღის წვერის კიდეზე.

განმასხვავებელი ნიშნები: კაჟი - სახვრეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტყავის სიმკვრივის გადასალახავად, ძირითადი დატვირთვა იარაღის წვეტზე მოდის - ის ან ტყდება ან ციცაბო ანატეხს იძენს. გატეხილი წვერის კიდეებზე საფეხურებრივი, უმნიშვნელო მიკრო გამოფხვნა (შეიძლება ერთმხრივი, ორმხრივი ან საპირისპირო იყოს) ჩნდება; კიდეზე ლოკალიზებულია წვრილი, ღრმა, ქერცლისებური უტილიზაციის რეტუში (ჯაჭვისებური, რომელიც, ხანდახან, წყვეტილია); თუ იარაღი მუშაობაში ხანგრძლივად იყო ჩართული, სიპრიალე მკვეთრია და წვერის ბოლოშია ლოკალიზებული (ხანდახან, მიკროსკოპის გარეშეც კარგად ჩანს); ხაზოვანი კვალი არ არის დამახასიათებელი (თუ ძლიერ არ არის გაცვეთილი იარაღი). თუ ხაზოვანი კვალი ჩანს, სამუშაო პირის ორივე ზედაპირზე გვხდება - მოკლე ნაფხაჭნები, რომლებიც სამუშაო პირის პარალელურად მიემართებიან.

ობსიდიანი - მიკრო გამოფხვნა ძალიან ჰგავს კაჟისას, მაგრამ ფაცეტები ზომით უფრო დიდია; ძლიერი ცვეთის შედეგად ხდება მქრქალი; ხაზოვანი კვალი ყოველთვის ჩანს - მოკლე ან გრძელი ნაფხაჭნები, რომლებიც ხანდახან, არარეტუშირებულ უბნებზე და გვერდით კიდეებზეც გვხვდება.

კვარცი და კვარციტი: გატეხილი წვერის კიდეებზე საფეხურებრივი, უმნიშვნელო მიკრო გამოფხვნა ფიქსირდება; ხაზოვან კვალს და სიპრიალეს (თუ ძალიან გაცვეთილი არ არის) არ ტოვებს.

ბაზალტი, ისე როგორც ობსიდიანი, ვულკანური წარმოშობისაა. მონაცემებით, თითქმის, ობსიდიანის მსგავსია და შესაბამისად, მათი სამუშაო თვისებები ანალოგიურია.

შეჯამება

ფუნქციონალურად განსაზღვრული 88 ერთეული სახვრეტიდან ლამელაზე დამზადებულია 1, ლამელისებურ ანატკეცზე 2, მიკროლამელაზე 1, ანატკეცზე 63, ანამტვრევზე 14, გატეხილ ნივთზე 2, ისრისპირის ნამზადზე -5. 50 მათგანი ნამუშევარია ტყავზე, ხოლო 38 მათგანზე კვალის დადგენა შეუძლებელი იყო სუსტი უტილიზაციის გამო. იარაღზე არსებული კვალის დასაფიქსირებლად მიკროსკოპ OLYMPUS -ის გამოყენებით გაკეთდა მიკროფოტოები, (სურ. 2; სურ. 3).

მართალია, საერთო მასალის ფონზე სახვრეტების რაოდენობა არც ისე დიდია, მაგრამ მისი გამოვლენა ოთხივე კულტურულ ფენაში მნიშვნელოვანია, და რაც მთავარია, მათ ახასიათებთ მსგავსი დამუშავების ტექნიკა: სამუშაო პირის ერთი მხრიდან რეტუში, ხოლო მეორე მხარეს ანამტვრევი.



სურ. 2.



სურ. 3.

დასკვნა

იანკიტო 2-ის ტრასოლოგიური მეთოდით შესწავლილი იარაღების უმეტესობა, ტყავის დასამუშავებელი იარაღებია და მასალის საერთო რაოდენობიდან გამომდინარე, მათი პროცენტული რაოდენობა სხვა იარაღებთან შედარებით მაღალია. ამ სერიიდან, ჩვენ მიერ გამოყოფილი სახვრეტი იარაღები, არცთუ ისე ბევრი იყო, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დაეკონკრეტებინა თავისი ფუნქცია ტყავის წარმოების საქმეში. ამის მაგალითია იარაღზე გაკეთებული მიკროფოტოები, სადაც ნათლად ჩანს ცვეთის ყველა ნიშანი (ხაზოვანი კვალი, სიპრიალე), რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ იარაღის ფუნქციასა და კინემატიკაზე.

ზოგადად, როდესაც ფუნქციონალურად განსაზღვრულ იარაღთა სხვა ტიპები განვიხილეთ, კარგად გამოჩნდა ძეგლზე მაცხოვრებელ ტომთა სამეურნეო საქმიანობის სხვა მიმართულებები - ხორცის, ტყავის, ხის, ქვის, ძვლის და რქის დამუშავება .

იანკიტო 2-ზე ქერცლისებური ანამტვრევების დიდი რაოდენობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ იარაღის ადგილობრივ წარმოებაზე. მასალის საერთო ფონზე შეიძლება ითქვას, რომ იანკიტო 2-ის მოსახლე ტომები აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა მიმართულების სამეურნეო საქმიანობაში.

ნაშრომის შესრულებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ქეთევან ესაკიასა და რუსეთის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ-ტრასოლოგიური ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ნატალია სკაკუნს.

გამოყენებული ლიტერატურა

Семенов, С.А. (1957). *Первобытная техника*. Москва, Ленинград.

Шубина, О.А., Яншина, О.В. П*редварительные итоги археологического исследования поселения Янкито-2 на о. Итурупе в 2013 году.*

Tool for leather working

(According to the materials from the site Yankito 2)

Tetruashvili Ana,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
atetruashvili@yahoo.com

Summary

Yankito 2 site is located south of Kitov settlement along the coastal terrace, its altitude ranging within 5– to 17 m. The aim of this work is to define function of burins.

According to S. Semenov to pierce leather with bone needles and awls was not always possible due to its diverse properties. Leather primarily was pierced with bone needle and then its small holes were widened with awl, but to make larger holes flint burin was needed. The formation of traces on the working edge of burins is determined by the way they work. As it is know there are two reasons of wearing out the working heads as a result of their rubbing: the first one is when it performs rectilinear piercing – linear traces being in parallel to each other; the second one is the hand movement to left and right, with the linear trace - half circle.

Out of functionally defined 88 units taken from burins 50 had been processed on leather, as for the remaining 38 – it appeared impossible to define trace evidence due to vague utilization. To define trace evidence on the tools micro-photos were made by using the metallographical microscope OLYMPUS.The majority of studies conducted by using the method of traceological analysis at Yankito 2 involve the tools for processing leather. Though the number of burins chosen out of those series were not so numerous, still it had been as much as was necessary to specify their function in leather processing.

ძვლის დამუშავების ტექნიკები გადაჭრილი გორიდან

ელოშვილი მარიამი,
ვროცლავის უნივერსიტეტი
mariami.eloshvili@yahoo.com

შესავალი

ძვალი, რქა და კბილი ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელი ნედლეული იყო ქვის ხანის ადამიანისათვის. ლითონის მიგნებამდე, ეს მასალა, ქვასთან ერთად, ამ პერიოდის მოსახლეობისათვის მთავარი რესურსი იყო შრომისა და სანადირო იარაღის შესაქმნელად. ისევე როგორც მთელი მსოფლიოს მასშტაბით, კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები ნეოლითელი ადამიანიც აქტიურად იყენებდა ზემოთ ჩამოთვლილ ნედლეულს.

ჩვენ მიერ განხილული და შესწავლილი მასალა წარმოდგენილია სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული ნეოლითის ეპოქის, შომუ-შულავერის კულტურის ერთ-ერთი ძეგლიდან - გადაჭრილი გორა. შომუ-შულავერის კულტურა* ძვ.წ. მე-6 ათასწლეულში გავრცელებულია სამხრეთ კავკასიაში (სურ.1), დღევანდელი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე. გადაჭრილი გორა მდე-

სურ. 1.

---

* როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს კულტურა თანამედროვე ეპოქაში, სამი სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზეა გავრცელებული და სამივე ქვეყანაში განსხვავებულად მოიხსენიებენ. ჩვენი სურვილია ერთი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახელწოდება დამკვიდრდეს, რომელიც სწორად ასახავს კულტურის აღმოჩენის ისტორიას. ამიტომ, ვფიქრობთ, შომუ-შულავერი ყველაზე მისაღები ვარიანტი უნდა იყოს, რადგან, როგორც ცნობილია, ეს კულტურა თავდაპირველად აზერბაიჯანში, შომუთეფეს ნამოსახლარზე გამოვლინდა, მოგვიანებით კი საქართველოში, შულავერის გორაზე, შედეგად მივიღეთ კულტურის ამგვარი სახელწოდება.

ბარეობს საქართველოს ტერიტორიაზე, ქვემო ქართლის რეგიონში, ქალაქ მარნეულის სამხრეთით, 8 კმ-ში, იგი ამ კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და თვალსაჩინო ძეგლია. ეს გორა - ნამოსახლარი, კიდევ სამ გორასთან ერთად, წარმოადგენს ე.წ. შულავერის ჯგუფს. ამ კულტურის შესწავლის საწყის ეტაპზე, მარნეულის ველზე პირობითად გამოიყო ოთხი ჯგუფი, რომლებიც საერთო ჯამში 20-მდე ნამოსახლარს მოიცავდა. დღეისათვის, ამ ტერიტორიაზე ისევ მიმდინარეობს დაზვერვები და გაცილებით მეტი ძეგლია გამოვლენილი [ლოსაბერიძე. 2018, 98-117].

გადაჭრილი გორა 1960-იან წლებში აღმოაჩინა ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ [ჯავახიშვილი, კიღურაძე. 1975, 124-128], თუმცა საფუძვლიანი შესწავლა მხოლოდ 2000-იანი წლებიდან დაიწყო. 2006-2007 და 2012-2013 წლებში მას იკვლევდა მარნეულის ექსპედიცია ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმისა და საფრანგეთის ეროვნული კვლევის ცენტრის მონაწილეობით [ჯალაბაძე და სხვ. 2010, 24-33; Hamon, Jalabadze et all. 2015, 154-169]. მისი კვლევა 2016 წლიდან ქართულ-კანადური პროექტის ფარგლებში გრძელდება [Batiuk, Jalabadze et all. 2017, 173-202], თუმცა ჩვენ მხოლოდ 2006-2013 წლებში აღმოჩენილი მასალით შემოვიფარგლებით.

მეთოდოლოგია

დამუშავებული ძვლის იარაღების ტექნოლოგიური და ტრასოლოგიური შესწავლა თითქმის 100 წელია რაც მიმდინარეობს მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან კვლევით ლაბორატორიებში. სამწუხაროდ, საქართველოში ეს მიმართულება ჯერ კიდე არ არის დანერგილი, დამუშავებული ძვლის იარაღების სიღრმისეული კვლევა თითქმის არ მომხდარა, გარდა რამდენიმე შედარებითი ხასიათის ნაშრომისა [კერესელიძე. 1978; ჩოლოგაური. 2015, 200-209]. ძვლის იარაღების შესწავლა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან აქტიურად მიმდინარეობდა როგორც ტექნოლოგიური დამუშავების, ასევე ტრასოლოგიის, ტიპოლოგიისა და ექსპერიმენტების მიმართულებით. მე-20 საუკუნეში შექმნილია ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომები [Семенов С.А 1957, 175-225]. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ამ ტიპის კვლევები კიდევ უფრო გააღრმავა [Legrand, Sidéra. 2007, 67-80; Russell. 2005, 339-369;]. საქართველოში ტრასოლოგიის შესწავლის ფუძებდებელი ტ. ჩუბინიშვილია, სწორედ მისი ინიციატივით შეისწავლა თავის დროზე გ.ფ. კარაბკოვამ არუხლო I-ის მასალები [Коробкова Г.Ф. 1979, 97-100], ბოლო დროს ძალზედ მოკლე სტატიაა გამოქვეყნებული არუხლო I-ის მასალებზე. [Zhvania. 2017, 267-268].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მიმართულება მაღალ დონეზეა განვითარებული სხვადასხვა ქვეყნების კვლევით ლაბორატორიებში. შესაბამისად, ამ მასალის შესწავლისას ჩვენ ვეცადეთ გამოგვეყენებინა ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც უფრო შეესაბამებოდა და უკეთესად წამრმოაჩენდა კვლევის ძირითად არსს.

კვლევის ძირითადი მიზანია ძვალზე დამზადებული იარაღის ინდუსტრიის, დამზადების ტექნიკებისა და იარაღად გამოყენების კვალის შესწავლა. კვლევის პროცესში მასალა მორფოლოგიურად დაჯგუფდა, გამოიყო ძირითადი ტიპები, საჭიროების შემთხვევაში ქვეტიპებიც. პროცესში ხდებოდა თითოეული იარაღის მიკროსკოპული კვლევა, დეტალური აღწერა, ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია.

ტიპოლოგია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ გამოყოფილი ტიპოლოგია ეფუძნება იარაღის მორფოლოგიას. 2006-2007 და 2012-2013 წლებში მოპოვებული მასალის მთლიანი რაოდენობა 59 ერთეულია. შედეგად გამოვყავით 6 ძირითადი ჯგუფი:

1. სახვრეტი იარაღი
2. საჭრელი იარაღი
3. საპრიალებელი იარაღი
4. სხვა
5. რქა
6. გაურკვეველი/განუსაზღვრელი ტიპი

სახვრეტი იარაღები 40 ერთეულითაა წარმოდგენილი, სადაც გამოიყო ტიპები. მათი გამოყოფა მოხდა ნედლეულის (ანატომიური ნიშნებით) მიხედვით.

ნეოლითის ეპოქაში გავრცელებული ძირითადი ტექნიკები

ძვლის დამუშავებაში გამოიყოფა ორი ძირითადი ეტაპი (ზოგიერთ შემთხვევაში სამი) - გახლეჩა და ფორმირება. ორივე ეტაპზე შესრულების რამდენიმე მეთოდი არსებობს.

გახლეჩის პრინციპით, ხდება მომავალი საგნის მიახლოებითი ფორმის მიღება, რომელიც, შემდგომ, სახვადასხვა ტექნიკური ხერხებით საბოლოოდ ჩამოყალიბდება. გახლეჩვის პრინციპი, აგრეთვე, შეიძლება გულისხმობდეს ძვლის არასასრუველი ნაწილის მოცლას და ეკონომიის მიზნით მის დანაწევრებას. აღსანიშნავია, რომ ყველა ტექნიკური ხერხი ერთმანეთისგან განსხვავებულ კვალს ტოვებს ძვალზე.

სურ. 2.

გახლეჩის ძირითადი მეთოდები:

1. თოკით ხეხვა
2. არაპირდაპირი გახლეჩა (სურ.2)
3. პირდაპირი გახლეჩა (სურ.3)
4. ამოღარვა (სურ.4)



სურ. 3.



სურ. 4.

ნეოლითში გავრცელებული გახლეჩის ტექნიკები

<u>თოკით ხეხვა</u> საუკეთესო საშუალებაა ძვლის არასასურველი ნაწილის ფრთხილად მოსაცილებლად. თოკით ხეხვის სამი პრინციპი მიკვლეულია, ძირითადი განსხვავება კინემატიკაშია:

1. მასალის ხელში ჭერით და მასზე თოკის ზემოქმედებით
2. მასალის მოძრაობით და თოკზე ზემოქმედებით
3. მასალის ძირს დებით და მასზე თოკის ზემოქმედებით

<u>არაპირდაპირი გახლეჩა</u> საშუალებას იძლევა მილოვანი ან ნეკნის ძვალი მეტ-ნაკლებად თანაბარ ნაწილებად დაიყოს. პირველი ნაბიჯი ნედლეულის ორივე მხარეს ღრმა ღარის გატარება და შემდგომ, შუამავლის საშუალებით მისი გახლეჩაა. ეს ტექნიკა საშუალებას იძლევა ფრთხილად გაიჭრას ნედლეული, დაიზოგოს მასალა.

<u>პირდაპირი გახლეჩის</u> დროს, ნედლეულის ჩვენთვის სასურველ ნაწილზე ხდება ძლიერი დარტყმა, ხოლო მიღებული ანატკეც/ანამტვრევებიდან საჭირო ფორმის ძვლის არჩევა.

<u>ამოღარვის</u> დროს მილოვან ძვალზე ჯერ მოინიშნება საჭირო ფორმა და ზომა, ხოლო შემდგომ, მისი ამოჭრა მოხდება.

ნეოლითში გავრცელებული ფორმირების ტექნიკური ხერხები

ამ პერიოდში ფორმირების სამი ძირითადი ტექნიკური ხერხი გამოიყოფა: ხეხვა, რანდვა და გაპრიალება*.

ხეხვა - ტექნიკის სახეობაა, რომლის დროსაც დიდი ზომის ბრტყელ ქვაზე ხეხვით ხდება ძვლისთვის სასურველი ფორმის მიცემა. (სურ. 5)

რანდვა - ტექნიკის სახეობაა, რომლის დროსაც ძვლის ფორმირება ხდება ქვის მცირე იარაღით (ობსიდიანი, კაჟი და ა.შ.). ამ შემთხვევაში ძვალი არ მოძრაობს. მოძრაობს მხოლოდ ქვის იარაღი. (სურ.6)

გაპრიალება - ტექნიკის ისეთი სახეობაა, როდესაც ხდება ნივთისთვის ესთეტიკური ფორმის მიცემა. ჩვენი აზრით, ეს ტექნიკა გამოიყენებოდა მხოლოდ სამკაულის შესამკობად ან დეკორაციისთვის. (სურ.7)

გადაჭრილ გორაზე წარმოდგენილი ძვლის დამუშავების ტექნიკები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადაჭრილ გორაზე 2006-2013 წლებში მოპოვებული მასალიდან 59 ნიმუში ძვალზე დამზადებული იარაღია. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ტექნიკებიდან გადაჭრილი გორის ნეოლითელი მოსახლეობა მათგან უმეტესობას იყენებდა.

---

* ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ გაპრიალება ძვლის დამუშავების ერთ-ერთი ეტაპია, ზოგიერთის აზრით კი, ის მხოლოდ ფორმირების ერთ-ერთი ტექნიკური ხერხია. ჩვენ, ეს უკანასკნელი მიგვაჩნია მართებულად, თუმცა არა ყოველთვის. აღსანიშნავია რომ ძირითადად გაპრიალება ნივთის ხანგრძლივი გამოყენების შედეგია.

სურ. 5.

სურ. 6.

სურ. 7.

გახლეჩის ტექნიკები

გადაჭრილ გორაზე მოპოვებულ ძვლის მასალაზე წარმოდგენილია არაპირდაპირი და პირდაპირი გახლეჩის ტექნიკები.

პირდაპირი გახლეჩა - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ტექნიკა ყველაზე მარტივი საშუალებაა საჭირო ზომის ნედლეულის მისაღებად. ქმედება მარტივია, სასურველ ძვალზე ხდება ქვის ძლიერი დარტყმა, ძვალი ანატკეცებად იქცევა, ხოლო მათგან ყველაზე გამოსადეგი შეირჩევა. ანატკეცის ფორმირება შედარებით ადვილია, ხდება მხოლოდ მისი წვერის დამუშავება, ტარი რჩება ბუნებრივად, რადგან ანატკეცზე მიღებული იარაღები უმეტესად ტარში ჯდებოდა.

არაპირდაპირი გახლეჩა - ეს ტექნიკა მეტ დაკვირვებასა და გათვლებს მოითხოვს. პირველ რიგში ხდება ლულოვანი ძვლის გაჭრა ორივე მხრიდან, ძვლის ტვინამდე (სურ.8). შემდეგ ხდება შუამავლის დახმარებით რომელიმე თავიდან გახლეჩა, თუ საჭიროება მოითხოვს, რომელიმე თავის მოჭრაც. შედეგად ვიღებთ მეტ-ნაკლებად თანაბარ ნაწილებს, რომლის შემდგომი ფორმირებაც შეიძლება ზემოთ დასახელებული რომელიმე ტექნიკით. არაპირდაპირი გახლეჩით შესაძლებელია მილოვანი ძვლის (ძირითადად მაჯისა და ტერფის ძვლები) ორ ან ოთხ ნაწილად გახლეჩა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მასალაში ძალიან კარგი მონაპოვარია ე.წ. სამრეწველო ნარჩენი. (სურ.10)

ზოგადად, ძვლის იარაღის კვლევის დროს მთავარია, გავმიჯნოთ დამუშავებისა და გამოყენების დროს დატოვებული კვალი. სახვრეტი იარაღების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ არაპირდაპირი გახლეჩის ტექნიკითაა დამზადებული (სურ. 9).

სურ. 8.

სურ. 9.

სურ. 10.

არაპირდაპირი გახლეჩის კიდევ ერთი ვარიანტია გაჭრის შემდეგ მისი გახლეჩა გვერდიდან, რომელიც აბსოლუტურად განსხვავებულ კვალს ტოვებს და ამ ორი ვარიაციის გარჩევა ერთმანეთისგან შეუიარაღებელი თვალითაც კი ძალიან მარტივია. (სურ.11)



სურ. 11.

ფორმირების ტექნიკები

ზემოთ ჩამოთვლილი ფორმირების ტექნიკებიდან გადაჭრილ გორაზე გამოყენებულია ორი მათგანი - ხეხვა და რანდვა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, ფორმირების მესამე ტექნიკა, გაპრიალება, გამოიყენებოდა მხოლოდ ესთეტიკური დანიშნულების ნივთებისთვის, რაც ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი ამ ნამოსახლარზე.

დასკვნა

ვფიქრობთ, ამ მიმართულების განვითარება საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ძვლის იარაღის შესწავლით შესაძლებელია კულტურის რაობის, გენეზისისა და ძირითადი საქმიანობის გაგება, ეკონომიკურ-სოციალური საკითხების გარკვევა და სხვა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სტატიის თემატიკიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდა მხოლოდ რიგ დეტალებზე. ამ ეტაპზე, საჭიროდ არ ჩავთვალეთ, განგვეხილა იარაღების ფუნქციური და მორფოლოგიური ნიშნები.

ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაზე ბევრი საყურადღებო ნიშანი შეიმჩნევა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძვლის მასალაში ჭარბობს სახვრეტი იარაღების რაოდენობა, რომელთა ფუნქცია-მორფოლოგია მეტად მრავალფეროვანია. გარდა სახვრეტი იარაღებისა, გამოიყო ისეთი იარაღის ჯგუფები, როგორიც არის საჭრისი და საპრიალებელი იარაღები, რაც ამ ნამოსახლარზე სხვადასხვა საქმიანობების მიმდინარეობაზე მიგვანიშნებს. აქვე ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ, რომ მასალაში მოგვეპოვება რქისგან დამზადებული სამიწათმოქმედო დანიშნულების იარაღი.

თემატიკის ძირითადი საკითხი ძვლის იარაღის დამუშავების ტექნოლოგიაა. შესა-

ბამისად, უნდა აღინიშნოს რამდენიმე გარემოება. როგორც ზემოთ განხილული საკითხებიდან ჩანს, გადაჭრილი გორის ნეოლითელი მოსახლეობა იმ პერიოდში კარგად იცნობდა, მახლობელ რეგიონებში ფართოდ გავრცელებულ ძვლის დამუშავების სხვადასხვა ტექნიკას. გახლეჩის ტექნიკის შერჩევა უნდა მომხდარიყო იარაღის მორფოლიგიური ნიშნის მიხედვით და ხშირად არ იყო დამოკიდებული მის ფუნქციაზე.

აღსანიშნავია, რომ გამოყენებულია როგორც შინაური ასევე გარეული ცხოველების ჩონჩხის სხვადასხვა ნაწილის ძვლები, როგორიცაა ცხვარი/თხა, დიდი ძუძუმწოვარი ძროხა/ხარი, ირემი. სახვრეტი იარაღების სიმრავლის გამო ეს ძირითადად წვრილ-ჩლიქოსანი ცხოველის მაჯის ან ტერფის ძვალია. საპრიალებლის ან საჭრისისთვის გამოყენებულია დიდი ძუძუმწოვრის ძვლის ნაწილები, ძირითადად ლულოვანი ძვლები.*

აქვე მოკრძალებულად გვინდა აღვნიშნოთ, რომ სტატიის ავტორი ჯერ კიდევ სწავლის პროცესშია, ამიტომ ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ სხვადასხვა სახის რჩევებსა თუ შენიშვნებს.

დასასრულს, მადლობას ვუხდით გადაჭრილი გორის ექსპედიციის ხელმძღვანელს, ბატონ მინდია ჯალაბაძეს მასალის გამოყენების ნებართვისთვის, ქალბატონ ქეთევან ესაკიას ტრასოლოგიურ კვლევებში გაწეული სწავლებისა და კონსულტაციებისათვის, ასევე ქალბატონ ალექსანდრა ლეგრან-პინიუსა და იზაბელა სიდერას კონსულტაციისა და ფოტომასალის მოწოდებისთვის. ლევან ლოსაბერიძეს ფოტო მასალის გადაღებისა და დამუშავებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

კერესელიძე, თ. (1978). *ძვლის ნივთების კატალოგი*. თბილისი.

ლოსაბერიძე, ლ. (2018). *არქეოლოგიური დაზვერვები მარნეულის ველზე*. ამირანი XXXI.

ჩოლოგაური, ლ. (2015). *ძვლის არტეფაქტები თამარის ციხიდან*. ონლაინ არქეოლოგია #8, თბილისი.

ჯავახიშვილი, ა., კიღურაძე, თ. (1975). *გადაჭრილი გორა.* ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971 წწ.), ჯავახიშვილი ა., ჯაფარიძე ო. (რედ). თბილისი.

ჯალაბაძე, მ., და სხვა. (2010). *გადაჭრილ გორაზე 2006-2007 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში*. ძიებანი 19. თბილისი.

Batiuk, D.S., Jalabadze, M., et.all. (2017). *The Gadachrili Gora Regional Archaeological Project*. 2016 preliminary report, ANATOLICA XLIII.

Hamon, C., Jalabadze, M., et. All. (2015). *Gadachrili Gora* : Architecture and Organization of a Neolithic Settlement in the middle Kura Valley (6th millennium BC, Georgia), Quaternary International 395.

Legrand, A., Sidéra, I. (2007). *Methods, Means, and Results when Studying European Bone Industries*. C. Gates St-Pierre, R. Walker (eds.), Bones as Tools: Current Methods and Inter-

* ძირითად შემთხვევაში იარაღებს არ ეტყობათ ანატომიური ნაწილი, რის გამოც სახეობის განსაზღვრა რთულია.

pretations in Worked Bone Studies . Archaeo-press. Oxford: 67–80LeMoine G. M. (1997). Use - Wear Analysis on Bone and Antler Tools of the Mackenzie Inuit. Archaeopress. Ox-ford.

Russell, N. (2005). *Çatalhöyük Worked Bone*. In I. Hodder(ed.), Changing materialities at Çatalhöyük: reports from the 1995–99 seasons . British Institute at Ankara.London.

Semenov, S.A., (1964). *Prehistoric Technology*. an Experimental Study of the oldest Tools and Artifacts from Traces of Manufacture and Wear. Barnes and Noble, New York.

Zhvania, D., (2017). Awls from Aruchlo I, The Kura Projects, New Research on the Later Prehistory of the Southern Caucasus edited by B. Helwing, T. Aliyev, B. Lyonnet, F. Guliyev, S. Hansen, G. Mirtskhulava.

Семенов, С.А. К. (1957). *Первобытная техника*. Москва-Ленинград.

Коробкова, Г.Ф. (1979). *Древнейщие землекопные орудия из Арухло*. 1 მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის VII, თბილისი.

სურათების აღწერილობა

სურ. 1. შომუ-შულავერის კულტურის გავრცელების რუკა.
სურ. 2. არაპირდაპირი გახლეჩა.
სურ. 3. პირდაპირი გახლეჩა (After Truillot J., 2018).
სურ. 4. ამოღარვა.
სურ. 5. ხეხვა.
სურ. 6. რანდვა.
სურ. 7. გაპრიალება.
სურ. 8. გაჭრა გვერდიდან.
სურ. 9. სიგრძეზე გახლეჩილი სახვრეტი იარაღები (ფოტოს ავტორი ლ. ლოსაბერიძე).
სურ. 10. სამეწარმეო ნარჩენი.
სურ. 11. გვერდიდან გახლეჩა.

Worked Bone Techniques from Gadachrili Gora

Eloshvili Mariami,
University of Wrocław
mariami.eloshvili@yahoo.com

Summary

Worked bone and antler tools were regularly used by prehistoric societies in entire world, as well as in Southern Caucasus, to create and maintain everyday items. One of the most important cultures in Neolithic Southern Caucasus is Shomu-Shulaveri culture. The sites of this culture are main key to study Neolithic period in this region. Shomu-Shulaveri culture has been discovered in three republics of Southern Caucasus – Georgia (Kvemo Kartli region), Azerbaijan (Ganja-Gazakh region) and Armenia (Ararat region). Gadachrili Gora is one of the most important sites of this culture which represents extensive evidence of bone and antler tool manufacture. This article examines the Gadachrili Gora osseous assemblage from four year of excavations – 2006-07 and 2012-13.

After recording contextual information, the raw materials (bone, antler, and tooth) of the objects were recorded. The tool was then placed within a group, type, and sub-type (if needed). The object was measured (including maximum length, width, and thickness) and described. In this regard, each object was divided into a base, shaft and tip and described individually. Surface condition, color, taphonomy, and modification were recorded. Striations identified with the naked eye, we used MBS-2 stereomicroscope, and USB microscope X0-100 mm in some cases. All items were photographed and illustrated with recorded data in a searchable database.

Total 59 worked bone items have been recorded thus far. From these, 48 have been typed, while remaining 11 have been classified as undetermined. Objects identified as undefined are either too fragmented to classify or have no formal shape. Some of them are waste from manufacture. The typology is first separated into four groups: “Pointed tools”; “Cutting tools”; “Polishing tools” and etc.

From entire assemblage, 68% are pointed tools. In this group we separated 5 types and several sub-types. There are also few cutting/polishing tools.

Examination shows that Shomu-Shulaveri culture societies were used caprine (sheep/goat) metapodials for making pointed tools. For making cutting and polishing tools they were used large mammal bones. For debitage - indirect percussion with sawing or direct percussion, for shaping – sawing or abrasion.

We would like to gratefully thank Dr, Mindia Jalabadze and Dr. Ketevan Esakia for consultations and helping, Dr. Isabelle Sidera and Alexandra Legrand-Pineau for training and photos, To Levan Losaberidze for photographing.

Descriptions of the Figurines

Fig. 1. Map of the distribution of Shomu-Shulaveri Culture.
Fig. 2. Indirect Percussion.
Fig. 3. Direct Percussion (After Truillot J., 2018).
Fig. 4. Grooving.
Fig. 5. Abrasion.
Fig. 6. Scraping.
Fig. 7. Polishing.
Fig. 8. Sawing.
Fig. 9. Longitudinal Indirect Percussion on the Bone (Photo by L.Losaberidze).
Fig. 10. Waste.
Fig. 11. Indirect Percussion on the bone form the side.

კოლხურ თეთრზე არსებული გამოსახულებების გენეზისის საკითხისათვის

მწყერაძე გიორგი,
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgi.mtskeradze@gmail.com

კოლხური თეთრის პრობლემა არა მარტო ქართული ნუმიზმატიკის, არამედ, საზოგადოდ, ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ ბევრი რამ დაწერილა, დღეისთვის მასთან დაკავშირებული არც ერთი საკითხი არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ გადაწყვეტილად. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია კოლხური თეთრის ანეპიგრაფიკული ხასიათით. მეორეც, წერილობითი წყაროები არაფერს გვაუწყებენ კოლხეთის სამონეტო საქმის შესახებ.

კოლხური თეთრის შესწავლას მრავალი ასპექტი აქვს. მათ შორის ძალზე საინტერესოა კოლხური თეთრის იკონოგრაფიისა და მათი სემანტიკის საკითხები.

კოლხური თეთრის რვა ნომინალის ავერსიდან, ოთხზე ლომია გამოსახული, ოთხზე კი ადამიანის (ქალღვთაების) თავი. ლომი მზის სიმბოლოა, [ვადბოლსკი. 1990. 19-35] ქალღვთაება კი - მთვარის[Куфтин. 1949. 254]. აქედან გამომდინარე, კოლხეთში მზესა და მთვარეს თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მათივე ზოომორფულ ცხოველებთან ერთად და, შესაბამისად, ამ კულტთა ატრიბუტებიც (ფრთოსანი ცხენი, ხარი, წერო) კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი ძველ კოლხეთში, რასაც ქვემოთ აღწერილი კოლხური თეთრის ნიმუშები ადასტურებს.

მათი აღწერილობა ასეთია:

I. ტეტრადრაქმა - შუბლი: მაღალი ხელოვნებით შესრულებული დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება. ზურგი: კვადრატუმ ინკუზუმში მოთავსებული ფრთოსანი რაშის პროტომა (წინა ნაწილი);

II. I ტიპის დიდრაქმა - შუბლი: მარჯვნივ მიმართული მწოლიარე ჰერმაფროდიტი (ფაფრიანი ძუ ლომი) გამოსახულება, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: კვადრატუმ ინკუზუმში მოთავსებული მარჯნივ ან მარცხნივ მიმართული დაჩოქილი ხარისთავიანი ქალის ფიგურა;

III. II ტიპის დიდრაქმა - შუბლი: ხაზოვან წრეში ადამიანის (ღვთაების) მარჯვნივ მიმართული თავი. ზურგი: კვადრატუმ ინკუზუმში ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული ადამიანის თავები;

IV. III ტიპის დიდრაქმა - შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული მარჯვნივ მიმართული ადამიანის პროფილი. ზურგი: ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული ხარის ორი თავის გამოსახულება ორ კვადრატუმ ინკუზუმში (ხარები ერთმანეთის იდენტურია);

V. დრაქმა - შუბლი: ლომის თავის გამოსახულება პირდაპირ. ზურგი: კვადრატუმ ინკუზუმში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავი;

VI. I ტიპის ნახევარდრაქმა (ჰემიდრაქმა) - შუბლი: დაღრენილი ლომის თავის მარჯვენა პროფილი. ზურგი: კვადრატუმ ინკუზუმში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა.

VII. II ტიპის ნახევარდრაქმა (ჰემიდრაქმა) - შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული ადამიანის თავი. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული. მონეტების ზოგოერთ ცალზე ამოტვიფრულია ბერძნული ასოები - MO/ΣO, Φ, E, A, Δ, O;

VIII. ჰემიტეტარტემორიონი - შუბლი: მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება. ზურგი: მარჯვნივ მიმართული რომელიღაც ფრინველი, სავარაუდოდ წერო.

ამგვარად, გადავიდეთ კოლხურ თეთრზე არსებული გამოსახულებების გენეზისზე. ვინ არიან გამოსახულნი მასზე, რა სიმბოლური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს იმ ზოომორფულ ფიგურებს, რომლებიც კოლხურ თეთრზე გვხვდება, რა კავშირი და პარალელები შეიძლება მოვუძებნოთ კოლხურ თეთრზე არსებულ ღვთაებებს მსოფლიოს სხვადასხვა უძველესი ცივილიზაციების რწმენა-წარმოდგენებთან და რელიგიურ პანთეონთან.

„წინა აზიის უძველესი მოსახლეობის ღვთაებათა პანთეონში მზე უმთავრესად ქალღვთაების სახით იყო წარმოდგენილი... საქართველოში ძველთაგანვე ასტრალურ ღვთაებათა პანთეონში პირველი ადგილი მზეს და მთვარეს ეკავა. ამასთან, მზე წამოდგენილი ჰყავდათ ქალღვთაების სახით (მზექალი, ბარბალე), ხოლო მთვარე - მამაკაცის სახით. ქართველები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მზის მოქცევასთან დაკავშირებულ მოვლენებს და ამ მნათობის მოძრაობასთან (ნაბუნიობა) აკავშირებდნენ ბარბარობას ანუ მზის დაბადების დღეობას და თვის კალენდარს“. [ბარდაველიძე, 1941, 36-47].

ხეთური საგალობლები (ჰიმნები) ძირითადად მზისადმი - მზის ღვთაებისადმია მიძღვნილი. როგორც ცნობილია, ხეთებს ჰყავდათ რამდენიმე მზის ღვთაება, სხვადასხვა ფუნქციითა და სქესით. მზე გვევლინება ვითარცა ყოვლისმხედველი და ყოვლისშემძლე, ადამიანთა მოწყალე, მათი დამცველი, ქვეყნის მომწესრიგებელი, ღვთაებათა შორის მბრწყინავი, მთელი ცისა და დედამიწის მანათობელი. მზეს ემონებიან ცის მეუფენი და დედამიწის ღმერთნი...

„მზის ღთაების საგალობელში აღწერილია ამ ღვთაების გამომგზავრება ცხენებიანი საბრძოლო ეტლით. მსგავსი მოტივები შეინიშნება სხვა ხალხების (ეგვიპტელების, დასავლეთ სემიტების) საგალობელში მზის ღვთაებისადმი“. [გიორგაძე, 1988, 164].

„ცხენი, როგორც მზის კულტის ელემენტი ითვლება ცის მაცნედ, განთიადისა და მზის სიმბოლოდ“ [ვადბოლსკი, 1990, 19-25.].

ტრუნდჰოლმის მზის ეტლი, რომელშიც ცხენია შებმული, არის ქანდაკება, რომელიც მიჩნეულია სკანდინავიური ბრინჯაოს ხანის მითოლოგიის უმნიშვნელოვანეს ნაწილად. ქანდაკება ძვ. წ. 1350 წლით თარიღდება.

ამგვარად, გამოდის რომ, ცხენი მზის კულტის ელემენტი და მისი შემადგენელი ნაწილია. ხოლო მისი გამოსახვა კოლხურ თეთრზე სრულიად ლოგიკურია (სურ. 1).

„სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა, რომ ლომის სიმბოლიკა აზიიდან უნდა შეჭრილიყო ეგეოსურ სამყაროში. ძველ შუამდინარულ, ხეთურ-იბერიულ, ეგვიპტურ, სპარსულ, ძველბერძნულ და რომაულ ხელოვნებაში ლომის სიმბოლო ძალზე გავრცელებული და აქტუალურია. ირ. სურგულაძემ საზოგადოდ, ზოომორფული სიმბოლიკის შესწავლისას ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ლომი მოქცეულია აზიური და კავკასიური ქალღმერთების თანმხლებ ცხოველთა ასაბიაში“. აქვე უნდა

სურ. 1.

აღინიშნოს ლომის კულტის გავრცელება ძველი საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებზე, კერძოდ სარტყელზე გამოსახულია ლომის ფიგურა, რომელსაც ადამიანის თავი აქვს და ისარს ისვრის [სურგულაძე, 1993, 34, 84-95.].

„ეგეოსურ სამყაროში მცირე აზიის ტერიტორიაზე მდებარე ძველ ქვეყნებსა და კრეტაზე ლომს ნაყოფიერების ქალღვთაების საკულტო ცხოველად მიიჩნევდნენ“... ლომის სიმბოლურობას ადასტურებს ისიც, რომ ხეთური ქალღვთაებების თანმხლები ცხოველები იყვნენ ლომები. რეა-კიბელეს ეტლში სწორედ ისინი არიან შებმულნი. მითოპოეტური თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძუ ლომის სიმბოლურ გააზრებას, ვინაიდან იგი დედობის სიმბოლოდ აღიქმება და მრავალი დედა-ქალღვთაების ატრიბუტად გვევლინება [სულავა, 2005].

ძველ ხალხებში, მათ შორის ქართველებში, ლომი ითვლებოდა მზის და სინათლის განსახიერებად. მაგალითად ბაგრატის ტაძრის დასავლეთ ფასადზე, ზედა სარკმლის მარჯვენა მხარეზე, ლომისა და გველეშაპის ბრძოლის ამსახველი გამოსახულებაა. ლომი აქ მზის, ნათელის სიმბოლოა, რომელიც სიბნელეს, წყვდიადს ებრძვის. [ახვლედიანი, 2002].

„სახმეტი“ - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლომის ქალღმერთთებს შორის (ეგვიპტეში). გამოისახებოდა ანთროპომორფულად ან ლომის თავით. სახმეტი გაიგივებული იყო მუტთან. მუტი - „მზის დედა“, ახალი სამეფოს შუახანებიდან მუტს მოიხსენიებენ, როგორც „დედების დედას“ [ხვედელიძე, 2013, 276, 399].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის კოლხურ თეთრზე გამოსახული ლომი - მზის ზოომორფული სიმბოლო და მისი ატრიბუტი (ფრთოსანი ცხენი.)

რაც შეეხება, ლომის გამოსახულებიანი კოლხური თეთრის სხვა დეტალებს ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო და ღრმა შინაარსის შემცველია დრაქმა (ლომის თავი პირდაპირ (an face) ხარის თავი მარჯვნივ), რომლის ავერსზე გამოსახულ ლომს 19 დანაყოფიანი ფაფარი აქვს, ანუ ჩემი აზრით, მზის 19 სხივს განასახიერებს (სურ. 2).

„მთვარის ციკლიც“ და მთვარის მოქცევაც 19 წლიანი პერიოდულობით ხასიათდება. ასევე არსებობს 19 წლიანი „მზის წელი“. ვფიქრობ, ლომის ფაფარი სწორედ ამას განასახიერებს, ამის თქმის საფუძველს იძლევა მონეტის რევერსზე გამოსახული ხარის

თავი კისერზე წერტილების გარეშე, ანუ მთვარისა და მისი ზოომორფული სიმბოლოს ,,ასაკი“ ნულის ტოლია.

გარდა ამისა, ძალზე საინტერესოა ფარაონ ეხნატონის გამოსახულება (ეხნატონი ოჯახით. ძვ. წ. XIV ს.), სადაც ატონი ანუ მზე (მზის ღმერთი) 19 სხივითაა გამოსახული (სურ. 3).

სურ. 2.

ამავე შინაარსის უნდა იყოს ირანული გამოსახულება, ქალღვთაება ანაჰიტა, რომელიც ლომზე დგას არტაქსერქსე II-ს წინაშე. მის გარშემო მზის 19 სხივია გამოსახული (სურ 4).

აქედან გამომდიანრე, შესაძლოა კოლხური თეთრის ამ ნომინალზე ამგვარი სიმბოლური დეტალი შეიძლება იყოს გამოხატული და გარკვეული კავშირი ჰქონდეს ძველ მითო-რელიგიურ წარმოდგენებთან.

კოლხური თეთრის I ტიპის დიდრაქმაზე გამოსახულ ფიგურებს (სურ. 5) და მათ სიმბოლურ მნიშვნელობებს, შესაძლოა გარკვეული კავშირი მოვუძებნოთ ძველი მსოფლიოს ხალხთა რელიგიურ პანთეონში.

მზის ღმერთი შამაში (შუმერული უთუ). შამაშს უმაღლესი სტატუსი ჰქონდა ძველ-ბაბილონურ პერიოდში. მისი სიმბოლო იყო მზის დისკო, მსახური კი ადამიანი-ხარი“. [სამსონია, 2008, 126].

სურ. 3.



სურ. 4.

ხეთურ კერპთა უმეტესობა ანთროპომორფულია, წარმოდგენილია ორივე სქესის ღვთაებანი. ამასთანავე, ქალღვთაებანი როგორც წესი, სხედან, მამაკაცი ღვთაებები კი დგანან... ვხვდებით ღვთაებათა განსხვავებულ პოზასაც, როდესაც ღვთაება მუხლ-მოდრეკილია.

მცირეაზიული იშთარი (ხურიტული შაუშქა) ორბუნებოვანი ღვთაება იყო, მდედრისა და მამრის თვისებებით. იგი ლომზე დგას [გიორგაძე, 1988, 140].

სამხრეთ-დასავლეთ ირანში აღმოჩენილია პროტო-ელამური ვერცხლის მინიატურული ქანდაკება ძვ. წ. 3100-2900 წწ.იგი წარმოდგენილია დაჩოქილი ხარისთავიანი ფიგურის სახით.



სურ. 5.

დაჩოქილი ხარისთავიან ფიგურასთან მიმართებაში, საქმე უნდა გვქონდეს მდინარე-ღვთაება ფაზისის იკონოგრაფიასთან [ლორთქიფანიძე, 1998, 80-81.]

ეგვიპტური ღვთაება ისიდა, რომელიც დაჩოქილია და თავზე ხარის რქები ადგას, ადიდებდა ნილოსს. [ხვედელიძე, 2013, 171].

შუმერული ნაყოფიერების ქალღმერთის ინანას იპოსტასი არის ფაფრიანი ძუ ლომი, რომელიც კოლხურ თეთრზეც არის გამოსახული. მისი მამა არის მთვარის ღმერთი სინი, დედა - ნინგალი სინის მდედრული ცალი, ძმა - უთუ მზის ღმერთი.

ამგვარად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კოლხურ თეთრზე გამოსახული დაჩოქილი ხარისთავიანი ფიგურა საკმაოდ ახლოს დგას ზემოთ ჩამოთვლილ ღვთაებებთან, როგორც ვიზუალურად, ისე დეტალებით და ჩემი აზრით, შინაარსობრივადაც. მთავარი კი ამ ღვთაებების მნიშვნელობაა. ისინი დაკავშირებულნი არიან ნაყოფიერებასთან, წყალთან (მდინარესთან), ამინდთან, რაც მნიშვნელოვანი ელემენტებია უძველესი ხალხების ცხოვრებაში.

კოლხური თეთრის II ტიპის დიდრაქმასთან (სურ 6) დაკავშირებით მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული.

სურ. 6.

სერგო მაკალათია II ტიპის კოლხური დიდრაქმის შუბლის გამოსახულებას არტემიდე-დალისთან აკავშირებდა, ევგენი პახომოვის აზრით, მონეტის ავერსზე „დამოუკიდებელი ადგილობრივი ღვთაებაა“ ამოტვიფრული, ზოგოერთი მას ჰერასთან აიგივებდა, ზოგი რეაკიბელასთან და სამთავიან ჰეკატესთან, რომელიც მონეტაზე მოთავსებული სამი ერთნაირი გამოსახულების მიხედვით, მთვარის სამ ფაზას ასახიერებს, ა. ბულტინოვა თვლიდა, რომ ჰეკატეს ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ადგილობრივი ფასიანელი ღვთაება. საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა ინგლისელმა ისტორიკოსმა ჯონ ჰაიდნმა. მისი მტკიცებით, ამ მონეტების შუბლზე გამოსახულია ფრიქსე, ხოლო ზურგზე - მისი ორი ვაჟი [დუნდუა, 2003, 37].

ჩემი აზრით, II ტიპის დიდრაქმაზე გამოსახულია ტრიადა - შუბლზე მთავარი ღვთაებაა, ხოლო ზურგზე - მისი ორი მსახური - მთვარის კულტთან დაკავშირებული ღვთაებები. ამ ჰიპოთეზასთან ახლოს დგას ხეთურ-ხურიტული რწმენა-წარმოდგენები.

იშთარის მსახური ღვთაების როლში გამოდის ქალღვთაებათა წყვილი: ნინათა და ქულითა, რომლებიც ასევე ემსახურებიან მამაკაცის სახით წარმოდგენილ ე.წ. „ძახილის“ იშთარს. მსგავსი წყვილი მსახური თუ მცველი ღვთაებანი იყვნენ, აგრეთვე ხეთური წყაროების სხვა მონაცემთა მიხედვით, ხურიტული წარმოშობის შერი (ხურ. „დღე“) და ხური (ხურ. ღამე). ეს უკანასკნელნი იყვნენ ღვთაებრივი ცხოველები და, ამავე დროს მცველი თუ მსახური ღვთაებანი ხურიტული ტაროსის ღვთაება თეშუბისა, რომელიც მოგვიანებით ხეთებმაც გააღმერთეს თავისი წყვილი ღვთაებითურთ.

ამგვარად, მთავარ ღვთაებასთან ერთად, აღნიშნული წყვილი ღვთაებანი ქმნიდნენ ღვთაებათა ე. წ. „ტრიადას“ (შდრ. იშთარი - ნინათა - ქულითა; თეშუბი - შერი - ხური; ტაროსის ღვთაება - ხაცი - ნამნი და სხვ.), რომელიც ფუნქციონალურად ერთ დიდ კულტს განასახიერებდა [გიორგაძე, 1988, 145].

ფარნავაზმა დააარსა სრულიად ახალი კულტი - ღვთაებათა სამეული არმაზის უზენაესობით. იგი უნდა შექმნილიყო ღვთაებათა აღწერილობის ძველ მცირეაზიულ მოდელთან მიმსგავსებით. ჩანს, ასეთი „მოდელი“ არსებობდა ანატოლიაში არა მარტო ხეთურ-ხურიტულ ხანაში, არამედ მომდევნო პერიოდშიც (ძვ. წ. I ათასწლეულში), როდესაც ხეთურ-ხურიტული კულტურისა და რელიგიის ტრადიციები ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი აღმოსავლეთ მცირე აზიაში [გიორგაძე, 1988, 150-151].

ცნობილია, რომ არაბეთში ისლამამდე გავრცელებული იყო მთვარის ღმერთის ქალიშვილების თაყვანისცემა. არაბული წარმართული ღვთაებები: ალ-ლათ, ალ-უზა და მანათი ღვთაებათა სამეულს ქმნიდა.

ეგვიპტური ღვთაება თოთი (მთვარის ღმერთი) სამგზის გაბრწყინებულად, ტრისმეგისტად იწოდება [ხვედელიძე, 2013,155-157.].

რაც შეეხება, კოლხურ თეთრზე გამოსახულ ქალღვთაებასა და ხარს, მისი კულტი შეიძლება ითქვას, განხილული ღვთაებებიდან უძველესია საქართველოში და მათ რელიგიურ პანთეონში გამორჩეული ადგილი ეკავათ (სურ. 7.).

სურ. 7.

თავდაპირველად „დიდი დედა“. „ღმერთების დედა“ სხვადასხვა სახელით გვხვდება, ხოლო უფრო გვიან მისი კულტი გაფორმდა, როგორც ქალღმერთ „კიბელას“ თაყვანისცემა. კიბელას, რომელიც მარადმოქმედ, სიცოცხლის მომნიჭებელ ბუნების ძალას განასახიერებს, უძველესი დროიდან თაყვანს სცემდნენ მცირე აზიაში. ამ კულტის სამშობლოდ მიჩნეულია ფრიგია, საიდანაც ის გავრცელდა ლიდიაში, ლაკონიაში, ბითვინიაში, კაპადოკიასა და მცირე აზიის სხვა ქვეყნებში [Антонова, 1977, 67].

ნაყოფიერების მდედრობითი სქესის ღვთაებას შუმერები უწოდებდნენ ნინას, ნანას, (ნინნი, ინანა). იბერიაში აინინასა და დანანას სახელით მოიხსენიებდნენ. ასურეთსა და ბაბილონში მას თაყვანს სცემდნენ იშთარის სახელით და სხვ. ხშირად, განსაკუთრებით ხეთების ხელოვნებაში იგი წარმოდგენილია ლომებზე ამხედრებული. მისი კულტი ფართოდ იყო გავრცელებული მცირე აზიასა და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე [კეჭაყმაძე, 1961, 34, 35].

„ღმერთების დედის“, ანუ „დიდი დედის“ კულტი ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოშიც, როგორც ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს „დიდი დედის“ თაყვანისცემა ქართველ ტომებში ჯერ კიდევ გვარონული წყობილების რღვევის ხანას განეკუთვნება [ბარდაველიძე, 1957, 61].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ხარისა და ქალღმერთის

გამოსახულებას ვხვდებით კოლხური მონეტების ერთ ჯგუფზე. კოლხური თეთრების რევერსზე ხარის გამოსახულება, თუ ერთის მხრივ, მიუთითებს მიწათმოქმედი ხალხის, კოლხების შემეცნებაში საქალაქო ცხოვრების გაჩენის შემდეგაც ხარის კულტის ცხოველმყოფელობაზე, მეორეს მხრივ, აშკარად განსაზღვრავს, თუ რა დატვირთვა აქვს ავერსზე ამოტვიფრული ქალღმერთის გამოსახულებას. ეს არის მიწათმოქმედთა და პირუტყვთა მფარველი ღვთაება, კოლხეთის მთავარი დედაღმერთი [Куфтин, 1949, 254].

გამოსახულებათა შეხამების თვალსაზრისით ურეკის ორმოსამარხში ქალღვთაების სკულპტურასთან ერთად შემთხვევითი არ არის კოლხურ თეთრზე ხარღვთაების ქანდაკების აღმოჩენა [მიქელაძე, 1985, 62].

ამგვარად, ნაშრომში გამოთქმული მოსაზრება შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს, რომელმაც შესაძლოა „გასაღები“ მოგვცეს კოლხურ თეთრზე არსებული გამოსახულებების გენეზისის დადგენის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

ახვლედიანი, გ. (2002). *მითოლოგიის საკითხები ექვთიმე თაყაიშვილის ხელნაწერ ნაშრომებში.* ლიტერატურული ძიებანი №24.

ბარდაველიძე, ვ. (1941). *ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ).* თბილისი.

გიორგაძე, გ. (1988). *ათასი ღვთაების ქვეყანა (ხეთები და ხეთური ცივილიზაცია).* თბილისი.

დუნდუა, გ. (1970). კოლხური თეთრი. *ძეგლის მეგობარი კრ.23.*

დუნდუა, გ. (2003). *კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა).* იბერია-კოლხეთი. საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული #1. თბილისი

ვადბოლსკი, მ. (1980). *საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა.* თბილისი.

კაპანაძე, დ. (1969). *ქართული ნუმიზმატიკა.* თბილისი.

კეჭაყმაძე, ნ. (1961). *უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ.* წიგნი II. თბილისი.

ლორთქიფანიძე, ო. (1998). *მდინარე-ღვთაება ფასისი („კოლხური დიდრაქმების“ I ტიპის იკონოგრაფიისთვის.* - ძიებანი № 1. თბილისი.

სამსონია, ნ. (2008). *შუამდინარული გლიპტიკა.* თბილისი.

სულავა, ნ. (2005). *ლომის მეტაფორა „ვეფხისტყაოსანში“.* ლიტერატურული ძიებანი. №26 (ნაწილი I)Куфтин, Б. А. (1949). *Материалы к археологии Колхиды.* Тбилиси.

ხვედელიძე, მ. (2013). *ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია.* თბილისი.

Антонова, Е. (1977). *Антропоморфная скульптура древних земледельцев Передней и Средней Азии.* Москва.

Бардавелидзе, В. (1957). *Древнейшие религиозные верования и обрядовое графические искусство.* Тбилиси.

სურათების აღწერილობა

1. კოლხური ტეტრადრაქმა.
2. კოლხური დრაქმა.
3. ეხნატონი ოჯახით. ძვ. წ. XIV ს.
4. ქალღვთაება ანაჰიტა არტაქსერქსე II-ს წინაშე.
5. I ტიპის კოლხური დიდრაქმა.
6. II ტიპის კოლხური დიდრაქმა.
7. II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმა.

For the genesis of images on the Colchian white

Mtskeradze Giorgi,
I. Gogebashvili Telavi State University
giorgi.mtskeradze@gmail.com

Summary

The present work aims to research the genesis of images on Colchian White.Who are depicted on him, also what should be indicated by the letters depicted on the II type hemidrahm, What connection and parallels can we find the gods of the Colchian white with the beliefs and performances of the various ancient civilizations of the world and the religious pantheon.

The problem of the Colchian White is not only Georgian Numismatics, but also of Georgian historiography. Although, much has been pubblished about it, nowadays many issues related to it can not be considered as a final decision. This is primarilyitis due caused by unepigraphic character of Colchian white. Secondly, written sources do not say anything about the case of the colchian coins.

The study of Colchian white has many aspects. Among them is very interesting issues of iconography and their semantics.

In the Colchis, the Sun and the Moon were equally important. Accompanied by zoormorphic animals, accordingly, the attributes of this cult were well represented in ancient Colchis.

ბრინჯაოს ხანის მასალა სამშვილდის უახლესი გათხრებიდან

გაბელაია ნინო,
დამოუკიდებელი მკვლევარი
ninogabelaia22@yahoo.com

პრეამბულა

სამშვილდის უახლესი გათხრების შედეგად აღმოჩენილი შუა და გვიანბრინჯაოს ხანის მასალები კერამიკის სახითაა წარმოდგენილი*. აღნიშნული მასალა უმეტესად, აღმოჩენილია შიდა ციხეში. ამ ტიპის კერამიკის აღმოჩენა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს ადასტურებს, სამშვილდის კონცხზე, ციტადელის აგებამდე უფრო ადრეული პერიოდის ნამოსახლართა არსებობით. იქიდან გამომდინარე, რომ მოპოვებული კერამიკა უძრავი ფენებიდან არ მომდინარეობს ზუსტ სტრატიგრაფიულ სურათზე საუბარი ჯერჯერობით ჭირს. თუმცა, ცხადია, რომ ადრეული მასალის შემცველი ფენები შუა საუკუნის მძლავრი ფენებითაა გადაფარული. კერამიკის ზედაპირი შავპრიალაა, მონაცრისფრო სარჩულით. კერამიკა გაფორმებულია წერტილოვანი ორნამენტებით შექმნილი გეომეტრიული ფიგურებით. ჭარბობს სამკუთხედები, ტეხილი და ვერტიკალური ხაზები. ეს მასალა შუაბრინჯაოს ხანის კერამიკის იდენტურია. მათი თარიღი, შესაბამისად, განისაზღვრა ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრით. ასევე, ამ მასალასთან ერთად, აღმოჩნდა ჭურჭლის ზოომორფული ყურებიც. სამშვილდეში აღმოჩენილი შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკული მასალა მცირე რაოდენობით აღმოჩნდა, სულ 36 ფრაგმენტია. მათ შორის უმეტესობა უსახურია, არ არის ორნამენტებით გაფორმებული, მხოლოდ შავპრიალაა. უმეტესი ჭურჭლის ფრაგმენტი კი გვიანბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. მათ შორისაა „ზოომორფული ყურებიც“. იქიდან გამომდინარე, რომ სამშვილდეში გათხრები ახალი დაწყებულია და ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. ამიტომ ცალკეულ საკითხებზე კონკრეტული დასკვნების გაკეთება ნაადრევია. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ მომავალი გათხრები ამის საშუალებას მოგვცემს. არსებული მასალებით შეგვიძლია გამოვიკვლიოთ რა სახასიათო ნიშნები ახასიათებდა ამ პერიოდის კერამიკას. დავაკვირდეთ ორნამენტების სახეობებს, შიდა და გარე შეფერილობას, ასევე კეცის შეფერილობასა და რა სახის მინარევებს, რომელსაც შეიცავდნენ ისინი.

თხრილების აღწერილობა სადაც აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის მასალა

2017 წელს ამ პერიოდის მასალები აღმოჩნდა სიონის უბნის № O8, № O17 და №8 თხრილებში. № O8 თხრილის კონტექსტი III, რომელიც წარმოადგენს კირისა და თიხის ტკეპნილს ე.წ „კირის მოედანს“. განფენილია კონტექსტი № I-ის ქვეშ დაზიანებულია სამეურნეო ორმოთი. მასზეა განლაგებული კონტექსტი № II.

№ O17 თხრილი. ამ თხრილში ბრინჯაოს ხანის მასალა აღმოჩნდა მე-12-ე კონტექსტში. იგი წარმოადგენს № O17 თხრილის გაუთხრელ მონაკვეთზე განფენილ შრეს. ეს ფენა იდენტურია და შეესაბამება 2016 წლის I კონტექსტს.

---

* 2012 წლიდან სამშვილდეში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს საქართველოს უნივერსიტეტი.

№ 8 თხრილი. თხრილში მსგავსი მასალა გვხვდება 1 კონტექსტში. ეს კონტექსტი წარ-მოადგენს კულტურულ ფენას, რომელიც მდებარეობს უშუალოდ კორდოვანი ფენის ქვეშ. მიწის ზედაპირიდან 20 სმ სიღრმეზე. ეს თხრილიც, დანარჩენი თხრილების მსგავსად, მდებარეობს სიონის უბანზე.

№ 68 თხრილი. ბრინჯაოს ხანის მასალა აღმოჩნდა 15 კონტექსტში, რომელიც წარმოადგენს ბაზალტის ლოდებს შორის მოქცეულ ფენას. ეს ფენა მთლიანად იყო დაფარული ნაყარი ფენით [ბერიკაშვილი, გრიგოლია, ყვავაძე, მიულერი, კუპალი, 2017, 4-5].

კერამიკული მასალის დახასიათება

მოპოვებულ მასალაში განირჩევა ხუთი სახის ორნამენტი: ღარული, რელიეფური, წერტილოვანი, ნაპრიალები და ნაკაწრი.

შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება შემდეგი ორნამენტული სახეები:

წერტილოვანი ორნამენტი

1. ფრაგმენტი საინ. № 466. სარტყელი შევსებულია ირიბი წერტილოვანი ორნამენტით (ტაბ: 1.1).
2. ფრაგმენტი საინ. № 257. სარტყელი შევსებულია ერთმანეთისკენ დახრილი წერტილოვანი ხაზებით (ტაბ: 1.2).
3. ფრაგმენტი საინ. № 228. გამოსახულია ორი ჰორიზონტალური სარტყელი, რომელიც შევსებულია ჰორიზონტალურად განლგებული წერტილოვანი ხაზებით (ტაბ: 1.3).
4. ფრაგმენტი საინ. № 248. სარტყელი შევსებულია ირიბად დახრილი წერტილოვანი ხაზებით. სავარაუდოდ სარტყელის გაგრძელებას წარმოადგენდა ტეხილი სარტყელი, რომელიც შევსებულია წერტილოვანი ორნამენტით (ტაბ: 1.4).

რელიეფური ორნამენტი

5. ფრაგმენტი საინ. № 385. ზედაპირი გაფორმებულია სამმაგი, წერტილოვანი, ტეხილი ხაზით. ზედაპირი შავპრიალაა. კეცი ნაცრისფერი (ტაბ: 1.5).

გვიან ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება „ზოომორფული ყურები“.

ფრაგმენტი საინ. № 757. ზედაპირი არის მოწითალო ფერის. ორნამენტები არ აქვს. კეცი ნაცრისფერია. არ შეიცავს მინარევებს.

ფრაგმენტი საინ. № 619. ზედაპირი ნაცრისფერია. კეცი ნაცრისფერია და არ შეიცავს მინარევებს. თიხა ძალიან მკვრივია.

სამშვილდის მასალის პარალელები

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი საინ. № 385. გაფორმებულია წერტილოვანი ორნამენტით. ზედაპირი შემკულია სამმაგი წერტილოვანი ტეხილი ხაზით. კეცი ნაცრისფერია. ზედაპირი შავპრიალაა.

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი საინ. № 466. ზედაპირი შავპრიალაა. გაფორმებულია ღარული და წერტილოვანი ორნამენტებით. ორ სარტყელს შორის ირიბად დახრილი წერტილოვანი ხაზებია მოთავსებული.

ჭურჭლის ფრაგმენტი საინ. № 248. პირგვერდის ნაწილი.სარტყელი შევსებულია ირიბად დახრილი წერტილოვანი ხაზებით. სავარაუდოდ სარტყლის გაგრძელებას წარმოადგენდა წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედები. სამკუთხედები, რომელიც

შევსებულია წერტილოვანი ორნამენტით.

ჭურჭლის ფრაგმენტი საინ. № 257. სარტყელი შევსებულია ერთმანეთისკენ დახრილი წერტილოვანი ხაზებით.

ტაბულა I

შუაბრინჯაოს ხანა

1.

2.

3.

4.

5.

აღნიშნულ არქეოლოგიურ მონაპოვრებს ბევრი პარალელები გაჩნია თრიალეთის კულტურაში.

ჭურჭლის ფრაგმენტი საინ. № 257. ფრაგმენტი განეკუთვნება შუაბრინჯაოს ხანას. მსგავსი ორნამენტი გვხვდება ახჩიის № 1 ყორღანში [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, 36] ასევე მსგავსი ორნამენტი გვხვდება, თრიალეთის № XV, № XLV, № XLI [გოგაძე, 1972, ტაბ:31]. ყორღანებში და დუმეილას N 2 ყორღანში. [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავა-ლიშვილი. წერეთელი, 1981, 126].

ჭურჭლის ფრაგმენტი საინ. № 248. ფრაგმენტი განეკუთვნება შუაბრინჯაოს ხანას.

ამ ნატეხის ორნამენტის ზუსტი ანალოგი გვხვდება ახჩიის № 2 ყორღანში [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, 36] და № 9 ყორღანში [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, 57]. ასევე მსგავსი ტიპის ორნამენტი მრავლად გვხვდება თრიალეთის ყორღანებში. მაგალითად: № XLV [გოგაძე, 1972, ტაბ: 30] და № V ყორღანებში [გოგაძე, 1972, ტაბ: 17]. ასევე ბერთაყანის № 1 ყორღანში [ჯაფარიძე,

კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, 32]. ჭაჭკარის № 1 ყორღანში [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, 88]. ჰოკუაანთ კოჟორის № 2 ყორღანში [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, 134].

ჭურჭლის ფრაგმენტი საინ. № 466. ფრაგმენტი განეკუთვნება შუაბრინჯაოს ხანას.

ამ ფრაგმენტის ორნამენტის პარალელი აღმოჩენილია თრიალეთის XVII [გოგაძე. 1972, ტაბ: 25-14] და XIX ყორღანებში [გოგაძე, 1972, ტაბ: 19] . ასევე ახჩიის № 2 ყორღანში [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, 36]. № XII [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, 65] და № XIII ყორღანებში [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, 67].

ფრაგმენტი № 385. ფრაგმენტი განეკუთვნება შუაბრინჯაოს ხანას. ეს ფრაგმენტის წერტილოვანი ორნამენტის ერთ-ერთი სახეობაა.

მსგავსი ორნამენტი აღმოჩენილია ბერთა ყანის № 2 ყორღანში [ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981, 87]. მაგავსი ორნამენტი ფიქსირდება თრიალეთის № XLI ყორღანში [გოგაძე, 1972, ტაბ: 30].

ფრაგმენტი № 229. ფრაგმენტი განეკუთვნება შუა ბრინჯაოს ხანას.

მსგავსი ტიპის ორნამენტი აღმოჩნდა № XVII ყორღანში [გოგაძე, 1972, ტაბ: 25].

ასევე იორ-ალაზნისა [ფიცხელაური, 1965, 83] და სამთავროს სამაროვანში [ჯაფარიძე, კიკვიძე, წერეთელი, ავალიშვილი, 1981, 130].

გვიანბრინჯაოს ხანის „ზოომორფული ყურების“ მსგავსი მასალა აღმოჩენილია სამშვილდეშიც.

ფრაგმენტი საინ. № 619. მსგავსი „ზოომორფული ყურები“ აღმოჩენილია ხოვლეს ნამოსახლარზე, VIII ჰორიზონტში [მუსხელიშვილი, 1978, ტაბ: 3]. მსგავსი ყურები აღმოჩენილია ხოვლეს ნამოსახლარის VII ჰორიზონტზე [მუსხელიშვილი, 1978, ტაბ: 11].

ფრაგმენტი საინ. № 757. მსგავსი „ზოომორფული ყურები“ აღმოჩნდა ხოვლეს ნამოსახლარზე, III [მუსხელიშვილი, 1978, ტაბ: 16] და V ჰორიზონტზე [მუსხელიშვილი, 1978, ტაბ: 35]. ასევე მსგავსი „ზოომორფული ყურები“ ნაპოვნია საციხურის გორის ნამოსახლარზე [ფიცხელაური, 2005, ტაბ: 13].

ტაბულა II

გვიან ბრინჯაოს ხანა

6.

7.

დასკვნა

ამრიგად, როგორც ვნახეთ, სამშვილდეში აღმოჩენილი კერამიკული მასალა განეკუთვნება შუა და გვიან ბრინჯაოს ხანას. ჭურჭლის ფორმებზე საუბარი ჯერჯერობით რთულია, რადგან სამშვლდეში აღმოჩენილი კერამიკული ფრაგმენტები არ იძლევა ამის საშუალებას. არსებული ინფორმაციის საფუძვლზე შეიძლება ითქვას, რომ მომავალში ამგვარი ტიპის კერამიკა მნიშვნელოვნად მოიმატებს.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგაძე, ე. (1972). *თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი.* თბილისი. მეცნიერება.

მუსხელიშვილი, დ. (1978). *ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა.* თბილისი. მეცნიერება.

სადრაძე, ვ. (2002). *მცხეთისა და მისი შემოგარენის ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი. მეცნიერება.

ფიცხელაური, კ. (2005). *ცენტრალურ ამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ. წ. XIV- XV სს.* თბილისი. მეცნიერება.

ჯაფარიძე, ო., კიკვიძე, ი., ავალიშვილი, გ., წერეთელი, ა. (1981). *მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები.* თბილისი. მეცნიერება.

Bronze Period Material from the Recent Excavations in Samshvilde

Gabelaia Nino,
Indipendent Researcher
ninogabelaia22@yahoo.com

Ceramic material of the Middle and Late Bronze Period obtained from the recent excavations in Samshvilde is reviewed in the article*. The MBP dates back to the 1st half of II millennium BC and the LBP dates back to the 2nd half of II millennium BC.

The topic is also important because the practical material available for me which was the main object of my research was discovered in the former settlement of Samshvilde. The materials of the Middle and the Late Bronze Period discovered as a result of the recent excavations in Samshvilde are represented in the form of ceramics. This discovery is made more significant due to the fact that the material of this period has not been discovered in the former settlement of Samshvilde. The ruins of the Kura–Araxes culture of the pre-Middle Bronze era were discovered at the distance of 1.5 km from village Samshvilde. A burial ground and the ruins were studied here as a result of archaeological expedition in 1968-1970.

It is known that ceramic material is the best identifier of the date of the archaeological monument. It also represents numerous artifacts. Therefore, many researches used to be conducted on this topic in the scientific field and are conducted now. So, when writing this article we actively used the reports written during the archaeological exploration and scientific literature related to the subject of my research. I compared the available material to the already examined materials of this period.

I conducted the research in two directions:

1. Study of ceramic materials of the Middle Bronze Era (Trialeti culture) and the Late Bronze Era.
2. Study of the production technology, color, earthenware frying-pots and ornaments of ce ramics of both periods.

The material discovered in the former settlements of Samshvilde is represented in a very small amount. Most of fragments are black-glazed and are decorated with dotty ornaments. Relief, corrugated and polished ornamentation is also encountered. 36 fragments of crockery were discovered. Half of them were unattractive and very small in size. I looked for parallels of the material ornamentation on various monuments of the Bronze era and established the chronological period of this material. The existing material did not allow me to explore the development of pottery and workmanship in this former settlement, however it allowed me to find out the characteristics of ceramics of this period, ornamentation types, internal and external colors, as well as the color of earthenware frying-pots and alloys they contained.

Due to the fact that excavations have started in Samshvilde recently and are actively being conducted, we should expect more news. Therefore, it is too early to make specific conclusions on certain issues.

---

* Since 2012 Samshvilde Archaeological Expedition of the University of Georgia conducts an archaeological studies of the site.

შულავერ - შომუ თეფეს კულტურის ახალი ქვის მასალა მარნეულის ველიდან

დოლაბერიძე დავითი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
doladato@yahoo.com

შესავალი

ქალაქი ესაა შედეგი და სიმბოლო რევოლუციისა, რომელიც გულისხმობს საზოგადოების ევოლუციის ახალ ეკონომიკურ ეტაპს. სიტყვა რევოლუცია არ უნდა გავიგოთ, როგორც მოულოდნელი კატასტროფა, ამ შემთხვევაში რევოლუციაში იგულისხმება ეკონომიკური სტრუქტურისა და სოციალური ორგანიზმების პროგრესული ცვლილება [Childe, 1950, 3].

ჩვენი კვლევის ობიექტი ამ შემთხვევაში გახლავთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურა, რომელსაც შულავერ-შომუ თეფეს სახელით ვიცნობთ (ტაბ.1)*. აღნიშნული კულტურა ხასიათდება წრიული ფორმის, ალიზაგურისგან აშენებული სახლებით, მოშინაურებული ცხოველებითა და კულტივირებული მცენარეებით. მატერიალურ კულტურაში გვხვდება ხელით ნაძერწი კერამიკა, ამოკაწრული და რელიეფური ორნამენტი, ობსიდიანის ნაწარმი წარმოდგენილია ლამელაზე დამზადებული სახვრეტებითა და საფხეკებით, დიდი რაოდენობით ძვლისა და რქის იარაღებით [Hamon, 2008, 87].

2016 წლის მარნეულის ველის მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე სოფ. ბაილართან დაზვერვების შედეგად მოპოვებული მასალა, რომლის შესწავლაზეც არის დამყარებული ქვემოთ მოყვანილი სტატია, ჩვენი აზრით თავისი მორფოლოგიური ნიშნებით, იარაღების დამზადებისა და დამუშავების ტექნიკით, მსგავსია შულავერ - შომუ თეფეს გორანამოსახლარებზე აღმოჩენილი ქვის არტეფაქტებისა**. ამდენად, ამ ეტაპზე, კვლევის მიზანს წარმოადგენს არა ამ მასალის ნეოლითისთვის ან ენეოლითის მიკუთვნება***, არამედ შულავერის ჯგუფის გორანამოსახლარებზე აღმოჩენილ ქვის მასალასთან, დაზვერვებით მოპოვებული მასალების შედარება: მსგავსებისა თუ განსხვავების დადგენა და განხილვა.

აქვე მნიშნველოვანია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში, როცა მიმდინარეობდა ადრესამიწათმოქმედო ძეგლების მოძიება მარნეულის ველზე, ეს ხდებოდა მხოლოდ მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე. ხოლო 2016 წლის დაზვერვებით მოპოვებული მასალა მარნეულის ველზე, ხრამის მარცხენა ნაპირზე აღმოჩნდა. ამის გათვალისწინებითა და დაზვერვებით მოპოვებული მასალის სიახლოვით შულავერის ჯგუფის გორანამოსახლარების ქვის არტეფაქტებთან, საფიქრებელია ხომ არა გვაქვს საქმე შულავერ - შომუ თეფეს კულტურის ახალ ძეგლთან ან ძეგლების ჯგუფთან**** [ლოსაბერიძე, 2018, 98-117].

---

* ფოტოებსა და ტაბულებზე იმუშავეს ლ. ლოსაბერიძემ და რ. ბერიძემ.

** დოლაბერიძე დ., ლოსაბერიძე ლ., ჩილინგარაშვილი გ. და ელოშვილი მ. 2018. არქეოლოგიური დაზვერვები სოფელ ბაილარში, „ძიებანი“ №24, თბილისი.

*** მეცნიერთა წრეებში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რომელ პერიოდს (ნეოლითი, ენეოლითი) განეკუთვნება შულავერ - შომუ თეფეს კულტურა [ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 226-227].

**** როგორც ვიცით 3 - 5 ნამოსახლარი გარკვეულ ტერიტორიაზე ქმნიან ერთ ჯგუფს. მაგალითად არუხლოს ჯგუფი [Bastert, Lamprichs და სხვ. 2011, გვ. 10-12].

1

2

ტაბ. 1.

მარნეულის ველის ის ნაწილი, სადაც გავრცელებულია ადრესამიწათმოქმედო გორა ნამოსახლარები, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირის ვიწრო ზოლს წარმოადგენს. მისი სიგრძე 38 კილომეტრია და გადაჭიმულია ჩრდილო - დასავლეთიდან სამხრეთ - აღმოსავლეთისაკენ. სიგანე მერყეობს 2 – 18 კმ შორის. დაბლობი დასერილია ხრამის

მარჯვენა შენაკადებით - მაშავერით, საღზაღანის ღელით, შულავრის ღელით და დებედით [მარუაშვილი, 1970, 229-230].

2016 წლის გადაჭრილი გორის* ექსპედიციის მსვლელობის დროს, ადგილობრივმა მოსახლემ შეგვატყობინა, რომ მის ნაკვეთზე მიწის სამუშაოების დროს იპოვნა ისეთი ნივთები, როგორიც მან გადაჭრილი გორის ექსპედიციის ბაზაზე ნახა და თან მოიტანა კონუსური დიდი ზომის ობსიდიანის ნუკლეუსი. ამ ინფორმაციის საფუძველზე ექსპედიციაში ჩამოყალიბდა ჯგუფი (ჯგუფის წევრები: დ. დოლაბერიძე, ლ. ლოსაბერიძე, გ. ჩილინგარაშვილი მ. ელოშვილი), რომელსაც დაევალა აღნიშნული ნაკვეთის დაზვერვა [დოლაბერიძე და სხვ. 2018].

შულავერის ჯგუფის ძეგლებიდან (გადაჭრილი და შულავრის გორები) ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით, სოფელ ბაილარის (რუკებზე - პატარა ბეგლარი) მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ხრამის მარცხენა სანაპიროზე გამოვლინდა შულავერ - შომუ თეფეს კულტურისათვის დამახასიათებელი არტეფაქტები (ტაბ.1_2).

სოფელ ბაილარის სახნავ - სათესი მიწების ტერიტორიაზე დაიზვერა დაახლოებით 40.450 $მ^2$ ფართობი (ტაბ.2). (41°25.706'N/44° 48.796'E; ზ.დ. - 370 მ). სულ 2016-2017 წლებში აიკრიფა 573 ქვის არტეფაქტი. დაზვერვებით მოპოვებული არტეფაქტები ჩაბარდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამთავრო - თრიალეთის ფონდს, სადაც მიენიჭა სამუზეუმო ნომერი: 17 - 2016 ბაილარი.

დაზვერვით მოპოვებულ მასალაში ქანების სახეობებიდან გვხვდება ყველაზე დიდი რაოდენობით ობსიდიანი, ასევე არის კაჟი, ქალცედონი, გაკვარცებული ტუფი, მერგელი, ჰიალო - ანდეზიტი, ბაზალტი, გრანიტი, დიორიტი და ქვიშაქვა**. მასალის შესწავლის საფუძველზე გამოვყავით საშუალო (Mediolithics) და დიდი (macrolithics) ზომის არტეფაქტები***: 1. ნუკლეუსები; 2. ანამტვრევები; 3. ანატკეცები და მათზე ნაკეთები იარაღი; 4. ლამელები, ლამელის ფრაგმენტები და მათზე ნაკეთები იარაღები; 5. ქვის სხვა მასალა - ვულკანოგენ-დანალექ და ვულკანურ ქანზე ნაკეთები კომბინირებული იარაღები (სასრესები/სატეხები/საბეგვები), ხელსაფქვავების ზედა და ქვედა ქვები და გახეხილ - გაპრიალებული იარაღები****.

ნუკლეუსები (26 ც.) - ნედლეულად გამოყენებულია ობისიდიანი (17 ც.), კაჟი (2 ც.), მერგელი (2 ც.), ტუფი (2 ც.), რიოლითი, დაციტი, ბაზალტი. ობსიდიანის ნუკლეუსების უმრავლესობა უტილიზებულია 5.5X3.7X3.0 სმ; 4.0X3.5X3.0 სმ. ოთხი ერთფუძიანი ნუკლეუსი კონუსური ფორმისაა და მრავალფაცეტიანია 12X10X9.0 სმ (ტაბ.3_1); 8.0X5.5X4.5 სმ; 5.4X3.4X2.5 სმ (ტაბ. 4_3). საინტერესოა ობსიდიანის ერთფუძიანი ნუკლეუსიც 4.5X3.5X3.0 სმ (ტაბ. 4_2). სხვა ჯიშის ქანებისგან დამზადებულ ნუკლეუსების უმეტესობას აქვს კაჭრის კანი (სიგრძე 2-დან 9 სმ-მდე; სიგანე 2-დან 6 სმ-მდე).

ანამტვრევები (26 ც.) - აქედან 12 ქალცედონის, 9 ობსიდიანის და 5 სხვა ქანის. გვხვდება როგორც მასიური, ისე მცირე ზომის ანამტვრევები. მხოლოდ რამდენიმეს ეტყობა გამოყენების კვალი.

ანატკეცები (261 ც.) - ორივე წლის მოპოვებულ მასალაში მორფოლოგიური ნიშნით გაერთიანებულ ყველაზე დიდი ჯგუფს ქმნის. ნედლეულად გამოყენებულია: ობსიდიანი

---

* გათხრები აქტიურად მიმდინარებოს 2012 წლიდან (ხელმძღვანელი მ. ჯალაბაძე).

** ქანები განსაზღვრა რ. ჩაგელიშვილმა.

*** დაზვერვით მოპოვებულ მასალაში არ გვხვდება მიკროლითები.

**** ნატკეცი ქვის დახასიათებისას ვიყენებთ წიგნში - ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგები (1965 -1971 წ.წ.) თბილისი. 1975. რედაქტორები ალ. ჯავახიშვილი, ო. ჯაფარიძე. - მოცემულ ტიპოლოგიას.

(238 ც.), კაჟი, ქალცედონი ტუფი და სხვა ჯიშის ქვები. გვხვდება როგორც მასიური, ისე მცირე ზომის ანატკეცები 7.5X5.2X2.6 სმ; 3.0X2.0X1.3 სმ. ნახევარს აღენიშნება გამოყენების კვალი. იარაღი ჩამოყალიბებულია 15 მათგანზე.

ტაბ. 2.

ლამელები (229 ც.) - მორფოლოგიურად დანისებური ფორმისაა, ნედლეულად გამოყენებულია ობსიდიანი (226 ც.), ქალცედონი და ტუფი. გვხვდება ორფერდა, სამფერდა, ოთხფერდა და ხუთფერდა ლამელები - მათი უმრავლესობა თავ და თავ - ბოლოგადამტვრეულია. მთელი ლამელების ზომები (23 ც.) ასეთია: 6.2X2.8X0.8 სმ; 6.0X1.9X0.6 სმ; 5.3X2.7X0.6 სმ; 4.1X2.0X0.7 სმ; სიგანის მიხედვით გამოიყოფა სამი

ჯგუფი 1) ფართო 2.5 - 3.0 სმ-მდე; 2) ყველაზე მეტად გვხვდება საშუალო 1.5 - 2.5 სმ-მდე; 3) იშვიათად ვიწრო 1 – 1.5 სმ-მდე სიგანის ლამელები. გამოყენებული ლამელების რაოდენობა 178 ცალამდე აღწევს, 17 ლამელაზე დამზადებულია იარაღი.



ტაბ. 3.

ობსიდიანზე დამზადებული იარაღი (31 ც.): 1. საჭრისები (10 ც.) 9 მათგანი ჩამოყალიბებულია მთელ (3.1X1.0X0.4 სმ), თავ და თავ - ბოლოგადამტვრეულ ლამელებზე (5.7X2.0X0.8 სმ), გვხვდება შემდეგი ტიპები: ნისკარტისებური (4 ც.) (ტაბ. 5_4), გვერდითი (3 ც.) (ტაბ.5_{8-9}) (ტაბ.4_9), შუალა (2 ც.) და დუბლირებული (1 ც.). ანატკეცზე დამზადებულია შუალა საჭრისი (4.8X3.7X1.6 სმ) (ტაბ.5_7).



ტაბ. 4.

საფხეკები (11 ც.) 6 ცალი თავ და ბოლოგადამტვრეულ ლამელებზეა ნაკეთები (2.8X2.1X0.6 სმ; 3.8X2X0.6 სმ) ძირთადად ბოლოკიდურა საფხეკებია ოვალური სამუშაო პირით, რომელთა ორივე გვერდი რეტუშირებულია (ტაბ.5$_{2-6}$). 5 ცალი დამზადებულია ანატკეცზე, 1 მათგანი ლამელისებურ ანატკეცზე დამზადებული ბოლოკიდურა საფხე-

კია (4.3X2.5X0.9 სმ) (ტაბ.4_{10}), ამათგან 2 ცალი მომრგვალო ანატკეცის გვერდზე ჩამოყალიბებული ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკია (3.7X2.9X1.4 სმ; 3X3.5X1.1 სმ).

სახოკები (2 ც.) ორივე მასიურ ანატკეცზეა დამზადებული, 1. მასიურ ნუკლეოსის განივ ანატკეცზე დამზადებული სახოკი (8.6X5.6X3.3 სმ), სამუშაო პირი ნახევრად წრიული აქვს (ტაბ.5_1) 2. ეს სახოკიც მასიურ ანატკეცზეა დამზადებული (6.9X5.2X2.8 სმ).

ხოწები (3 ც.), ორი დამზადებულია ლამელისებურ ანატკეცზე (3.4X2.4X0.7 სმ;3.4X2.0X0.5 სმ), ერთი კი ლამელის თავსა და ბოლოზე ნაკეთები დუბლირებული ხოწია, რომელსაც გვერდები რეტუშირებული აქვს (6.3X2.6X0.5 სმ) (ტაბ.4_8).



ტაბ. 5.

რაც შეეხება ობსიდიანზე დამზადებულ სხვა იარაღებს (5 ც.), მათში აღსანიშნავია ნახევარფოთლისებური ფორმის მასიურ ანატკეცზე დამზადებული ყუაგამოყოფილი დაკბილული იარაღი (6.3X3.8X1.3 სმ) (ტაბ.4_3). ასევე მასიურ ლამელისებურ ანატკეცზე დამზადებული გვერდებრეტუშირებული იარაღი, რომელსაც ცალ გვერდზე სასაჭრისე ჩამონატეხი აქვს (6.3X3.6X1.0 სმ). თითო თითო ისრის პირის ნამზადი, სათლელისებური იარაღი და მასიურ ანატკეცზე დამზადებული იარაღი.

ობსდიანზე დამზადებულ იარაღებში მხოლოდ ერთი ეგზემპლარით არის წარმოდგენილი კომბინირებული იარაღი. სამფერდა თავ - ბოლოგადამტვრეულ ლამელაზე დამზადებული საფხეკ - საჭრისი (4.6X1.6X0.4 სმ), (ტაბ.5_5).



ტაბ. 6.

გახეხილ - გაპრიალებული იარაღი (2 ც.) : 1 - წარმოადგენს მომწვანო ფერის ტუფის ტრაპეციის მოყვანილობის ბრტყელ სატეხს, რომლის ზედაპირი სრულყოფილად გაპრიალებული და ორმხრივ დამუშავებულია. გვერდითი წახნაგები კარგად არის გამოყვანილი, ხოლო სამუშაო პირი ოვალურია და ბასრი, ყუა კი დაჩეჩქვილი (6.5X3.4X1.6 სმ), (ტაბ.6_1). 2 - სატეხი ასევე მომწვანო - მოშავო ფერის ტუფისგან არის დამ- ზადებული. აქვს ტრაპეციის ფორმა, მაგრამ ერთი გვერდი მეორეზე უფრო დაქანებულია. ყუა და ცალი გვერდი დაჩეჩქვილი აქვს, სამუშაო პირი ოვალური (7.0X5.4X1.6 სმ), (ტაბ.5_1).

ასევე გვხვდება ორი სატეხის ნამზადი - ანდეზიტსა და ტუფზე დამზადებული.

დიდი ზომის იარაღები - კომბინირებული იარაღი (7 ც.) სატეხ-სასრესი - ნედლეულად გამოყენებულია ბაზალტი (2 ც.), კაჟი, ტუფი და სხვა ვულკანოგენ-დანალექი და ვულკანური ქანები. არის როგორც წრიული, ისე წაგრძელებული, კუთხეებმომრგვალებული ფორმის (სიგრძე 9 სმ-დან 20 სმ-მდე; სიგანე 6 სმ-დან 10 სმ-მდე). საჩეხ - საბეგვი იარაღები წრიული ფორმისაა, რომლებსაც წიბოები შესწორებული აქვთ სხვადასხვა სიბრტყიდან ფირფიტების ატკეცვის გზით (6.0X5.0 სმ; 6.8X6.1 სმ). გამოსარჩევია წრიული სამუშაო პირიანი ფორმის გრდემლ - სასრესი (15X15 სმ).

ხელსაფქვავების ზედა და ქვედა ქვები(18ც.) - დამზადებულია მორუხო-მონაცრისფრო ფერის ბაზალტის და სხვა ტუფოგენური ქანებისგან, ყველა მათგანი გადამტვრეულია და ეტყობათ გამოყენების ძლიერი კვალი, ფორმებში გამოიყოფა ნავისებური ზედა და ქვედა ქვები, ასევე ვარცლისებურად ჩარღმავებული ხელსაფქვავის ქვედა ქვა (სიგრძე 16 სმ-დან 28 სმ-მდე; სიგანე 12 სმ-დან 26 სმ-მდე). აღსანიშნავია ოვალური ფორმის მერგელის ქვა, რომელსაც სიბრტყეზე ეტყობა ხელოვნურად ჩაღრმავების კვალი (სავარაუდოდ გამოიყენებოდა სასრესად).

შეჯამება

იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთ აღნიშნული ბაილარის დაზვერვებით მოპოვებული მასალა კონკრეტული ფენიდან არ მომდინარეობს, ერთი მხრივ, ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტი დასკვნების გამოტანა, მაგრამ, მეორე მხრივ, აღმოჩენილი ქვის არტეფაქტები ძალიან ბევრი საერთო ნიშნით მსგავსია შულავერის ჯგუფის (შულავერის გორის IX - I; იმირის გორის VII - I) სამშენებლო ჰორიზონტებში მოპოვებული ქვის არტეფაქტებისა.

შულავერის და იმირის გორის ქვის მასალის შედარებამ ბაილარის მასალასთან აშკარა მსგავსება მოგვცა, როგორც წამყვან ნედლეულად, ობსიდიანის გამოყენებაში (ცხრილი N5), ასევე მის ნამზადში. ნუკლეუსები ფორმით სამივე ძეგლზე ერთნაირია, ძირითადად კონუსური ფორმის, ერთფუძიანი და მრავალფაცეტიანი (ტაბ. 3_{1-4}). გვხვდება ასევე ბოლომდე გამოყენებული (უტილიზებული) ერთეულებიც. ნედლეულად გამოყენებულია როგორც ობსიდიანი, ასევე კაჟი, მერგელი, ბაზალტი და ტუფი [გაბუნია, 2015, 393].

მორფოლოგიურად სამივე ძეგლზე ყველაზე დიდ ჯგუფს ქმნიან ანატკეცები, რომლებიც დამზადებულია ძირითადად ობსიდიანზე (სხვა ჯიშის ქანებზეც). მათში გამოიყოფა ურეტუშო, რეტუშირებული და ამოღარული ანატკეცები და მასზე ნაკეთები იარაღები (ცხრილი N2/4/7). მეორე დიდ მორფოლოგიურ ჯგუფს ქმნის დანისებური ლამელები. ამჯერადაც ერთი და იგივე სურათი გვაქვს. შულავერის, იმირისა და ბაილარის

ლამელები ½ -ზე მეტი რეტუშირებულია, აქ გვხვდება: ცალგვერდრეტუშირებული, ორგვერდრეტუშირებული, თავირიბრეტუშირებული, რეტუშით ამოღარული და დაკბილული ლამელები (ცხრილი: №2/4/7)*.

სამივე ძეგლის შემთხვევაში იარაღები დამზადებულია როგორც ლამელებზე, ისე ანატკეცებზე, მათში წამყვანი ფორმებია: 1. საჭრისები: გვერდითა, შუალა, ხიწვიანი. 2. საფხეკები: ლამელაზე დამზადებული ბოლოკიდურა და მომრგვალო ანატკეცზე ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკები [კიღურაძე. 1976. 50-69]**.

შულავერის და იმირის გორის ობსიდიანის იარაღსა და ბაილარის ობსიდიანი იარაღს შორის სხვაობაზე საუბრისას შეგვიძლია აღვნიშნოთ რომ ამ უკანასკნელში სახოკები და ხოწები მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი. შულავერის ძეგლებისაგან განსხვავებით საერთოდ არ არის ბურღები, სახვრეტები და რეტუშორები. რაც შეეხება კომბინირებულ იარაღს, ბაილარში მხოლოდ ერთი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი, მაგრამ ის დიდი რაოდენობით არც დანარჩენ ორ ძეგლზე გვხვდება (ცხრილი: №7).

მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ სამივე ძეგლზე სატეხების რაოდენობასა და მათი დამზადების ტექნიკას. მიუხედავად იმისა რომ შულავერის გორაზე 2000 - ზე მეტი და იმირზე 3700 - ზე მეტი ქვის არტეფაქტია აღმოჩენილი, მათში სატეხების რაოდენობა ძალიან მცირეა. ბაილარში ნაპოვნია ორი სრული სატეხი და ორი მისი ნამზადი (დიაგრამა №2).

მათმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ბაილარის სატეხები მორფოლოგიურად (ტრაპეციის ფორმის, ოვალური სამუშაო ბასრი პირი, თავი დაჩეჩქვილი) და დამზადების ტექნიკით (გახეხვა-გაპრიალება) მსგავსია, არა მარტო შულავერის და იმირის გორის ერთეულებისა, არამედ გადაჭრილ და არუხლოს გორაზე აღმოჩენილი სატეხებისაც (ტაბ. 6_{1-4}), [გაბუნია, 2015, 383, 393, 417], [Bastert-Lamprichs, 2011, 36], [ჩიქოვანი, 2015, ტაბ. LXVI].

რაც შეეხება დიდი ზომის სამეურნეო იარაღებს შულავერის, იმირის, ბაილარის ძეგლებზე გვხვდება ბაზალტისა და ტუფოგენური ქანისგან დამზადებული მასიური ხელსაფქვავების ზედა და ქვედა ქვები. მათში განირჩევა ძირითადად ორი ტიპი: ნავისებური ზედა და ქვედა ქვები და ვარცლისებურად ჩარღმავებული ხელსაფქვავის ქვედა ქვები და მისი შესაბამისი სასრესები. ასევე ერთგვაროვანია ძეგლებზე დიდი ზომის კომბინირებული იარაღები, როგორებიც არის საჩეხ - საბეგვები, სატეხ - საბეგვები. ჩაქუჩისებური იარაღები, სალესები და შურდულის ქვები [ჯავახიშვილი, ჯაფარიძე, 1975, 11-128], [Bastert-Lamprichs, 2011, 36-39].

დასკვნა

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ბაილარის ქვის არტეფაქტებთან შესადარებლად გამოვიყენეთ შულავერ - შომუ თეფეს კულტურის ორი ძეგლის, კერძოდ შულავერისა და იმირის გორების ქვის არტეფაქტები. ეს განპირობებული იყო: 1. ამ ორი ძეგლის მასალის მსგავსებით ბაილარის ქვის კოლექციასთან, 2. შულავერისა და იმირის გორების ტერიტორიული სიახლოვით დაზვერილ ადგილთან.

---

* მოპოვებული ქვის არტეფაქტების რაოდენობასთან, ლამელების და ანატკეცების რაოდენობის შეფარდებამ თითქმის მსგავსი რიცხვები მოგვცა; შულავერი - ანატკეცი/ლამელა 29.8%/42.3%; იმირი - 37.4%/43.9%; ბაილარი - 43.2%/37.5% (ცხრილი: N7).

** ობსიდიანის საერთო რაოდენობასთან მასზე ნაკეთები იარაღის შეფარდება: შულავერზე 9.7%; იმირზე 6.5% ხოლო ბაილარზე 6.34% (ცხრილი: N6).

შულავერისა და იმირის ქვის მასალის დეტალურმა განხილვამ, მათი საშუალებით დიაგრამებისა და ცხრილების შექმნამ, კარგი საფუძველი მოამზადა ბაილარის ქვის არტეფაქტების კვლევისთვის. აქედან გამომდინარე, დავადგინეთ, რომ დაზვერვებით მოპოვებული მასალა განეკუთვნება შულავერ - შომუ თეფეს კულტურას, როგორც მორფოლოგიური ნიშნებით, ისე იარაღის დამუშავების ტექნიკით.

მიუხედავად იმისა, რომ ძეგლებზე აღმოჩენილი ქვის არტეფაქტების რაოდენობები განსხვავებულია, ძირითად რაოდენობასთან ცალკეული ტიპების, მაგალითად: ნუკლეუსების, ანატკეცების, ლამელების, ლამელაზე დამზადებული იარაღების, სხვა ქანზე დამზადებული სამეურნეო იარაღების შეფარდებამ მსგავსი რიცხვები მოგვცა (ცხრილი № 5,6,7).

სამივე შემთხვევაში წამყვანი მასალა მორფოლოგიური ნიშნით არის ანატკეცი და ლამელა. პატარა ზომის იარაღებში ჭარბობს საჭრისები, საფხეკები და სახოკები. შულავერისა და იმირის ძეგლებიდან განსხვავებით, ბაილარის ქვის მასალაში არ გვხვდება მიკროლითები, ბურღები, სახვრეტები და შომუ-თეფეს ტიპის ნამგლის ჩასართები. რამდენიმე ეგზემპლარით არის წარმოდგენილი კომბინირებული იარაღი და სახოკები (ცხრილი №5,6,7).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ძეგლებზე მთლიანი ქვის რაოდენობასთან ნუკლეუსების შეფარდებამ, შულავერისა და იმირის გორებისგან განსხვავებით, დიდი პროცენტული რიცხვი მოგვცა ბაილარში. რაც შეეხება სატეხებს, იარაღის ეს ტიპი შულავერის, იმირის და ბაილარის მასალაში ძალიან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, მაგრამ სამივე შემთხვევაში ტიპოლოგიურად მსგავსნი არიან (დიაგრამა № 2).

ასეთივე სურათი გვაქვს დიდი ზომის იარაღების განხილვისას. სამივე ძეგლზე გვხვდება ხელსაფქვავის ზედა და ქვედა ქვები, საჩეხ - საბეგვი და საპობი იარაღები, სასრესები, შურდულის ქვები.

ბაილარის ქვის მასალის დეტალური შესწავლისა და მათი შულავერ - შომუ თეფეს ძეგლების ქვის არტეფაქტების შედარების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: მიუხედავად იმისა, რომ ბაილარის ქვის არტეფაქტები არ არის აღმოჩენილი კონკრეტულ ფენაში, საფიქრებელია რომ სოფელ ბაილარის მიმდებარედ უნდა არსებულიყო გორანამოსახლარი, რომელიც სამეურნეო სავარგულის მოწყობის მიზნით იქნა მოშლილი საბჭოთა კავშირის პერიოდში. აქედან გამომდინარე სწორედ ბორცვის მოშლას უნდა გამოეწვია არტეფაქტების გავრცელება ვრცელ ფართობზე. ზემოთ მოყვანილ პარალელებთან ერთად ამ აზრს ამტკიცებს ისე გარემოებაც, რომ ბაილარის ტერიტორია ახლოს მდებარეობს შულავერის ჯგუფის ძეგლებთან, სადაც ზუსტად იგივე ბუნებრივი გარემოა.

საინტერესოა განისაზღვროს იმ საზოგადოების მეურნეობის ტიპები, რომელსაც ბაილარის ტერიტორიაზე უნდა ეცხოვრა. მოპოვებული მასალის არქეოლოგიური ტიპოლოგიის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ისინი მისდევდნენ მესაქონლეობას და ამუშავებდნენ ტყავს, ამაზე მეტყველებს იარაღებში საფხეკების და საჭრისების სიმრავლე. ასევე ხელსაფქვავის ზედა და ქვედა ქვების, სასრესების არსებობა მიგვანიშნებს, რომ ამუშავებდნენ მარცვლეულს.

ასე რომ ბაილარის მასალის დაზვერვებით მოპოვებული არტეფაქტების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ რეგიონში შულავერ - შომუ თეფეს კულტურის შესწავლას წინ ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი. შემდგომმა კვლევებმა, სადაზვერვო თხრილების გაკეთებამ და მარნეულის ველზე, მდ. ხრამის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ნაპირის სრულყოფილმა დაზვერვებმა, შესაძლოა მომავალში უაღრესად საინტერესო ინფორმაცია მოგვცეს ამ პერიოდის კვლევის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

გაბუნია, მ., ნიორაძე, მ., ნებიერიძე, ლ., ნიორაძე, გ., ჯაყელი, ნ., აღაპიშვილი, თ. (2015). *ძველი და ახალი ქვის ხანის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე (ცნობარი).* თბილისი.

დოლაბერიძე, დ., ლოსაბერიძე, ლ., ჩილინგარაშვილი, გ., ელოშვილი, მ. (2018). *არქეოლოგიური დაზვერვები სოფელ ბაილარში*, „ძიებანი“ №24, თბილისი (იბეჭდება).

კიღურაძე თ. (1976). *აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწადმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია.* თბილისი: მეცნიერება.

ლორთქიფანიძე, ო. (1991). *საქართველოს არქეოლოგია.* ტომი I. თბილისი. მეცნიერება.

ლორთქიფანიძე, ო. (2003). *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან.* თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლოსაბერიძე, ლ. (2018). არქეოლოგიური დაზვერვები მარნეულის ველზე. *ჟურნალი ამირანი N31.* თბილისი.

მარუაშვილი, ლ. (1970). *საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია*, ნაწილი მეორე. თბილისი.თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩიქოვანი, გ., აბულაძე ჯ., ჟვანია, დ. (2015). *ქვემო ქართლის (არუხლოს) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესწავლილი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარები (1966 – 1988 წწ.) I.* თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული სტამბა.

ჯავახიშვილი, ალ., ჯაფარიძე, ო. (1975). *ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგები (1965 – 1971 წ.წ.).* თბილისი. მეცნიერება.

ჯალაბაძე, მ., ესაკია ქ., რუსიშვილი ნ., ყვავაძე ე., ქორიძე ი., შაყულაშვილი ნ., წერეთელი, მ. (2010). *გადაჭრილი გორის 2006 - 2007 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშები.* ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში N19. თბილისი.

Childe, G.V. (1950). *The Urban Revolution. The Town Planning Review*, Vol. 21, N1 (Apr.). Liverpool University Press.

Hamon, C. (2008). *From the Neolithic to Chalcolithic in the Southern Caucasus*: Economy and macrolithic implements from Shulaveri-Shomu sites of Kwemo-Kartli (Georgia). Palèorient vol. 34.2. ©CNRS ÈDITIONS.

Bastert-Lamprichs, K., Benecke N., Hansen S., Neef, R. (2011). *Der Beginn der Landwirtschaft im Südkaukasus - Die Ausgrabungen in Aruchlo in Georgien.* Berlin.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I - 1. შულავერ - შომუ თეფეს კულტურის ძეგლების გავრცელება სამხრეთ კავკასიაში; 2. შულავერ - შომუ თეფეს კულტურის ძეგლების გავრცელება მარნეულის ველზე.
ტაბ. II - ბაილარის დაზვერვილი ტერიტორია.
ტაბ. III – 1. დაზვერვების შედეგად მოპოვებული ნუკლეუსი; 2. ანალოგიური ნუკლეუსი არუხლოდან; 3. ნუკლეუსი იმირის გორიდან; 4. ნუკლეუსი შულავერის გორიდან.
ტაბ. IV – 1 სატეხი. 2, 3 ნუკლეუსი. 4 - 6 ლამელები. 7 - 10 ობსიდიანზე დამზადებული იარაღი.
ტაბ. V - ობისიდიანზე დამზადებული იარაღები.
ტაბ. VI – 1. სატეხი (დაზვერვები); 2. სატეხები გადაჭრილი გორიდან; 3. სატეხი შულავერის გორიდან; 4. სატეხი იმირის გორიდან.

ცხრილების აღწერილობა

ცხრილი N1: შულავერის გორის IX – I სამშენებლო ჰორიზონტებში ქანების სახეობების რაოდნეობრივი განაწილება.
ცხრილი N2: შულავერის გორის IX – I სამშენებლო ჰორიზონტებში ქვის ნამზადის რაოდნეობრივი განაწილება.
ცხრილი N3: იმირის გორის VII – I ჰორიზონტებში ქანების სახეობების რაოდნეობრივი განაწილება.
ცხრილი N4: იმირის გორის VII – I ჰორიზონტებში ქვის ნამზადის რაოდნეობრივი განაწილება.
ცხრილი N5: შულავერის, იმირის გორებისა და ბაილარის ობსიდიანისა და სხვა ქანების პროცენტული შეფარდება.
ცხრილი N6: შულავერის, იმირის გორებისა და ბაილარის ობსიდიანის იარაღისა და ობსიდიანის რაოდენობრივი შეფარდება.
ცხრილი N7: შულავერის, იმირის გორებისა და ბაილარის ნატკეცი ქვის შემაჯამებელი ცხრილი.

ცხრილი № 1 Tab.

ჰორიზონტი / ქანების სახეობები	IX	VIII	VII	VI	V	IV	III	II	I	სულ
ობისიდიანი	41	77	57	409	136	443	228	235	179	1805
არგილიტი	7	10	8	35	6	34	8		2	110
მერგელი	1	2		12	6	8	2			31
კაჟი	1	2		13	2	22	4	1	1	44
ბაზალტი				6	2					8
ქალცედონი						1	2	1		4
სულ	50	91	65	493	152	508	244	237	182	2002

ცხრილი № 2 Tab.

ჰორიზონტი / ქვის ნამზადი	IX	VIII	VII	VI	V	IV	III	II	I	სულ
ნუკლეუსები		1	1	8	5	6	6	2	5	34
ანამტვრევები	3	3	5	37	4	28	12	19	18	129
ანატკეცები	22	34	26	232	44	196	73	55	37	719
ლამელები	25	52	32	212	97	277	151	161	122	1129

ცხრილი № 3 Tab.

ჰორიზონტი / ქანების სახეობები	VII-VI	V	IV-I	სულ
ობსიდიანი	545	1775	1240	3560
კაჟი	7	18	50	75
არგილიტი	7	36	25	68
მერგელი		7	11	18
ბაზალტი		8	3	11
ქალცედონი	1	5	4	10
სულ	560	1849	1333	3742

ცხრილი № 4 Tab.

ჰორიზონტი / ქვის ნამზადი	VII-VI	V	IV-I	სულ
ნუკლეუსი	26	12	10	48
ანამტვრევი	10	58	46	114
ანატკეცი	145	849	601	1595
ლამელა	379	930	676	1985
სულ	560	1849	1333	3742

ცხრილი № 5 Tab.

სამშენებლო ჰორიზონტი	ქვის არტეფაქტების რაოდენობა	შულავერის გორა		შეფარდება %	
		ობსიდ.	სხვ. ქანი	ობსიდ.	სხვ. ქანი
IX – I	2021	1805	216	89.31	10.69
		იმირის გორა		შეფარდება %	
		ობსიდ.	სხვ. ქანი	ობსიდ.	სხვ. ქანი
VII – I	3742	3560	182	95.13	4.87
		ბაილარი		შეფარდება %	
		ობსიდ.	სხვ. ქანი	ობსიდ.	სხვ. ქანი
2016-2017 დაზვერვები	573	489	84	85.34	14.66

ცხრილი № 6 Tab.

ძეგლი	ნატკეცი ობისიდიანის რაოდენობა	ობისიდიანის იარაღის რაოდენობა	შეფარდება %
შულავერი	1805	176	9.75
იმირი	3560	232	6.51
ბაილარი	489	31	6.34

ცხრილი № 7 Tab.

ნატკეცი ქვის მასალა	შულავერი IX – I	შეფარდება %	იმირი VII – I	შეფარდება %	ბაილარი 2016 - 17	შეფარდება %
ნუკლეუსები	35	1.73	48	1.28	26	4.54
ანამტვრევები ურეტუშო	115	5.69	105	2.8	26	4.54
ანამტვრევები რეტუშიანი	12	0.59	9	0.24	0	0
ანატკეცები ურეტუშო	449	22.22	950	25.39	166	28.97
ანატკეცები რეტუშიანი	132	6.54	434	11.6	63	11
ანატკეცები გვერდამოღარული	22	1.09	24	0.64	21	3.67
ლამელები ურეტუშო	382	18.9	593	15.85	77	13.43
ლამელები გვერდებრეტუშირებული	314	15.57	812	21.70	107	18.67
ლამელბი გვერდამოღარული	102	5.09	117	3.13	23	4.01
ლამელები თავრეტუშრებული	58	2.87	68	1.82	5	0.87
მიკროლამლები	6	0.30	13	0.35	0	0
საჭრისები	86	4.26	120	3.21	10	1.74
საფხეკები	37	1.83	46	1.23	11	1.96
სახოკები	29	1.44	27	0.72	2	0.35
ხოწები	26	1.29	58	1.54	3	0.52
ბურღები და სახვრეტები	11	0.55	13	0.35	0	0
კომბინირებული იარაღი	7	0.35	5	0.13	1	0.17
ნამგლის ჩასართი (შომუ-თეფეს ტიპის)	0	0	13	0.34	0	0
რეტუშორი	1	0.05	3	0.08	0	0
სხვა	197	9.75	284	7.6	32	5.56
სულ	2021		3.742		573	0

New stone artifacts of Shulaveri-Shomu Tepe Culture from the Marneuli Valley

Dolaberidze David,
Ilia State University
doladato@yahoo.com

Summary

Marneuli Valley is defined as one of the areas of spreading Shulaveri-Shomu Tepe Culture dated 8th -7th millennia BC. In 1960s have been undertaken archaeological surveys in the river Mtkvari basin and four groups of the settlements of Early Farming period were discovered on the lower bank of the river Khrami: “Arukhlo”, “Tsiteli Sopeli”, “Khachaghani” and “Shulaveri”.

In 2016 the part of the Gadachrili Gora expedition team has conducted survey in the Marneuli valley, especially, left bank of the river Khrami. During the survey were revealed different types of artifacts, about 500 items. Another archaeological survey were carried out on the same place in 2017, with the findings about 100 items of stone artifacts.

The aim of the research is to study stone artifacts by using archaeological and typological methodology, on these bases affiliations of the artifacts to the Shulaveri-Shomu-tepe culture. Together with this, it was necessary to determine the function of the object; was it a settlement or workshop.

Research Methodology – the systematization of the stone artifacts from the Shulaveri, Imiris Gora and Bailari by using the typological methodology to determine the differences and common features; creation of the diagrams, graphics and etc.

Conclusion - Research shows that there are many similarities among the stone artifacts of the Shulaveri-Shomu-tepe Culture settlements. This situation makes us to think, the surveyed territory represents a mound-settlement which has been destroyed during the recent agricultural activities. Therefore, as a supposition, spreading artifacts such a big territory was due to the collapse of the hill.

Summarize - Environmental conditions despite on the right bank of the river khrami near the territory of the Marneuli valley as well left bank of the river Khrami were suitable for living ancient people which is confirmed by the artifacts revealed in Bailari. The research on the discovered material shows that the future archaeological work in this region may provide us very important information in study of Shulaveri-Shomu-tepe Culture.

Figure contents

Fig. 1. Spreading of Shulaveri-Shomu Tepe Culture archaeological sites on the territory of the Southern Caucasus; 2. Spreading of Shulaveri-Shomu Tepe Culture archaeological sites on the territory of the Marneuli Valley.
Fig.2. Surveyed territory of the Bailari.
Fig.3. Core, revealed during the archaeological survey; 2. Similar core from the Arukhlo; 3. Core from the Imiris Gora; 4. Core from the Shulaveri Gora.
Fig.4 - 1. Chisel; 2. Core; 4-6 Blades; 7-10 Obsidian tools.
Fig. 5. Obsidian tools.
Fig. 6 – 1. Chisel (survey); 2. Chisel from the Gadachrili Gora; 3. Chisel from Shulaveri Gora; 4. Chisel from Imiri Gora.

Table contents

Tab. 1 Quantitative division of the row material from the Shulaveri Gora IX-I layers.
Tab.2. Quantitative division of the stone artifacts from the Shulaveri Gora IX-I layers.
Tab.3. Quantitative division of the row material from the Imiri Gora VII-I layers.
Tab. 4. Quantitative division of the stone artifacts from the Imiri Gora VII-I layers.
Tab. 5. Percentage comparison of the obsidian and other row materials from the Shulaveri Gora, Imiri Gora and Bailari.
Tab. 6. Quantitative comparison of the obsidian tools and obsidian from the Shulaveri Gora, Imiri Gora and Bailari.
Tab.7. Summarize table of the stone artifacts from the Shulaveri Gora, Imiri Gora and Bailari.

შუა საუკუნეების ადგილობრივი მხატვრული კერამიკა სამშვილდიდან

გაბისონია მარიამი,
თბილისის მუზეუმების გაერთიანება
marikoo.gabisonia@mail.ru

პრეამბულა

სამშვილდის ნაქალაქარზე საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საველე სამუშაოები დაიწყო 2012 წლიდან. სტატიაში წარმოდგენილია სამშვილდის ნაქალაქარები 2014-2017 წლებში აღმოჩენილი ადგილობრივი მხატვრული კერამიკული ფრაგმენტის აღწერილობა კატეგორიების მიხედვით. სამშვილდეში აღმოჩენილი შუა საუკუნეების ადგილობრივი მხატვრული კერამიკის ყველაზე გავრცელებულ მოტივს მარყუჟიანი წრეები წარმოადგენს, რომელიც თითქმის ყველგან გვხვდება. განსაკუთრებით კი ცისფრად და მწვანედ მოჭიქულ ჯამებზე. მარყუჟიანი წრეები, ჩვეულებრივ ამოკაწრულია ხელის ერთი მოძრაობით და ერთმანეთისგან მცირე მანძილითაა დაშორებული. აღმოჩენილი მასალა მიეკუთვნება XII-XIII სს. სამშვილდის განათხარი მასალა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კერამიკული ტექნოლოგია იმდროინდელ საქართველოში მაღალ საფეხურზე იდგა. ქართველ მეჭურჭლეებს კარგად სცოდნიათ როგორც თიხის შერჩევა, ისე დამუშავება. ჭარბობს: ცისფერი, მწვანე, სოსანისფერი, ყვითელი ფერის საღებავები და ჭიქურები. შემკობის ტექნიკისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია თეთრი ანგობით მოხატვისა და ამოკაწვრის ხერხი. ორნამენტული მოტივები უმთავრესად მცენარეული და გეომეტრიულია. ხშირია ფრინველის გამოსახულებები ჭურჭლის ცენტრალურ ნაწილზე.

სამშვილდეში აღმოჩენილი შუა საუკუნეების ადგილობრივი მხატვრული კერამიკა

თეთრანგობიანი, მოჭიქული გამჭირვალე ჭიქურით.

1. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი – წითელკეციანი. თეთრანგობიანი, მოჭიქული გამჭირვალე ჭიქურით, შემორჩენილია ჭიქურქვეშა მხატვრობა. სამშვილდე – შიდა ციხე, თხრილი № 69, კონტექსტი № 19, სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან - 4.03, მიწის ზედაპირიდან - 1.25, საინვენტარო № 1488, აღმოჩენის თარიღი – 2016 წელი.

2. პირგვერდი – წითელკეციანი. თეთრანგობიანი, ჭიქურქვეშ შემორჩენილია მწვანედ მოხატული სქელი ხაზები, მოჭიქულია გამჭვირვალე ჭიქურით. სამშვილდე, შიდა ციხე, თხრილი № 69, კონტექსტი № 13, სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან - 3.60, მიწის ზედაპირიდან - 0.94, საინვენტარო № 1331, აღმოჩენის თარიღი – 2016 წელი.

3. ძირგვერდი. წითელკეციანი. თეთრანგობიანი, მოჭიქურია გამჭირვალე ჭიქურით, ანგობირებულ შიდაპირზე შემორჩენილია: მწვანედ, შავად და ყვითლად შეფერილი მხატვრობის ფრაგმენტები. ქუსლი შეღარული, ხოლო ძირი კოპიანია, სამშვილდე–სიონის უბანი, თხრილი № 8, კონტექსტი № 1, სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან - 2.20, მიწის ზედაპირიდან - 0.57, საინვენტარო №1806, აღმოჩენის თარიღი – 2016 წელი.

4. პირგვერდი. წითელკეციანი. მოჭიქულია გამჭირვალე ჭიქურით, ანგობირებულ ზედაპირზე შემორჩენილია ყავისფრად შევსებული ორი ნაკაწრი, ასევე ნაკაწრის ქვეშ მიუყვება მწვანე შეფერილობა. პირგვერდი შედგება სამი შეწებებული ნაწილისგან. სამშვილდე, შიდა ციხე, თხრილი № 69, კონტექსტი № 14, სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან - 3.55, მიწის ზედაპირიდან - 0.77, საინვენტარო № 1372, აღმოჩენის თარიღი – 2016 წელი.

5. ჯამი. წითელკეციანი. ზედაპირზე თეთრად ამოკაწრულია წრეში ჩახატული მცენარეული მოტივით შედგენილი ჯვარი. ქუსლი შეღარული, ძირი კოპიანი. ჯამის პირის დიამეტრი 22 სმ, ძირის დიამეტრი 8 სმ, სიმაღლე 20 სმ. სამშვილდე, შიდა ციხე, თხრილი 60, კონტექსტი № 2, სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან - 3.60, მიწის ზედაპირიდან - 0.82, საინვენტარო № 3526, აღმოჩენის თარიღი – 2017 წელი.

6. ჯამი ნაკლული. წითელკეციანი, თეთრად ამოკაწვრითა და მოხატვით შესრულებული ფრინველის გამოსახულებით, მოჭიქულია გამჭვირვალე ჭიქურით. ჯამის ფრაგმენტის პირის დიამეტრი 18 სმ, ძირის დიამეტრი 6 სმ, სიმაღლე 16 სმ. ნივთი აღმოჩენილია სამშვილდის კონცხის წვერზე გავლებულ 21-ე სადაზვერვო შურფში. მისი ინვენტარიზაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა და შესაბამისად საინვენტარო ნომერი და სხვა დეტალური ინფორმაცია მოგვიანებით მიენიჭება.

7. ჯამის ფრაგმენტი – წითელკეციანი. შიდაპირზე თეთრად ამოკაწვრითა და მოხატვით შესრულებული ფრინველის გამოსახულება. ჯამის ფრაგმენტის პირის დიამეტრი 18 სმ, ძირის დიამეტრი 6სმ, სიმაღლე 16 სმ. ნივთი აღმოჩენილია სამშვილდის კონცხის წვერზე გავლებულ 21–ე სადაზვერვო შურფში. მისი ინვენტარიზაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა და შესაბამისად საინვენტარო ნომერი და სხვა დეტალური ინფორმაცია მოგვიანებით მიენიჭება.

8. პირგვერდი – წითელკეციანი. თეთრანგობიანი, ანგობიან შიდაპირზე შემორჩენილია ნაკაწრი და მოხატული ორნამენტი მოჭიქულია გამჭირვალე ჭიქურით. სამშვილდე, შიდა ციხე, თხრილი № 69, კონტექსტი № 21, სიღრმეები ნულოვანი წერტილი - 3.93, მიწის ზედაპირიდან - 1.30. საინვენტარო № 3017, აღმოჩენის თარიღი – 2017 წელი.

9. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი – წითელკეციანი, თეთრანგობიანი,მოჭიქულია გამჭირვალე ჭიქურით. ჭიქურქვეშ შემორჩენილია ამოკაწვრით შესრულებული და მრავალფრად მოხატული ფრინველის გამოსახულება. სამშვილდე, სიონის უბანი. თხრილი № 0 17, კონტექსტი № 1, სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან - 3.71, მიწის ზედაპირიდან - 3.00. საინვენტარო № 2915. აღმოჩენის თარიღი – 2016 წელი.

10. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი – წითელკეციანი. თეთრანგობიანი, მოჭიქული გამჭვირვალე ჭიქურით, ჭიქურქვეშ შემორჩენილია ნაკაწრები, მრავალფრად მოხატულობის ფრაგმენტი. სამშვილდე, სიონის უბანი. თხრილი № 0 17, კონტექსტი № 1, სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან - 3.71. მიწის ზედაპირიდან - 3.00 . საინვენტარო № 1760, აღმოჩენის თარიღი – 2016 წელი.

თეთრანგობიანი, მოჭიქული მწვანედ.

11. პირგვერდი – წითელკეციანი. თეთრანგობიანი. მოჭიქული მწვანედ. ფრაგმენტზე ჭიქურქვეშ ამოკაწრული ხაზოვანი ორნამენტია წარმოდგენილი.სამშვილდე, სიონის უბანი, თხრილი № N8 კონტექსტი №1, სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან - 0.5, მიწის ზედაპირიდან - 0.45, საინვენტარო № 827, აღმოჩენის თარიღი – 2016 წელი.

12. პირგვერდი – წითელკეციანი. თეთრანგობიანი, შედგება სამი ნატეხისგან, რომელიც შეწებებულია, მოჭიქულია მწვანედ. სამშვილდე, შიდა ციხე, თხრილი № 69, კონ- ტექსტი № 15, სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან - 3.75, მიწის ზედაპირიდან - 0.95, საინვენტარო № 1408, აღმოჩენის თარიღი – 2016 წელი.

უანგობო, მოჭიქული მწვანედ

13. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი – წითელკეციანი. უანგობო, შედგება ორი ნატეხისგან, რომელიც შეწებებულია, მოჭიქულია მწვანედ. სამშვილდე, სიონის უბანი, თხრილი № N8, კონტექსტი №1, სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან - 2.27, მიწის ზედა- პირიდან - 0.57,საინვენტარო № 1797, აღმოჩენის თარიღი – 2016 წელი.

თეთრანგობიანი, მოჭიქული ცისფრად

14. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი – წითელკეციანი. თეთრანგობიანი, ცისფრად მოჭიქული, სამშვილდე, შიდა ციხე, თხრილი № 69, კონტექსტი № 4 ,სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან - 3.27, მიწის ზედაპირიდან - 0.76. საინვენტარო № 152, აღმოჩენის თარიღი – 2015 წელი.

უანგობო, მოჭიქული ცისფრად

15. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი – წითელკეციანი. ანგობიანი, ცისფრად მოჭიქული, ჭიქურქვეშ შემორჩენილია ნაკაწრი ხაზებით გამოყვანილი მარყუჟისებური ორნამენტი. სამშვილდე, სიონის უბანი. თხრილი № O 17, კონტექსტი № 1. სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან - 3.71, მიწის ზედაპირიდან - 3.00. საინვენტარო № 2713. აღმოჩენის თარიღ – 2017 წელი.

თეთრანგობიანი, მოჭიქული ყვითლად

16. პირგვერდი – წითელკეციანი. თეთრანგობიანი, შედგება ორი ნატეხისგან, რომელიც შეწებებულია, მოჭიქულია ყვითლად. სამშვილდე, სიონის უბანი, თხრილი № N8, კონტექსტი № 1, სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან - 2.05, მიწის ზედაპირიდან - 0.45, საინვენტარო № 1825, აღმოჩენის თარიღი – 2016 წელი.

მოხატული თეთრი ანგობით

17. პირგვერდი – წითელკეციანი. ქობა დაბრტყელებული, პირიდან გვერდზე გადმოწეული სუსტი წიბოთი, შიდა მხარე მოხატულია თეთრი ანგობით, მოჭიქულია ცისფრად. სამშვილდე, სიონის უბანი, თხრილი № N 8, კონტექსტი № 1, სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან - 2.05, მიწის ზედაპირიდან - 0.45, საინვენტარო № 1827, აღმოჩენინის თარიღი – 2017 წელი.

მოჭიქული სოსანისფრად

18. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი – წითელკეციანი. უანგობო, შედგება ორი შეწებებული ნაწილისგან, ჭიქურქვეშ ამოკაწრული ხაზებით გამოყვანილია მარყუჟისებური ორნამენტი. მოჭიქულია სოსანისფრად. სამშვილდე, შიდა ციხე, თხრილი № 67, კონტექსტი № 2, სიღრმეები ნულოვანი წერტილიდან - 1.45, მიწის ზედაპირიდან - 2.27, საინვენტარო № 3361,აღმოჩენის თარიღი – 2017 წელი.

პარალელები

აღწერილი მასალის უახლოესი ანალოგები მოგვეპოვება დმანისში, კასპში და ძველ თბილისში (ქარვასლა, სინაგოგა) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ მასალაში.

დმანისშია აღმოჩენილი ფრინველის გარკვეული ტიპის გამოსახულება, რომელიც მოცემულია პროფილში, მას მტაცებელი ფრინველის მოკაუჭებული ნისკარტი აქვს, მაღლა ამართული თავი, მკვეთრად წინ გამოწეული მკერდი და ძლიერი ფეხები, დამთავრებული ბრჭყალებით. მოხაზული ფრინველი გაცოცხლებულია საღებავებით, რომლებიც ფრინველის ნაკვთებზე პირობითადაა განაწილებული: თავი, გულ-მკერდი და ფეხების ქვედა ნახევარი მოყავისფრო საღებავითაა შეღებილი, ფრთა სამ ნაწილადაა გაყოფილი მოკლე რკალებით ფრთის ძირი, რომელიც შეღებილია მწვანე საღებავით, ფრთის შუა ნაწილი ყავისფრადაა შეღებული [ჯაფარიძე,1998, 3-34].

კასპში აღმოჩენილია გეომეტრიული მოტივებით მოხატული ჯამი, მისი ორნამენტი ცენტრიდან გატარებული რადიალური ზოლებია, რომლებიც შეღებილია მწვანე და ყავისფერი საღებავებით. ზოლებს შორის ამოკაწრულია პატარა რკალები, რომლებიც ჯამის ქიმის ძირთან შემოვლებულ წრეს ებჯინებიან. რკალებს შიგნით მოქცეული ფართობი მწვანედაა შეღებილი. ბაკოს მწვანე საღებავების ზოლი აქვს შემოვლებული [ჯაფარიძე, 1998, 3-34].

დასკვნა

ამრიგად, ჩვენ მიერ შესწავლილი მასალიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სამშვილდეში საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა გვაქვს შუა საუკუნეების ადგილობრივი მხატვრული კერამიკიდან. სტატიაში წარმოდგენილი მასალიდან ხშირია ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, ასევე პირგვერდები, რომლებიც ჭიქურქვეშ ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზებითაა ამოკაწრული, ხშირია მარყუჟიანი წრეები. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტებიდან, მხოლოდ ერთზეა შემორჩენილი ფრინველის გამოსახულება, რომელიც ჯამებზე წარმოდგენილი ფრინველის გამოსახულების მსგავსია. აქედან გამომდინარე ჭურჭლის გვერდის ეს ფრაგმენტიც მიეკუთვნება XII-XIII სს.

გამოყენებული ლიტერატურა

მინდორაშვილი, დ. (2010). კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა. თბილისი.
ჯაფარიძე, ვ. (1956). კერამიკული წარმოება XI-XII სს.
ჯაფარიძე, ვ. (1998). შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის თარიღის დაზუსტებისათვის დმანისი I.

ტაბულების აღწერილობა

1. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი, თეთრანგობიანი, მოჭიქული გამჭვირვალე ჭიქურით XI-XIII სს.
2. ჭურჭლის პირგვერდი,მოჭიქულია გამჭვირვალე ჭიქურით XI-XII სს.
3. ჭურჭლის ძირგვერდი. წითელკეციანი, თეთრანგოიანი XI-XII სს.
4. მოჭიქული ჭურჭლის პირგვერდი XI-XII სს
5. მოჭიქული ჯამი. XII-XIII სს.
6. მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი ჭიქურქვეშა მხატვრობით XII-XIII სს.
7. მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი ჭიქურქვეშა მხატვრობით XII-XIII სს.
8. მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმნეტი XI-XII სს.
9. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი XII-XIII სს.
10. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი, წითელკეციანი, თეთრანგობიანი XI-XII სს.
11. ჭურჭლის პირგვერდი წითელკეციანი XI-XII სს.
12. ჭურჭელის პირგვერდი წითელკეციანი, თეთრანგობიანი XI-XII სს.
13. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი XI-XII სს.
14. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი XI-XII სს.
15. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი ანგობიანი, ცისფრად მოჭიქული XI-XII სს.
16. ჭურჭლის პირგვერდი მოჭიქული ყვითლად XI-XII სს.
17. თეთრი ანგობით მოხატული XI-XII სს.
18. სოსანისფრად მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტი XI-XIII სს.

ტაბულა I

3

4

5

6

7

8

9

10

11

12

13



14



15



16



17

18



An artistic pottery of high medieval centuries from Samshvilde

Gabisonia Mariami,
The Union of Tbilisi Museums
marikoo.gabisonia@mail.ru

Summary

The medieval period is divided into three periods: the Early Middle Ages (V-XI centuries), the High Middle Ages (XI-XV centuries) and the Late Middle Ages (XVI century and the first half of the XVII century). The work, ”**An artistic pottery of high medieval centuries from Samshvilde**”, refers to the High Middle Ages.

The work examines the last discoveries on Samshvilde settlement and description of 18 local ceramic art fragments from 2013 to up to this date.

The work defines the groups based on colors, sizes, decorations and glazing of the local ceramic items found in Samshvilde and tries to determine the purpose, aesthetics and symbolic meanings of the vessels on the basis of the additional materials as well as dating of these items.

The work is focused on fragments of a side of vessel, heads and bowls, the horizontal and vertical lines scratched under the glaze which are presented on these items. There are many circles with a loop. Particular attention is paid to the bowls painted with birds which date back to the XII-XIII centuries according to the additional materials.

In this work there is presented and examined a variety of materials from the local ceramic art items from the medieval period found in Samshvilde.

Due to this fact that archaeology is the discovery of the past and its connection with the present time, in this work you will get acquainted with the dates and purposes of newly discovered items and fragments.

მინის ნივთები სამშვილდედან

თვალაძე შოთა,
საქართველოს უნივერსიტეტი
shota.ug.tvaladze@gmail.com

საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით მინის ნივთები ძვ.წ III ათასწლეულიდან მოყოლებული, ახ. წელთაღრიცხვის XIV საუკუნემდე უწყვეტად გვხვდება როგორც სამარხეულ ინვენტარში, ისე ნამოსახლართა და ნაქალაქართა კულტურულ ფენებშიც. კითხვაზე თუ სად არის მინა პირველად გამოგონილი, სამეცნიერო წრეში ჯერ კიდევ სხვადასხვა პასუხები არსებობს. ზოგი ამ გამოგონებას ფინიკიელებს მიაწერს, ზოგი ეგვიპტელებს, თუმცა არსებობს განსხვავებული ვარაუდიც, რომ ეს აღმოჩენა არა ერთ ადგილას, არამედ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხალხებში მოხდა [უგრელიძე, 1961, 3].

ისტორიული ქალაქი სამშვილდე (სურ. 1) მდებარეობს ქვემო ქართლში, თეთრი წყაროს რაიონში, სოფელ სამშვილდესთან. ქალაქი სტრატეგიულად ძალზე ხელსაყრელ ადგილას არის განლაგებული. იგი აღმართულია მდინარეების: ჭივჭავისა და ხრამის/ ძვ. ქცია/ შესაყართან ამოზიდულ მაღალ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ კონცხზე, რომლის დამრეცი ფერდობები სამი მხრიდან მიუდგომელია.

სურ. 1.

კონცხის ზედა პლატო სიგრძით 3 კმ-მდეა. სიგანით კი გაცილებით ვიწროა 100-150 მ. მასზე ცნობები შემონახულია როგორც ქართულ ისე უცხოურ, კერძოდ კი სომხურ წყა-

როებში. სამშვილდის ისტორიის კვლევისას ნარატიულ წყაროებთან ერთად, ფასდაუდებელ ინფორმაციას გვაწვდის არქეოლოგიური მასალაც, რომელთა კვლევის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ამ ისტორიულ ტერიტორიაზე ადამიანი უძველესი დროიდან სახლობს.

2012 წლიდან დღემდე სამშვილდის არქეოლოგიურ კვლევას აწარმოებს საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძ. პროფ. დ. ბერიკაშვილი). კვლევების პირველ ეტაპზე მიმდინარეობდა კარტოგრაფიული სამუშაოები, განახლდა ტოპოგრაფიული რუკა და განთავსდა ნაქალაქარის ყველა ძირითადი უძრავი ობიექტი. 2013-2014 წლებში არქეოლოგიურად იქნა შესწავლილი სამშვილდის წმინდა გიორგისა და „პალატის“ ეკლესიები, რომლის დასრულების შემდგომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და სიძველეთა დაცვის ფონდის ერთობლივი ძალებით მოხერხდა ამ ორი ძეგლის რესტავრაცია [სამშვილდე, 2014]. 2015-2016 წლებში არქეოლოგიური კვლევები მიმდინარეობდა ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ სამეფო უბნის ციხესიმაგრეში და სიონის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე. 2015 წლის სამშვილდის არქეოლოგიურ ექსპედიციას დაემატა გეოფიზიკური კვლევები [ოდილავაძე და სხვ., 2015, ექსპედიციის ანგარიში]. 2016 წლიდან პალინოლოგიური, ოსტეოლოგიური და ანთრო-პოლოგიური კვლევები [ყვავაძე, ბერიკაშვილი და სხვ.,2016, ექსპედიციის ანგარიში]. 2017 წლიდან ექსპედიციას დაემატა კიდევ ერთი განსხვავებული სპეციფიკის მეცნიერება პალეობოტანიკა, რომელმაც კიდევ უფრო გაამდიდრა სამშვილდის შესახებ არსებული ინფორმაცია [ყვავაძე და სხვ., 2017, ექსპედიციის ანგარიში].

2012-2017 წლებში სამშვილდის ნაქალაქარზე წარმოებული არქეოლოგიური კვლევის შედეგად აღმოჩენილია, მრავალფეროვანი კერამიკის, ლითონის, ქვისა და მინის ნივთები [ბერიკაშვილი და სხვ., ექსპედიციის ანგარიშები, 2012-2017].

წარმოდგენილ სტატიაში შევეხებით მხოლოდ მინის ნივთებს. აღმოჩენილი მინის ფრაგმენტები, მრავალფეროვანია, კერძოდ: მინის სამაჯურები, სარკმლის მინა, სასმისი, მძივი, ბოთლი და ა. შ. აღმოჩენილი მასალა, ძირითადად, იყოფა ორ პერიოდად XI - XIII სს და XVIII - XIX სს [ბერიკაშვილი, 2017].

XII - XIII საუკუნეებში ფართოდ ვრცელდება და ვითარდება მინის წარმოება. ამ პერიოდის მინის ნივთები აღმოჩენილია: თბილისში, დმანისში, რუსთავში, ნატბეურში და ა.შ [უგრელიძე, 1961, 13]. შუა საუკუნეების საქართველოში, მინის სამკაულებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული იყო სამაჯურები. ისევე როგორც ბეჭდები, სამაჯურებიც ნაკეთები იყო ფერადი მინისგან. სამშვილდის ნაქალაქარზე აღმოჩენილია სხვადასხვა ტიპის მინის სამჯურები.

სამშვილდის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მინის სამაჯურები წარმოდგენილია ფრაგმენტების სახით. უკლებლივ ყველა სამაჯური წრიული ფორმის უნდა ყოფილიყო. ზოგი სამაჯური სავარაუდოდ რკალშეკრული უნდა ყოფილიყო, რადგან ემჩნევა გადაბმის ადგილი, რომელიც წარმოდგენილია მცირედ დაბრტყელებულად და წიბოიანად. (სურ. 2) გარდა ამისა, გვხვდება სადაზედაპირიანი, მრგვალგანივკვეთიანი, აგრეთვე წვრილადგრეხილი მრგვალგანივკვეთიანი ფრაგმენტებიც (სურ. 3). აღმოჩენილი სამაჯურის ფრაგმენტები მრავალფეროვანია: დიდი რაოდენობით გამოირჩევა შავი შეფერილობის, გარდა ამისა არის ლურჯი, მსხვილი, სადაზედაპირიანი, ყვითელი, წვრილი, გრეხილი და წითელი. აღნიშნული ნივთები დათარიღებულია XI – XIII სს [ბერიკაშვილი, 2017, 59 – 62].

სურ. 2.

სურ. 3.

მინის სამაჯურებთან ერთად საინტერესოა სარკმლის მინა (სურ. 4). სამშვილდეში აღმოჩენილი სარკმლის მინის ფრაგმენტებიც დათარიღებულია XI – XIII სს. ამგვარი ტიპის მინები აღმოჩენილი არის შუა საუკუნეების ხანის სასახლის ნადარბაზევში, რუსთავში ნაეკლესიარსა და გეგუთის სასახლის ნანგრევების კვლევის დროს, წრომის ტაძართან, ორბეთის საწარმოში და ა. შ. [უგრელიძე, 1961, 10]. სარკმლის მინათა ამგვარი ნაირსახეობა და გავრცელების არეალი მიანიშნებს იმაზე, რომ შუა საუკუნეების საქართველოს სამშენებლო ხელოვნება სწრაფად ვითარდებოდა. სამშვილდეში მოპოვებული სარკმლის მინები სხვადასხვა ფერისაა, გვხვდება შავი, მუქი და ღია მწვანე, მოწითალო ფერები. სამშვილდის ნაქალქარზე წარმოებული არქეოლოგიური

კვლევის შედეგად გამოვლენილი სარკმლის მინები აღმოჩენილია, მხოლოდ შიდა ციხეში მიმდინარე სამუშაოების დროს. ხოლო რაც შეეხება მინის სამაჯურებს ისინი გვხვდებოდნენ როგორც შიდა ციხეში, აგრეთვე სიონის უბანზეც.

სურ. 4.

სურ. 5.

ადრე, შუა და გვიან შუა საუკუნეების ხანის მინის ჭურჭელი ერთმანეთისგან განსხვავდება, როგორც მინით ასევე მოყვანილობითაც. შუა ფეოდალური ხანის ჭურჭელი უფრო მრავალგვარი და დახვეწილია. არის ფიალისებრი სადა, ასევე შედარებით მაღალი სასმისები, ძირ-ქუსლზე მდგომი მაღალი სასმისები (სურ. 5). სამშვილდის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მინის სასმისის ფრაგმენტები თარიღდება XI – XIII სს. [იქვე]. მ. ჩხატარაშვილი შუა საუკუნეების მინის ნაწარმში დანიშნულებით გამოყოფს ხუთ ჯგუფს, რომელთაგან თითოეული თავისუფალი ბერვითაა დამზადებული: სუფრის ჭურჭელი

(სასმისები, სურები, ბოთლები, სამარილეები); პირის საფარეშო და სააფთიაქო ჭურჭელი; მათარა; ლამპარი; შიბაქი [ჩხარტიშვილი, 1978, 35]. ზემოთ დასახელებული მინის ნაწარმიდან, სამშვილდეში ამჟამად აღმოჩენილია მხოლოდ სასმისებისა და ბოთლის ფრაგმენტები.

XVIII – XIX საუკუნეებით დათარიღებული მასალა წარმოდგენილია რამოდენიმე მწვანე მასიური ბოთლის ნამსხვრევების ფრაგმენტებისაგან და გამჭვირვალე ჭიქის ნაწილებისგან.

მინის ნაწარმის მიღება შესაძლებელი იყო სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. საქართველოში აღმოჩენილი მინის ნაწარმი ძირითადად დამზადებული იყო ჩამოსხმით, თავისუფალი ბერვით, ორნამენტიან ან გლუვ ყალიბში ჩაბერვით. შემკობისათვის გამოყენებული იყო როგორც ცხელი, ასევე ცივად დამუშავების ხერხი.

როგორც ვხედავთ განვითარებულ შუა საუკუნეებში მინის ნაწარმი გამოირჩევა მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით: ჭურჭელი, სამკაული, სარკმლის მინა და ა.შ რაც ადასტურებს იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკურ სიძლიერეს. დმანისში, თბილისსა და რუსთავში მინის წარმოებას მრავალი მკვლევარი ვარაუდობდა [ჩხარტიშვილი, 1978, 68]. სამშვილდეში მიმდინარე არქეოლოგიური კვლევების შედეგად აღმოჩენილი მრავალფეროვანი მინის სახეობიდან გამომდინარე, არაა გამორიცხული რომ შემდგომმა კვლევებმა ნაქალაქარზე აღმოაჩინონ მინის წარმოების კერა, რომელიც შეუერთდება აღნიშნულ ძეგლთა ჩამონათვალს, რადგან არ არის გამორიცხული, რომ ასეთი ფართობის მქონე ქალაქს, თავის დროზე, ჰქონოდა საკუთარი სხვადასხვა დანიშნულების მქონე სახელოსნოები [კერამიკის, ლითონის და ა.შ], რადგან ისტორიული წყაროების მიხედვით ჩანს, რომ სამშვილდე განვითარებული შუა საუკუნეებიდან წარმოადგენს უკვე მჭიდროდ დასახლებულ ქალაქს.

ბოლო წლებში განხორციელებული არქეოლოგიური კვლევების შედეგად აღმოჩენილი ნივთებიდან დიდი რაოდენობით გამოირჩევა X-XIII საუკუნეებით დათარიღებული სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებლო ნივთები მათ შორის მინის ნაწარმი, რომელიც აღმოჩენილი მასალის დაახლოებით 5% შეადგენს. მინის ნივთებიდან გამოირჩევა სამაჯურის ფრაგმენტები, ჭურჭლის ძირის ფრაგმენტები, და პირგვერდები.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიკაშვილი, დ. (2017). *არქეოლოგიური გათხრები სამშვილდეში (2015-2016 წლის მასალები).* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., გაბუნია, გ., გაგოშიძე, გ., ცირამუა, ს., (2012-2017). *სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები. საქართველოს უნივერსიტეტი.* თბილისი.

სამშვილდე. (2014). ისტორიულ-არქეოლოგიური პროექტი. რედ. დ. ბერიკაშვილი. თბილისი.

უგრელიძე, ნ. (1961). *მინა ძველ საქართველოში.* თბილისი. საბჭოთა საქართველო.

უგრელიძე, ნ. (1963). *ნატბეურის მინის საწარმო*, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისთვის, III. თბილისი.

ჩხატარაშვილი, მ. (1978). *მინის ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში.* თბილისი.

ჭილაშვილი, ლ. (1970). *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში.* ტ. II. თბილისი.

ილუსტრაციების აღწერილობა

1. სამშვილდის კონცხი.
2. მინის გრეხილი სამაჯურის ნატეხი.
3. მინის გრეხილი სამაჯურის ფრაგმენტი.
4. სარკმლის მინის ფრაგმენტი.
5. მინის სასმისის ძირი.

Glass items from Samshvilde

Tvaladze Shota,
The University of Georgia
shota.ug.tvaladze@gmail.com

Summary

According to the archaeological findings discovered in Georgia the glass items from the 3rd millennium BC until XIV century BC, consecutively can be seen as well as in the grave inventory also in the settlements and former cities cultural layers. The question where the glass is first discovered still has different answers among scientist. Some of these inventions are attributed to the Phoenicians, some to the Egyptians, but there is a different assumption that this discovery happened not in one exact place but at different times in different peoples.The historic city of Samshvilde is located in Kvemo Kartli, in the village of Samshvilde, in Tetri Tskaro region. The city is located strategically in a very profitable location. It is standing on the high cape at the meeting points of rivers Chivchava and Khrami / old. Qtsia /. This cape is stretched from the west to the east and its crust slopes are unscalable on the three sides. The upper plateau of the cape is 3 km long. The width is much less - 100 - 150 m long. Findings about Samshvilde has been preserved not only in Georgian but also in foreign sources, in particular Armenian sources. During the study of Samshvilde history, together with narrative sources, in- valuable information is provided with archaeological materials. On the basis of which it is clear that in this historic territory people have been living since ancient times.

Since 2012, archaeological excavations of Samshvilde is conducted by University of Georgia Samshvilde Archaeological expedition. At the first stage of the research the cartographic works were undertaken, the topographic map was updated and all the main static object of the city was located. In 2013-2014 the churches of St. George and the “Chamber” of Samshvilde were studied archaeologically and then by the help of the National Agency for Cultural Heritage Preservation and the Fund of Antiquities Protection was able to renovate these two monuments. In the years 2015-2016 archaeological studies were conducted in the eastern part of the city, namely in the Royal District Fortress and in the adjacent territory of the Sioni Cathedral. The geophysical surveys have been added to the 2015 Samshvilde archaeological expedition. Since 2016 Palynological, Osteological and Anthropological studies have been added. Since 2017, Paleobotany, another science-specific science, has been added to the expedition, which has further enhanced information about Samshvilde.

From 2012 to 2017, during the archaeological survey of Samshvilde city was founded various ceramics, metal, stone and glass items. In the article we will discuss only glass items. Discovered glass fragments are diverse: glass bracelets, glass windows, cups, bead, bottle and etc. Discovered material is mainly divided into two periods XI-XIII century and XVIII-XIX century.

Glass industry is widely spread and developed in XII - XIII centuries. The glass items of this period are found in: Tbilisi, Dmanisi, Rustavi, Natbeuri and so on. In the feudal Georgia, bracelets were one of the most common glass jewels. Just like the rings, the bracelets were made of colored glass. Different types of glass bracelets are found in former city of Samshvide.

Glass bracelets found in the Samshvilde palace are presented as fragments. All the bracelet should be circular. Some of the bracelets were supposedly to be coated, as they were considered a place to cross the area, which is presented as a little bit slippery and fatty. There are also round, simple, thin twisted, multy crossed fragments, fragments of smooth bracelets that are different colors and are dated XI - XIII century.

Along with glass bracelets is a window glass. Glass fragments found in Samshvilde are dated XI - XIII century. These kinds of glasses were found during the researches in the medi- eval old palace Nadarbazevi, also in the ruins of the old church in Rustavi and the Geguti palace, at Tsromi Cathedral, Orbeti, and so on. Such a variety of window glass and the spread area indicates that the art of feudal Georgia was rapidly developing. The windows glass obtained in Samshvilde are different colors, black, dark and light green, reddish colors.

Early, middle and late feudal glassware differ from each other as well as the glass also by shape. The middle feudal vessels are more plentiful and refined. There are bowl liked glasses, also cups on the heel. Fragments of glass cups found on the Samshvilde settlement are dated back to XI - XIII century. Mari Chkhatarashvili sets out the five groups in the medieval period of glass meditation, each of which is made up of free air-blast: tableware (cups, jugs, bottles, salt pots); cosmetic and pharmacy vessels; water jug, torch, urine drainpipe. Only glass and bottles fragments have been found in Samshvilde.

Glass production was possible by using different methods. Glassware found in Georgia was mainly made with casting, free air-blowing, blowing into ornamental or smooth mold. For decorating was used both hot and cold processing method.

As we can see in the Middle Feudal Ages, the glassware is distinguished by its numerous and diversity: vessels, jewelry, windows glass and so on. That confirms Georgia's economic strength of that time. Many researchers suspected glass production in Dmanisi, Tbilisi and Rustavi. Current archaeological studies have uncovered a variety of glass, so it is possible that further research in the excavations might detect the place of glass industry, After that it will join the Heritage list, because is not excluded that the city with such an area had its own different workshops at its own time, as the historical sources indicate that Samshvilde was well developed and densely populated city from the Middle ages. It is proved with archaeological studies conducted by Simon Janashia National Museum of Georgia, in 1968 and also by the archeological expedition of the Samshvilde in 2013-2017. As a result of archeological studies carried out in recent years, a variety of household items, including glassware, dating to X-XIII centuries, representing about 5% of the material discovered. Fragments of bracelets and bottom parts of the dishes are distinguished glass items.

Description of illustrations

1. Samshvilde Cape.
2. The fragment of twisted glass bracelet.
3. The fragment of twisted glass bracelet.
4. The fragment of glass.
5. The fragment of glass vessel

სამშვილდის ნეოლითური ინდუსტრია

(ქვის ნედლეულის წარმოების სრული ციკლის პროცენტული ანალიზი და აღწერა-დახასიათება)

კვახაძე ლევანი,
არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი
levan.kvaxadze@gmail.com

პრეამბულა

სამშვილდის ნაქალაქარი, მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ სამშვილდესთან. სამშვილდის ნაქალაქარი სტრატეგიულად ძალზე ხელსაყრელ ადგილასაა განლაგებული, იგი აღმართულია მდინარეების: ჭივჭავისა და ხრამის შესაყართან ამოზიდულ მაღალ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიმართულ წაგრძელებული ფორმის კონცხზე, რომელიც 150-200 მ სიმაღლის ბაზალტოვან განშრევებებისაგან წარმოქმნილ კლდოვან მასივს წარმოადგენს.

საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია 2012 წლიდან აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრებს, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 2016 წლის საველე სეზონი, სადაც გათხრები სიონის საკათედრო ტაძრის სიახლოვეს - „სიონის უბანზე“ მიმდინარეობდა. ამ უკანასკნელზე 2016 წელს გაიხსნა ახალი თხრილი № N8 5x5 კვ.მ. ფართობით. ჰუმუსოვანი ფენის მოხსნის შემდეგ განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი მასალასთან ერთად თავი იჩინა ბრინჯაოს ხანის მცირე კერამიკის ფრაგმენტებმა და ჩვენთვის მნიშვნელოვანმა ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევებმა. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ეს მასალა არ განეკუთვნებოდა შუა საუკუნეებს და როგორც კულტურულად, ისე ქრონოლოგიურად განსხვავებულ კონტექსტს მიეკუთვნებოდა. მიწის ზედაპირიდან 0.80-1.0 სმ. სიღრმეზე თავი იჩინა ბაზალტოვანმა დედაქანმა, რომლის ბუნებრივი ჩაღრმავევები როგორც ჩანს ადრეულ შუა საუკუნეებში, კირით იყო ამოვსებული მოსასწორებლად. „კირის მოედანმა“ დააკონსერვა ნეოლითური და ბრინჯაოს ხანის მასალა და სტრატიგრაფიული თვალსაზრისით შემდეგი სურათი შეიქმნა: „კირის მოედნის“ ქვეშ უნდა ყოფილიყო ქვისა და ბრინჯაოს ხანის მასალის შემცველი ფენები, ხოლო მის ზემოთ განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებისა. შემდგომ, შუა საუკუნეებში აქტიურმა ცხოვრებამ ნაქალაქარზე და ამავე პერიოდის დროინდელმა „სამეურნეო ორმოებმა“ ეს „კირის მოედანი“ დააზიანა და ობსიდიანის, კაჟისა და არდელიტის იარაღები, ასევე ბრინჯაოს ხანის კერამიკის შემცველი ფენები აირია და აღმოჩნდა შუა საუკუნეების შემცველ ფენაში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სიონის უბნის იმ მონაკვეთებზე (თხრილი № N8) (სურ.1), სადაც კლდოვანი დედაქანი ბოლომდე გაშიშვლდა, შუა საუკუნეების კულტურულ ფენაზე ადრეული უძრავი ფენები არ დადასტურებულა. თუმცა, ქვის არქაული მასალის აღმოჩენა სამშვილდის კონცხზე ასეთი ფენების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს [ბერიკაშვილი, 2017, 11].

წინამდებარე ნაშრომის მიზანი სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2016 წელს № N8 თხრილში მოპოვებული ქვის ნამზადი იარაღებისა და საერთოდ, ქვის

წარმოების სრული ციკლის მაუწყებელი ყოველგვარი ნიმუშის აღწერაა. რაც შეეხება პროცენტულ ანალიზს, მასში შედის სრული ინდუსტრიული ციკლის დამადასტურებელი ობსიდიანისა და კაჟის, კაჭრების, ანატკეც-ანამტვრევების, ნუკლეუსების, საფხეკების, სახოკების, წვეტანების, სახვრეტების, კომბინირებუილი იარაღების (საფხეკ-სახოკის და საფხეკ-საჭრისის) რაოდენობის გამოვლენა და პროცენტული ანალიზი. ასევე, ქვეჯგუფების დაყოფა ქვის იარაღების სახეობის (ფორმების), დამუშავებასა და ტექ-ნოლოგიების მიხედვით.

სურ.1.

ნედლეულის მიმოხილვა და დამუშავება

როგორც აღმოჩენილი მასალის სტატისტიკამ გვიჩვენა კოლექციაში გაბატონებული ადგილი უჭირავს ობსიდიანის ინდუსტრიას, ალბათ იმიტომ, რომ სამცხე-ჯავახეთი უფ-რო ახლოა, სადაც ობსიდიანის გამოსავლებია ვიდრე იმერეთი, სადაც ბევრია კაჟი, ნედლეულში წარმოდგენილია შავი ფერის გაუმჭვირვალე და ნახევრად გამჭვირვალე ქანები. მათ შორის იშვიათად გვხვდება ყავისფერძარღვიანი, წითელძარღვიანი ნიმუშებიც და თითო-ოროლა რქეულასა თუ კაჟის იარაღ-ანატკეცები.

მოპოვებული მასალის ნიშანდობლივი თავისებურებაა, როგორც პირველადი დამუშავება - ქვის ატკეცვის, ისე მეორადი დამუშავების - რეტუშირების დაბალი დონე, რაც ქვის ხანის მოგვიანო ძეგლების დამახასიათებელი თავისებურებაა [გრიგოლია, ბერიკაშვილი, 2018, 88].

ობსიდიანის ნედლეულის წარმოების სრული ციკლი

უფრო თვალსაჩინო, რომ იყოს და სრული წარმოდგენა შეგვექმნას სამშვილდეში გამოყენებული ობსიდიანის დამუშავების ტექნიკაზე, საჭიროა წარმოების პროცესს ისეთი ეტაპობრივი თანმიმდევრობით გავადევნოთ თვალი.

კაჭარი. (სურ. 2) № N8 თხრილში ქვის მასალის კომპლექსში 2 ერთეულია (ცხრ. № I), რომელიც მთლინი რაოდენობის მხოლოდ 1%-ია. ობსიდიანი ბუნებრივი ქერქით არის დაფარული და მოყავისფრო-მონაცრისფეროა, ორივეს წახნაგა ფორმა აქვს (ზომები 2x3 და 2x2 სმ) ასევე ამ უკანასკნელს გვერდი ჩამოტეხილი აქვს შემდგომში ნუკლეუსის მისაღებად, რასაც მოწმობს ამ სახის მზა პროდუქცია - ნუკლეუსების აღმოჩენაც. საინტერესოა ისიც, რომ მთლიანი კაჭრის აღმოჩენით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამშვილდეში ობსიდიანის პირველადი დამუშავება ხდებოდა, ასევე ობსიდიანი არ ყოფილა ადგილობრივი მასალა და სხვა ტერიტორიიდან უნდა ყოფილიყო ქარ-თლში (სამშვილდის კონცხზე) მოხვედრილი, ამიტომ ნეოლითელ ადამიანს ის უფრო უკიდურესი სამხრეთ ზეგანიდან, ჯავახეთიდან უნდა შემოეტანა. ასევე № N8 თხრილში მრავლადაა კაჭრიანი ანატკეც-ანამტვრევები რაც იმ მოსაზრებას ამყარებს, რომ სამშვილდის კონცხზე მთლიანად ან ნაწილობრივ „ითლებოდა“ კაჭარით დაფარული ობსიდიანები.

სურ. 2.

ნუკლეუსები. (სურ. 3) „როგორც ცნობილია ნუკლეუსები ქვის ინდუსტრიის საწყისი პროდუქტია, რომლის მოყვანილობა და დამუშავებისათვის გამოყენებული ტექნიკური ხერხები იმთავითვე დამახასიათებელ დაღს ასვამს მთელ კულტურას“ [გრიგოლია,197, 44].

სამშვილდეში აღმოჩენილი ნუკლეუსების სრული რაოდენობა მიკრონუკლეუსებია (ზომები 2x3 და 3x2 სმ. მერყეობს).

სურ. 3.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ კაჭრებიც მცირე ზომის იყო, ეს არც იყო გასაკვირი. ნუკლეუსები 11 ც. აღმოჩნდა № N8 თხრილში, რომელიც მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 5%-ია (ცხრ. № I). შეიძლება გამოიყოს პრიზმული და კონუსური ნუკლეუსები. დანარჩენი ნუკლეუსები ამორფულია და ნაკლებად ექვემდებარება კლასიფიკაციის მიღებულ ნორმებს და, უმეტეს შემთხვევაში, ანატკეცების მისაღებად უხეშადაა დამტვრეული.

ანამტვრევები. (სურ. 4) № N8 თხრილიში (2016 წლის მასალაში) ანამტვრევები შეადგენს მასალის უმრავლესობას - 145 ცალს, რომელიც მთლიანი მასალის რაოდენობის 67%-ია. მასალის უმეტესობა მასიურ უფორმო ნატეხებს წარმოადგენს, როგორც ჩანს, ისინი მიღებულია კაჭრით დაფარული „ობსიდიანის გათლის დროს“. 145 ანამტვრევიდან 47 ცალს ეტყობა კაჭრის კვალი ანამტვრევის ზედაპირზე, ხოლო 98 ცალს ის არ აქვს (ცხრ.№ I). ეს მასალა მთლიანად წაროადგენს ქვის პირველადი დამუშავების პროცესში მიღებულ წუნს, ასევე აქ არის საშულო ზომის ნატეხები, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა, რაც მასალის არაეკონომიურ გამოყენებაზე მიანიშნებს.

სურ. 4.

მცირე ზომისა და ქერცლისებული ანატკეცები. (სურ. 5) წარმოების ნარჩენების რიგში განვიხილავთ მცირე ზომისა და ქერცისებურ ანატკეცებს. ისინი მიღებულია ქვის მეორადი დამუშავების პროცესში, რომელიც 58 ცალი აღმოჩნდა და მთლიანი მასალის 27%-ს შეადგენს. ისინი მოგრძო, მოშავო ან გამჭვირვალე ობსიდიანის ფირფიტებია, აქედან 8 ცალს მცირე კაჭრის ზოლი გასდევს, 38 ცალი უკაჭროა და აქვე შედის 12 ცალი მცირე და ქერცლისებური ანატკეცები (ცხრ. № I).

სურ. 5.

ცხრილი № I. ნატკეცი ქვის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

კატეგორია	რაოდენობა	%
კაჭრები	2	1%
ნუკლესუსები	11	5%
ანატკეცები კაჭრიანი	8	4%
ანატკეცები უკაჭრო	38	18%
ქერცლისებური ანატკეცები	12	5%
ანამტვრევები კაჭრიანი	47	21%
ანამტვრევები უკაჭრო	98	46%
საერთო რაოდენობა	215	100%

ცხრილი № II. ნამზადი იარაღების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

კატეგოტია ნამზადი იარაღები	რაოდენობა	%
ნამგლისპირი	8	20%
ლამელა	5	13%
კომბინირებული იარაღები	2	10%
საფხეკები	8	21%
სახვრეტები	3	8%
საჭრისები	11	28%
საერთო რაოდენობა	42	100%

საფხეკები. (სურ. 6) სამშვილდის ქვის ნაკეთობათა კომპლექსში რვა ერთეულის სახით არის წარმოდგენილი და 21% -ს შეადგენს. ქვის ხანის ძეგლებისათვის დამახასიათებელი ისეთი ძირითადი სამეურნეო იარაღი, როგორიცაა ბოლო რეტუშირებული საფხეკი (ცხრ. № II).

სურ. 6.

აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი, ერთი გამონაკლისის გარდა, უხეშ ანატკეცანამტვრევებზეა ჩამოყალიბებული და ყველა მათგანის რეტუშირებული სამუშაო მონაკვეთი იარაღის ბოლოშია მოწყობილი. კოლექციაში შემავალი საფხეკი ტიპის იარაღებიდან პირის გაფორმების მიხედვით ერთი სწორპირაა სამი პირმორკალული და ორიც ირიბრეტუშირებულპირიან იარაღად შეიძლება ჩაითვალოს. ეს ორი უკანასკნელი გალეულ ნუკლეუსსა და ნუკლეუსისებურ ანატკეცზეა გაფორმებული, რომლის მასიური დარტყმის სიბრტყე დამატებითად არის ატკეცილი. დამუშავების ასეთი ხერხი სამშვილდის ქვის მასალების დამახასიათებელ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს. გალეული ნუკლეუსების საფხეკების ნამზადებად გამოყენების ფაქტები ხშირად დასტურდება წოფის ენეოლითური ხანის ქვის ინდუსტრიაშიც [ნებიერიძე, 2010, 21. ტაბ. X. 10].

სახვრეტები. (სურ. 7) ბურღისებური სახვრეტები სამი ერთეულის სახით არის აღმოჩენილი, რომელიც მზა იარღების 8%-ს შეადგენს (ცხრ. № II). ერთ სახვრეტს, ცალმხრივი რეტუშით, ორივე სიგრძე სრულად ან ნაწილობრივ რეტუშირებული აქვს და მათი შეხვედრის კუთხეში მოკლე შვერილია წარმოქმნილი [გრიგოლია,1977, 58. ტაბ. IX-5]. დანარჩენი ორი იარაღი უფრო მცირე ზომის ანატკეცს წარმოადგენს, რომლებსაც ფაქიზი რეტუშით გამოყვანილი სახვრეტი შვერილი აქვს [გრიგოლია, ბერიკაშვილი, 2018, 93. ტაბ.V-5].

სურ. 7.

საჭრისები. (სურ. 8) № N8 თხრილის 2016 წელის მასალაში საჭრისები მასალის ნამზადი იარღების 28%-ს შეადგენს. სულ 11 ცალი, რომლის უმეტესობა შემთხვევითი ანატკეც-ანამტვრევებისგან არის გაკეთებული (ცხრ. № II). ორ მათგანს ერთი მასიური გვერდი ციცაბო რეტუშით აქვს გაფორმებული, მეორე გვერდი საჭრელ საფხეკად უნდა გამოეყენებინათ, ხოლო სამი მათგანი ზურგიან დანებს ჰგავს, რომელთა ერთ

ნაწილს სიგრძივი გვერდი გადამტვრეული აქვს და დანის ყუა, ანუ ხმარებისათვის მოსახერხებელი თითის საყრდენი სიბრტყეა შექმნილი. აქედან ერთის ყუას ბუნებრივი ქერქი ფარავს [გრიგოლია,1977, 51].

სურ. 8.

კომბინირებული იარაღი. (სურ. 9) რომელიც ორი ერთეულით არის წარმოდგენილი და მზა იარაღების 10%-ს წარმოადგენს (იხ. ცხრ. № II), მას ორმაგი დატვირთვა ჰქონდა და საჭრის-საფხეკად გამოიყენებოდა.

ნამგლისპირები. (სურ. 10) ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად არის დამახასიათებელი და კარგი მარკერია მიწათმოქმედი კულტურებისთვის. დაკბილული ნამგლის პირები ჩნდებიან მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვისთანავე [ნებიერიძე, 2010, 85]. 2016 წლის მასალაში 8 ცალი აღმოჩნდა და სხვადასხვა ფორმის არის. ზოგი შემთხვევითი ანატკეცის ფირფიტის სახისაა, რომელიც ნამგალში გამოყენება და რეტუშირების კვალი ეტყობა, იგი მთლიანი ნამზადი იარაღების 20%-ია. სამშვილდის ცალკეული აღმოჩენებიდან მრავალმხრივ საყურადღებოა კაჟის ერთი ნამგლისპირი. იარაღის დასამზადებლად გამყენებულია სწორკუთხა მოყვანილობის, თხელი, ქვედა სიბრტყისკენ

ოდნავ მოხრილი ღია ფერის, ორფერდა ლამელა, რომლის ერთ-ერთ სიგრძივ გვერდზე დამრეცი რეტუშით ოთხი კბილია გამოყვანილი. ეს იარაღი არსებითად ზურგიდან არის დამუშავებული, ქვედა სიბრტყეზე კი რეტუში მხოლოდ ნამგლის კბილების გაფორმების მიზნითაა გამოყენებული და ვიწრო ზოლად დაუყვება იარაღის კიდეს. გარდა ამისა, ქვედა სიბრტყიდან ფაქიზი რეტუშითაა გაფორმებული ლამელის ერთ-ერთი განივი გვერდი, რაც გვაფიქრებინებს, რომ იარაღი ხის ან ძვლის ბუდეში ჩამაგრებული უნდა ეხმარათ, რადგან განივი გვერდის რეტუშირება, ტარში ჩამაგრებული მეორე ანალოგიურ იარაღთან უკეთ მორგებას უნდა ემსახურებოდეს [გრიგოლია, ბერიკაშვილი, 2018, 91, ტაბ.IV. 4].

სურ. 9.

სურ. 10.

ლამელები. (სურ. 11) ლამელების ჯგუფში მხოლოდ 5 ეგზემპლარია, რომელიც 13%-ს შეადგენს (ცხრ. II). მასალაში შედის ორი ცალი მოგრძო ფორმის თავგადამტვრეული (ბოლოც არ აქვთ შემორჩენილი) ლამელა. ფორმის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი შედგენილი იარაღების ნაწილს წარმოადგენდნენ.

სურ.11.

გამოყენებული ლიტერატურა

ბახტაძე, ნ. (2007). *კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში.* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., გრიგოლია, გ., ბუხსიანიძე, მ., გაბუნია, თ., ოდილავაძე, დ., ქებულაძე, ნ. სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის სამეცნიერო ანგარიში /2015-2016 წწ/.

ბერიკაშვილი, დ. (2017). *არქეოლოგიური გათხრები სამშვილდეში (2015-2016 წლის მასალები).* თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გრიგოლია, გ. (1977). *ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი პალური.* თბილისი. მეცნიერება.

გრიგოლია, გ. , ბერიკაშვილი, დ. (2018). ნეოლითური ქვის ინდუსტრია სამშვილდედან. *ჟურნალი „არქეოლოგია 2“.* თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გრიგოლია, გ., ბერიკაშვილი, დ., ყვავაძე, ე., მიულერი, ა., კუპალი, ი. (2017). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კიღურაძე, თ. მენაბდე, მ. (1981). *სიონის არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი.

მირცხულავა, გ. (1975). *სამშვილდე.* თბილისი.

ნებიერიძე, ლ. (2010). *წოფის ენეოლითური კულტურა.* თბილისი.

ჭილაშვილი, ლ. (1970). *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში.* ტ. II. თბილისი.

ჰანზენი, ს., მირცხულავა, გ. (2013). *ადრესამიწათმოქმედო კულტურა სამხრეთ კავკასიაში (არუხლოს გორაზე 2005-2011 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში).* თბილისი.

Iniza, M.L., Reduron-ballinge, M., Tixier, j. (1999). *Technology and terminology of knapped stone*. Naterre.CREP.

სურათების აღწერილობა

1. ბაზალტოვან დედაქანში ჩაჭრილი ორმოები და ბუნებრივი ჩაღრმავებები № N 8 თხრილში. სამშვილდე, სიონის უბანი.
2. ობსიდიანის კაჭრები.
3. ობსიდიანის ნუკლეუსები.
4. ობსიდიანის ანამტვრევები.
5. ობსიდიანის მცირე ქერცლისებური ანატკეცები.
6. ობსიდიანის საფხეკები.
7. ობსიდიანის ბურღები.
8. ობსიდიანის საჭრისები.
9. ობსიდიანის კომბინირებული იარაღი.
10. ობსიდიანის ნამგლის ჩასართები.
11. ობსიდიანის ლამელის ფრაგმენტები.

Neolithic industry of Samshvilde

(Percentage analysis and description: characterization of the full cycle of stone raw material production)

Kvakhadze Levani,
International Archaeological Center
levan.kvaxadze@gmail.com

Summary

Former settlement of Samshvilde is located in Tetritskaro Municipality, at a strategically very favorable place at the distance of 3 km from village Samshvilde. It represents a high, elongated cape emerged at the confluence of Khrami and Chivchava rivers, stretching from the west to the east, which is a rocky massive created from 150-200 m high basalt layers. Samshvilde archaeological expedition of the University of Georgia has been conducting archaeological excavations since 2012, however, 2016 field season turned out to be particularly significant when excavations were carried out near Sioni cathedral, on "Sioni district". A new trench № N8 with the area of 5X5 sq.m. was opened on the latter in 2016. After removal of top soil, together with the material common for the developed and late Middle Ages, small ceramic fragments of the Bronze era and the most important obsidian flakes and fragments were discovered. It became clear from the beginning that this material did not belong to the Middle Ages and it fell within a different context both in terms of culture and chronology. Basalt source rock was discovered at the depth of 0.80-1.0 cm from the ground surface and as it seems its natural cavities were filled with lime in the early Middle Ages and compacted. Lime conserved the Neolithic and Bronze era material. We have the following picture: there must have been the Stone and Bronze Age material under the lime, and developed and late Middle Ages must have been above the lime. Later, the "middens" of the period of the Middle Ages made a hole into this "lime surface" and together with the lime, this material, obsidian, flint and ardealite tools, as well as the Bronze era ceramics were discovered in the layer containing the Middle Ages. At the same time, it should be mentioned that on those sections of Sioni district (trench № N8). where the cliffy source rock was entirely denudated, immovable layers were not confirmed on the cultural layer of the Middle Ages. However, discovery of archaic stone material here must be an indication of existence of such layers on Samshvilde cape.

The goal of this paper is to describe all samples pointing to the full cycle of production of stone tools obtained by Samshvilde Archaeological Expedition in the trench № N8 in 2016 and stone in general. As for the percentage analysis, it includes identification of the number of obsidian and flint, pebbles, flakes and fragments, nuclei, scrapers, arrow points, combined tools (scrapers and scraper-cutters) confirming the full industrial cycle and their percentage analysis as well as division into subgroups of stone tool types (forms) or their processing and technology.

Overview and processing of raw material

The statistics of the discovered material shows that obsidian industry occupies a dominant place in the collection, possibly because Samtskhe-Javakheti is closer to the places of obsidian

output than Imereti where there is a lot of flint. The raw material is represented by black non-opaque and opaque rocks. Among them, brown vein samples are seldom encountered, as well as a couple of flint tool-flakes.

"The noteworthy characteristic of the obtained material is the low level of the primary processing – stone flaking as well as the secondary processing – shading, which is common for the later monuments of the Stone Age".

Full cycle of production of obsidian raw material

To have a better idea of the obsidian processing technique used in Samshvilde, we need to observe the production process in the same sequence as it was done by a Neolithic person. I will start to describe the material with pebbles as the beginning of production and will go to the produced tools.

Pebbles. There are 2 units in the stone material complex in the trench № 8 (see Table I) which makes just 1% of the total quantity. Obsidian is covered by natural crust and is brownish-grayish. Both of them have a faceted shape (sizes 2x3 and 2x2 cm). Also, the latter has a broken edge for obtaining a nucleus later which is confirmed by the discovery of this type of finished product – nuclei. It is also interesting that by discovery of a whole pebble we can establish that primary processing of obsidian took place in Samshvilde and also, obsidian was not local material and must have appeared in Kartli (Samshvilde cape) from another place, so the person of the Neolith era must have brought it from the southernmost plateau, Javakheti. Besides, there are numerous flakes and pieces with pebbles in the trench № N8 which supports the opinion that obsidians covered by pebbles were wholly or partially "cut out" on Samshvilde cape.

Nuclei: "As it is known, nuclei are the initial product of stone industry and its contours and technical methods used for processing leave a characteristic imprint on the entire culture". Full amount of nuclei discovered in Samshvilde are micro-nuclei (sizes range between 2x3 and 3x2). If we consider that pebbles were also of small size, this was not surprising. 11 pieces of nuclei were discovered in the trench # N8 which is only 5% of the total quantity. Nuclei are divided into prism and conic nuclei. The remaining nuclei are amorphous and are less subject to accepted norms of classification and in most cases, are violently broken to obtain flakes.

Fragments: In trench № N8 (material of 2016) fragments make up majority of the material – 145 pieces which is 67% of the total material. Most of materials represent massive shapeless pieces. It seems that they were obtained "during carving the obsidian" covered with pebble. 47 of 145 fragments have the trace of a pebble on the surface, while 98 fragments do not have such trace. This material entirely represents the defect obtained during the initial processing of stone. Also, there are pieces of average size which could have been used, which is an indication of uneconomical use of material.

Small size and scaly flakes. I consider small size and scaly flakes as production waste. They are obtained during the secondary processing of stone and their number appeared to be 58 and they make up 27% of the total material. They represent elongated, blackish or transparent obsidian plates. 8 of them have a small pebble strip, 38 of them have no pebbles and they include 12 small and scaly flakes.

Scrapers: Scrapers are represented in the complex of Samshvilde stone items by eight pieces and and equal to 21%. The tool, such as the last retouched scraper is common for the monuments of the Stone Age.

Among scraper tools included in the collection, depending on the processing of the blade, one is straight-bladed, three have curved blades and two may be considered as tools with indirectly retouched blades. The two latter tools are processed on a depleted nucleus and a nucleus-like flake whose massive blow plane is additionally flaked. Such method of processing should be considered to be common for Samshvilde stone materials. The facts of using depleted nuclei for making scrapers are often confirmed in the stone industry of the Neolith period in Tsopa.

Perforating tools. Three drill-like perforating tools are discovered which make up 8% of the finished tools. One perforating tool, with a one-side retouch has both lengths fully or partially retouched and a small edge is created at the place of their intersection. The remaining two tools represent a smaller flake which have a perforating crest processed by a fine retouch.

Cutters. Cutters make up 28% of the produced tools in the 2016 material of the trench № 8. Their total number is 11 and most of them are made of random flakes and fragments. Two of them have a massive side decorated with a steep retouch. The other side must have been used as a cutter-scraper and three of them resemble knives with a back. The longitudinal side of one of their part is broken and blunt side of the knife, i.e. space for supporting a finger convenient for use is created. The backside of one of them is covered by natural barley.

Combined tools: these are represented by two units and make up 10% of the finished tools. They had a double function and were used as a cutter-scraper.

Sickle blades: This is the most characteristic sign and a good marker for agriculture. Cogged sickle blades have appeared since the inception of manufacturing industry and 8 units were discovered in the 2016 material. They are of various colors. Some of them are in the form of a random flake plate and its use in the sickle is seen by breakings. It makes up 20% of all produced tools. One flint sickle blade is noteworthy among separate discoveries of Samshvilde. A rectangular, thin, bright color, two-side lamella slightly inclined to the lower plane was used for producing tools. Four cogs are designed on one of its longitudinal sides with a steep retouch. This tool is mainly processed from the back and on the lower plane the retouch is used only for the purpose of designing of sickle cogs. In addition, one of the lateral sides of lamella is designed by a fine retouch from the lower plane suggesting that the tools must have been used placed in a wooden or bone casing, when retouching of the lateral side should serve a better use of the second similar tools placed in the handle.

Lamellas: There are only 5 units in the group of lamellas and they make up 13%. The material includes two units of lamellas of elongated form, with broken head and without an end. Based on the form we may assume that they represent a part of produced tools.

Description of pictures

1. Pits and natural depressions, trench № N 8 cut in the basalt rock.
2. Obsidian pebbles.
3. Obsidian nuclei.
4. Obsidian fragments.
5. Small scaly obsidian flakes.
6. Obsidian scrapers.
7. Obsidian perforating tools.
8. Obsidian cutters.
9. Combined obsidian tools.
10. Obsidian sickle blades.
11. Obsidian lamellas.

დამირგაია - კლდის მხატვრობის უცნობი ძეგლი სამხრეთ საქართველოდან

ლოსაბერიძე ლევანი,
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
levan.losaberidze.1@iliauni.edu.ge

შესავალი

ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1980-1981 წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგებზე საუბრისას, ავტორებს ბოლო აბზაცში მოხსენიებული აქვთ მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ კასუმლოს მიდამოებში მიკვლეული რამდენიმე საყურადღებო ძეგლი, მათ შორის შომუ-შულავერის კულტურის ერთი დაუზიანებელი და ორი მოსწორებული გორა-ნამოსახლარი. ამასთან, ავტორები განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშნავენ, რომ მათ მიაკვლიეს პირველყოფილი ხელოვნების უნიკალურ ძეგლს ადგილ დამირგაიაზე, სადაც მუქი წითელი ოქრით შესრულებული კლდის მხატვრობა ფიქსირდება. აღწერის მიხედვით „ნახატები მცირე ზომისაა და შესრულებულია მეტად სტილიზებულად. ნახატების დიდი ნაწილი წაშლილია, მაგრამ ზოგიერთი მათგანი საკმაოდ კარგადაა გადარჩენილი, სადაც ჩანს ირმის, თხის, გველის და სხვა გამოსახულებანი“ [მენაბდე, კიღურაძე. 1986, 27-28].

2017 წლის ნოემბერში, „ახალგაზრდა არქეოლოგთა საზოგადოების“ ინიციატივით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების მთავარი სპეციალისტის, ბატონი ელგუჯა კუპატაძისა და საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უშუალო თანადგომით ხელახლა დაიზვერა ეს ტერიტორია, რათა მიგვეკვლია იმ ძეგლისათვის, რომელიც თ. კიღურაძემ დააფიქსირა.

გასულ საუკუნეში შესაბამისი ტექნიკის არარსებობის გამო, დღემდე არ მოგვეპოვებოდა ამ ადგილის ზუსტი კოორდინატები. მეტიც, სამწუხაროდ, ანგარიშში ამ აღმოჩენას მხოლოდ ერთი აბზაცი აქვს დათმობილი და ისიც მეტად ზედაპირული აღწერით შემოიფარგლება. არ მომხდარა ძეგლის ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, რაც, ვფიქრობთ, აუცილებელი იყო. შესაბამისად, სამეცნიერო წრეებში და მითუმეტეს ფართო საზოგადოებაში, ამ უნიკალური ძეგლის შესახებ ინფორმაცია ფაქტობრივად არც არსებობდა.

ძეგლის აღწერა

ადგილი დამირგაია* მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ კასუმლოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბერდუჯის ქედზე, საქართველო-სომხეთის საზღვრიდან დაახლოებით ასიოდე მეტრში, ზღვის დონიდან 687 მ-ზე მდებარეობს (სურ. 1). ეს მთა ვულკანური წარმოშობის ქანზეა აგებული. მთის წვერზე ქანი გაშიშვლებულია. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ქანებმა შლა დაიწყეს, რამდენიმე დიდი ლოდი მთის წვერიდან მოწყდა და ორი მათგანი 200 მეტრის მოშორებით, ფერდობზე გაჩერდა (სურ. 2.1). სწორედ ამ ორი ლოდიდან ერთ-ერთი, ადამიანის მიერ სადგომად, დროებით

* ადგილობრივი ეთნიკური აზერბაიჯანელების ცნობით, ეს დასახელება ითარგმნება როგორც „რკინის კლდე“.

თავშესაფრად იქნა გამოყენებული (საერთო სიმაღლე 5.5 მ, სიგანე 7.3 მ; შიდა სივრცის სიმაღლე 3.6 მ, სიგანე 5.5 მ). ჯერჯერობით რთულია იმაზე საუბარი, მოხდა თუ არა სადგომის შიდა სივრცის ხელოვნურად გამოკვეთა, რაიმე იარაღის დახმარებით, თუ ის სივრცე, რომლის ფართობი დაახლოებით 15 $м^2$-ია, მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი წარმონაქმნია (სურ. 2.2).

სურ. 1.

სურ. 2.1.

სურ. 2.2.

სადგომის ღია ნაწილი ჩრდილო-დასავლეთისკენაა მიმართული. მხატვრობის კვალი ინტერიერის სამხრეთ კედელზე, მის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილშია (საფასადო მხრიდან) კონცენტრირებული (სურ. 3), თუმცა დიდი ნაწილი ძალზედ ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ის ასევე დაზიანებულია ახლო წარსულში გაკეთებული წარწერებით, რომლებიც ნახშირითაა მიწერილი*. წითელი ფერის ოქრით შესრულებულ მხატვრობის ნიმუშებში პირობითად გამოვყავით სამი ტიპის გამოსახულებები: 1 - ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებები; 2 - გეომეტრიული ფიგურების (რომბი, სამკუთხედი) მსგავსი ფორმები; 3 - გამოსახულებები, რომელთა წაკითხვაც შეუძლებელია. გამოსახულებების მაქსიმალური სიგრძე-სიგანე 10-დან 20 სმ-მდეა (სურ. 4).

ყველაზე კარგად შემორჩენილია სტილიზებული ირმის გამოსახულება, რომელსაც აშკარად ემჩნევა ოთხივე ფეხი, ტანი, თავი და რქები. მის ქვემოთ ფიქსირდება დაკლაკნილი (S-ის ფორმის) ფიგურა (სურ. 5.1). დარწმუნებით ამის თქმა შეუძლებელია, თუმცა თუ თ. კიღურაძის აღწერას გავიხსენებთ, მას სხვა ცხოველებთან ერთად ნახსენები აქვს გველის გამოსახულება. შესაძლოა ირმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე გამოსახულება სწორედ გველისა იყოს. ასევე ფიქსირდება რამდენიმე ცხოველის გამოსახულება, მათ შორის ერთს რქები და გრძელი კუდი აღენიშნება (სურ. 5.2), თუმცა დაზუსტებით, კონკრეტულ სახეობაზე საუბარი რთულია. კიდევ ერთი ცხოველის გამოსახულება ფიქსირდება, რომელიც ასევე არაა იდენტიფიცირებული (სურ. 5.3).

* უნდა აღინიშნოს, რომ ამ ადგილს დღესაც აქტიურად იყენებენ ადგილობრივი მწყემსები თავშესაფრად და სავარაუდოდ, სწორედ მათი დაზიანებული უნდა იყოს პირველყოფილი მხატვრობის ნიმუშები.





სურ. 3.



სურ. 4.

მეთოდოლოგია

მხატვრობის ნიმუშების დიდი ნაწილის იდენტიფიცირება ძირითად ტიპებად (ცხოველთა ფორმების გამოვლენა) მოხდა მაღალი რეზოლუციის ფოტოების გამოსახულების გაუმჯობესების გზით, რისთვისაც გამოვიყენეთ სპეციალური პროგრამა 'D-Stretch Image Enhancement' [Defrasne, 2014, 31-38; Bradly, Hampson, Sanz, 2017]. ამ სამუშაოს ჩატარებაში დიდი დახმარება გაგვიწია მარსელის უნივერსიტეტის მეცნიერმა, დოქტორმა კლაუდია დე ფრასნმა.



სურ. 5.1.



სურ. 5.2.



სურ. 5.3.

პარალელები

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ოქრით შესრულებული კლდის ან გამოქვაბულის/მღვიმის მხატვრობა ამ დრომდე არ იყო დაფიქსირებული, თუმცა კავკასიის მასშტაბით მსგავსი ნიმუშების აღმოჩენის არაერთი შემთხვევაა ცნობილი. განსაკუთრებით საინტერესოა სამხრეთ კავკასიის, კერძოდ კი სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მიკვლეული ძეგლები, სადაც მსგავსი მხატვრობის კვალია გამოვლენილი. სომხეთში ამ ტიპის ძეგლები 1970-იანი წლებიდანაა ცნობილი. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა გეღამავან 1-ის მღვიმეში (სურ. 6.1; 6.2) დაფიქსირებული

სტილიზებული ირმის რამდენიმე გამოსახულება (სურ. 6.3; 6.4). მათი შესრულების არარეალისტური მანერა გარკვეულწილად წააგავს დამირგაიას სადგომზე დაფიქსირებულ ირმის გამოსახულებას. გეღამავანის მღვიმეში ასევე ვხვდებით ცხენისებრთა ოჯახის წარმომადგენლის, კანჯარის/ონაგრის (ლათ. Equus Hemionus) გამოსახულებას (სურ. 6.5). ამ სახეობის ოსტეოლოგიური მასალა აღმოჩენილია იმავე მიდამოებში, Kmlo-2 მღვიმეში და გეღაროტი-1 ღია ტიპის ძეგლზე. Kmlo-2 მღვიმეში აღმოჩენილი ძვლები ძვ.წ. მე-12 – მე-8 ათასწლეულებით დათარიღდა, რის შედეგადაც გეღამავანის გამოსახულების თარიღიც ამ ქრონოლოგიური დიაპაზონით განისაზღვრა. ამ პერიოდში, ე.ი. მეზოლითსა და ნეოლითის საწყის ეტაპზე, კანჯარი ერთ-ერთი იმ ცხოველთაგანი იყო, რომელზეც სამხრეთ კავკასიაში, გამოქვაბულის ადამიანი ხშირად ნადირობდა [Khechoyan, Gasparyan. 2014. 315-337].

ამ კუთხით საინტერესოა დამირგაიაზე დაფიქსირებული კიდევ ორი ცხოველის გამოსახულება, რომელთა იდენტიფიცირება ამ დრომდე არ მომხდარა, თუმცა ფაქტია, რომ ერთ-ერთ მათგანს რქები და საკმაოდ გრძელი კუდი აღენიშნება, მეორეს კი გრძელი სახე და კუდი.

სურ. 6.1.

სურ. 6. 2.



სურ. 6. 3.

სურ. 6. 4.



სურ. 6. 4.

თარიღი

როგორც ზემოთ ვახსენეთ, სამხრეთ კავკასიაში არსებული ამ ტიპის მხატვრობის ნიმუშების ყველაზე ადრეულ თარიღად ძვ.წ. მე-12-ე, ყველაზე გვიანდელად კი ძვ.წ. 1-ლი ათასწლეულია მიჩნეული.

აღსანიშნავია, რომ თ. კიღურაძე დამირგაიას, წინასწარულად, ნეოლით-ადრე ბრინჯაოს ხანით ათარიღებდა (ძვ.წ. მე-6 - ძვ.წ. მე-3 ათასწლეულები), რაც, ვფიქრობ, ძეგლის რეალური თარიღისგან მნიშვნელოვნად არ უნდა განსხვავდებოდეს, თუმცა ეს ქრონოლოგიური დიაპაზონი ჯერჯერობით მაინც ვარაუდის დონეზე რჩება.

ბოლოსკენ, დიდ მადლობას ვუხდი საქართველოს სასაზღვრო პოლიციას, მარნეულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს, ბატონ ელგუჯა კუპატაძეს, არქეოლოგებს - თამარ აღაპიშვილსა და მარიამ ელოშვილს, ფრანგ კოლეგას - კლაუდია დე ფრასნს და მხატვარ გიორგი თოფურიას ჩატარებულ სამუშაოებში დახმარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

მენაბდე, მ., კიღურაძე, თ., (1986). *ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1980-1981 წლების მუშაობის შედეგები,* საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები VIII. თბილისი

Bradly, L.M., Hampson, J., Sanz, I.D. (2017). *Recording of Rock Art: Strategies, Challenges, and Embracing the Digital Revolution*. The Oxford handbook of the Archaeology and Anthropology of Rock Art. B. David, I.J. McNiven (eds)

Defrasne, C. (2014). Digital image enhancement for recording rupestrian engravings: applications to an alpine rockshelter. *Journal of Archaeological Science.*

Khechoyan, A., Gasparyan B. (2014). *Rock-painting phenomenon in the republic of Armenia.* Stone Age of Armenia. B. Gasparyan, M. Arimura (eds).

სურათების აღწერილობა

სურ. 1. დამირგაიას მდებარეობა რუკაზე.

სურ. 2.1. ძეგლისა და ლანდშაფტის საერთო ხედი; 2.2. ძეგლის ახლო ხედი.

სურ. 3.1. ინტერიერის კედლებზე შესრულებული ნახატების განლაგების გრაფიკული გამოსახულება; 3.2. ნახატების განლაგების გაუმჯობესებული გამოსახულება.

სურ. 4. ნახატთა ტიპოლოგიური ჯგუფები

სურ. 5. ზოომორფული გამოსახულებები შეუიარაღებელი თვალით (მარცხნივ) და გამოსახულების გაუმჯობესების შემდგომ (მარჯვნივ).

სურ. 6.1., 6.2. გეღამავან 1-ის მღვიმე; 6.3., 6.4. ირმების გამოსახულებები გეღამავან 1-დან; 6.5. კანჯარის/ონაგრის გამოსახულება.

Damirgaya – Unknown Rock Art site from Southern Georgia

Losaberidze Levani,
Georgian National Museum
levan.losaberidze.1@iliauni.edu.ge

Summary

During the 1980-1981 field campaign of Kvemo Kartli archaeological expedition directed by T. Kiguradze, have been found few sites near the village Kasumlo, Marneuli municipality. According to the report, he found three settlement mounds of Shomu-Shulaveri Culture and temporary rock shelter with painted symbols on the walls. Paintings are made with reddish ochre. As Kiuradze describes, paintings are very small and stylized. Most of them are damaged but some figures are possible to identify. He mentions images of deer, goat, snake, etc.

The information about this site was very brief. Even location was not clearly known because of lacking GPS equipment and detailed description of the site.

In 2017, "Society of Young Archaeologists" planned re-discovery of this site with great help from Marneuli municipality and Georgian border police.

Place where the rock art located called Damirgaya which means Iron rock in Azeri language. Damirgaya located 3 km south to village Kasumlo, on the ridge of Berduji, 687 meters above sea level. Rock shelter is carved into huge boulder which supposed to detach from the top of the rocky mountain. Its dimensions are 5.5 X 7.3 m (height, width) for entire rock and 3.6 X 5.5 m for interior. Rock is carved from the north and paintings are located on the central and western part of the inner wall. Paintings are damaged by local shepherds in modern time probably with charcoal. Dimensions of these paintings are between 10-20 cm. We divided them in three categories – geometric figures, zoomorphic figures and undetermined figures.

During the examination of the paintings, we used the method of digital image enhancement which was done by researcher of Aix-Marseille University, Dr. Claudia Defrasne. We used high resolution photographs of paintings and digital plugin D-stretch to enhance the images.

Rock/Cave painting art is commonly known for Southern Caucasus, especially for Armenia and Azerbaijan. There are some similar images in Armenian rock/cave arts. Geghamavan-1 cave in central Armenia includes several type images of deer which is also drawn stylized like the deer in Damirgaya. Geghamavan-1 also includes some other animal images such as kulan (Equus hemoinus) which was identified after the discovery of osseous remains of this animal in the cave of Kmlo-2. Unearthed remains dated back to 12th-8th millennia B.C. Kulan were among the main hunting objects of the inhabitants of the cave. This suggests that the earliest paintings of Geghamavan-1 belong to Late Mesolithic/Early Neolithic population. There are some other zoomorphic images in Damirgaya which would be interesting to examine with similar methods.

Chronology of this type Rock/Cave art in Southern Caucasus dated to 12th-1st millennia B.C. T. Kiguradze dated the images of Damirgaya roughly as Neolithic-Early Bronze Age. This date is preliminary and not very accurate, but the style of drawing suggests that the actual date might be between Kiguradze's chronology.

This is the first attempt of discovery and study of painted rock art on the territory of Georgia

and we hope Damirgaya could be the key site for developing rock art researches in Georgia.

I would like to acknowledge Border police of Georgia, Marneuli Municipality, Georgian archaeologists Tamar Aghapishvili and Mariam Eloshvili, French colleague Dr. Claudia Defrasne and painter Giorgi Topuria.

Description of the tables

Tab. 1. Location of Damirgaya on the map of Georgia.
Tab. 2.1. General view of the site and the landscape; 2.2 – Close view of the site.
Tab. 3.1. Graphic illustration showing locations of rock paintings in the shelter; 3.2 – Digital enhanced image of concentrated paintings.
Tab. 4. Typological groups of the figures.
Tab. 5. Zoomorphic figures seen with naked eye (on the left) and after the digital enhanced images (on the right).
Tab. 6.1., 6.2. Geghamavan-1 cave; 6.3., 6.4. Figures of the deer from Geghamavan-1; 6.5. Figure of horse-like animal (kulan or Equus hemionus).

ახლად აღმოჩენილი გვიან ბრინჯაოს ხანის სამარხი სამშვილდის ციტადელიდან

ბერიკაშვილი დავითი,
საქართველოს უნივერსიტეტი,
d.berikashvili@yahoo.com

კუპალი იზაბელ,
მონრეალის უნივერსიტეტი
isabellecoupal1@gmail.com

პრეამბულა

2018 წელს სამშვილდის ციტადელში წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების დროს, საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გვიანბრინჯაოს ხანის სამარხი აღმოაჩინა. აღსანიშნავია, რომ ინტერდისციპლინური პროექტი, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ძეგლზე ერთობლივად ახორციელებს, სამშვილდის ნაქალაქარის სამეცნიერო კვლევასა და მისი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას გულისხმობს. ასეთ ფონზე, აღნიშნული აღმოჩენის სამეცნიერო მნიშვნელობა კიდევ უფრო მატულობს. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ დღეისათვის ამ ერთობლივი ძალისხმევის შედეგად გამოვლენილია ახალი არქეოლოგიური რეალიები, არტეფაქტები, დაზუსტებულია პერიოდიზაციისა და ქრონოლოგიის რიგი საკითხები. სამშვილდის არქეოლოგიური მონაპოვრის საფუძველზე საქართველოს უნივერსიტეტში დაცულია 4 საკვალიფიკაციო ნაშრომი და გამოქვეყნებულია 20-მდე სამეცნიერო სტატია.

სურ.1.

სამშვილდის ნაქალაქარის მნიშვნელობა საქართველოსა და ზოგადად, კავკასიის ისტორიისათვის კარგად არის ცნობილი. შესაბამისად, მისი წარსულისადმი ინტერესი სხვადასხვა თაობის ისტორიკოსებსა თუ არქეოლოგებს შორის ყოველთვის დიდი იყო [ჭილაშვილი, 1970; მირცხულავა, 1975; ბახტაძე, 2007; სანაძე, 2016]. ნაქალაქარზე დღესაც მრავლად არის შემორჩენილი ისტორიული ნაგებობები, რომლებიც კვლევის გაგრძელებასა და შესწავლას საჭიროებს. თუმცა, მათ შორის ყველაზე გამორჩეული მაინც მთავარი საფორთიფიკაციო ნაგებობა - ციტადელია (სურ.1).

ტრადიციული ისტორიოგრაფია სამშვილდის ციხის აგებას წინარე ქრისტიანულ ხანასა და ქართველთა ეპონიმს ქართლოსს უკავშირებს [ქართლის ცხოვრება, 1955, 8], მაგრამ როგორც უკანასკნელი კვლევები ადასტურებს, ეს ადგილი ადამიანს გაცილებით უფრო ადრეულ ეპოქაში, კერძოდ, ქვის ხანაში აუთვისებია [გრიგოლია, ბერიკაშვილი, 2018, 87]. ასეთ ფონზე, ციტადელის ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის სამარხის, მასში დაკრძალული მიცვალებულის ნაშთებისა და სამარხეული ინვენტარის აღმოჩენა ძეგლის ისტორიის რიგი საკითხების მნიშვნელოვან გადახედვაგადააზრებას აყენებს დღის წესრიგში.

სურ. 2.

აღმოჩენა

2015-2018 წლებში სამშვილდის ციტადელის სამხრეთ ნაწილში 5 არქეოლოგიური თხრილი გაიხსნა (სურ. 2). თხრილები განლაგებულია ე.წ. სამეფო აბანოს სამხრეთ-აღმოსავლეთით [ბერიკაშვილი, 2018, 15] და მათი კვლევის მიზანი, ციტადელის სტრატიგრაფიული სურათის დადგენასთან ერთად, მიწით დაფარული იმ არქეოლოგიური და არქიტექტურული ნაშთების გამოვლენაა, რომელთა შესახებ ცნობები წერილობით წყაროებშია დაცული [ორბელიანი, 1981]. აღსანიშნავია, რომ

ციტადელის რიგით № 69 თხრილის კვლევის დროს, მიწის ზედაპირიდან 2.45 მ. სიღრმეზე გამოვლინდა ჰიდროლოგიური ქსელის ფრაგმენტი, რაც აქ მიწისქვეშა კომუნიკაციის არსებობის ფაქტობრივი დადასტურებაა [ბერიკაშვილი, 2018] (სურ.3). ასევე მნიშვნელოვანი იყო № 60 თხრილში გამოვლენილი ხანძრით განადგურებული სათავსო (სურ. 4), რომლის იატაკის დონეზე განვითარებული შუა საკუნეების მონეტების უნიკალური განძი აღმოჩნდა [ბერიკაშვილი, პატარიძე, 2019]. შუასაუკუნეების სწორედ ამ, და სხვა კონტექსტების ქვეშ გამოვლინდა სამარხი, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ციტადელისა და ზოგადად, სამშვილდის წარსულის შესახებ ჩვენს წარმოდგენას ფაქტობრივად ცვლის და წინამდებარე სტატიის ძირითად საგანს წარმოადგენს.

სურ. 3.

აღმოჩენა გაკეთდა, № 68 თხრილის B4-5 კვადრატში, მიწის ზედაპირიდან 2,20 მ, ხოლო, ნულოვნი წერტილიდან კი - 4.71 მ სიღრმეზე, სადაც მიმდინარე პრეპარაციის დროს მოიხაზა 1 მ დიამეტრის მქონე ორმოს კონტური (სურ. 5). დადგინდა, რომ ორმო ჩაჭრილი ყოფილა შუა საუკუნეების კონტექსტების ქვეშ, დედაქანის რბილ ქანებში არსებულ ნაპრალში და დაღრმავებასთან ერთად მისი დიამეტრი თანდათან მატულობდა. ასე, მაგალითად: 1 მეტრზე დაღრმავების შემდეგ დიამეტრი 80-95 სმ-ს, ხოლო ორმოს ძირზე კი, მიწის ზედაპირიდან 4.20 მ სიღრმეზე უკვე 1.30 მ-ს აღწევდა. აღსანიშნავია, რომ დაღრმავებასთან ერთად მატულობდა კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც შავი ზედაპირით, ნაპრიალევი ვერტიკალურ-ჰორიზონტალური ზოლებითა და ზიგზაგური ხაზებით ხასიათდებოდა. აქვე, აღმოჩნდა ანალოგიური დეკორაციით გაფორმებული მოზრდილი ნატეხები მონაცრისფრო-ლეგა შეფერილობის დარგისა, რომელთა პრეპარაციის დროსაც, უშუალოდ მათ ქვეშ, გამოვლინდა ანატომიურ

სურ. 4.

სურ. 5.

შესახსრებაში მყოფი ადამიანის მარცხენა ფეხის ძვალი (Femur). შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საქმე გვქონდა სამარხი ორმოს ძირზე დაკრძალულ მიცვალებულთან და მის სამარხეულ ინვენტართან. ვარაუდი სავსებით დადასტურდა სამდღიანი საპრეპარაციო სამუშაოების შემდეგ, როდესაც, გაიწმინდა მარჯვენა გვერდზე, მოხრილ პოზაში დაკრძალული მიცვალებულის ნეშტი და სამარხეული მასალა (სურ.6).

სურ. 6.

სამარხეული მასალა

როგორც აღინიშნა, სამარხი ორმოს პრეპარაციის დროს გამოვლინდა არქეოლოგიური მასალა, რომელიც ძირითადად კერამიკით წარმოსდგება (სურ.7). კეცის სისქის, ზედაპირის დამუშავებისა და გაფორმების მიხედვით აქ სხვადასხვა ზომისა და ფორმის რამდენიმე ჭურჭელი განირჩევა, თუმცა, ქრონოლოგიური ჩარჩოები ყველა მათგანისთვის საერთოა. ფრაგმენტების საერთო რაოდენობა სამარხიდან 95 ერთეულს აღწევს. ამ ეტაპზე რთულია ითქვას, თუ რამდენი ჭურჭელი (2,3 ?) იდგა სამარხში, ვინაიდან რესტავრაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა. მიუხედავად ამისა, კეცით, ზედაპირის დამუშავებისა და გაფორმების მიხედვით ყველა მათგანი უახლოვდება და პარალელებს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოს გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებსა და სამარხეულ ძეგლებზე გამოვლენილ კერამიკასთან, რომელთა თარიღიც ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის საუკუნეებით განისაზღვრება (სურ. 8). სიახლოვე განსაკუთრებით თვალშისაცემია ჭურჭლის ზედაპირის მრავალფეროვანი ორნამენტით გაფორმებაში, რაც დამახასიათებელია გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკისათვის. სამარხიდან მომდინარე თიხის ნაწარმის უმრავლესობა მონაცრისფროლეგა ზედაპირით ხასიათდება. იგი შემკულია ჰორიზონტალური

სურ. 7.



სურ. 8.

ჭდეული ხაზებით, რომელთა შორის სივრცე ასევე, ნაჭდევებითაა შევსებული. ხშირად ასეთივე ორნამენტით შექმნილია გეომეტრიული სახეები - სამკუთხედები, ოთხკუთხედები, რომლებიც შევსებულია ბადისებური მოტივით. დამახასიათებელია რელიეფურად დაძერწილი ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები და მათ შორის არეები ბადისებური, მეანდრესებური, ტეხილი, ზიგზაგისებური ხაზებითა და წნევით გამოყვანილი ნაპრიალევი ზოლებით არის გაფორმებული (სურ. 9).

სურ. 9.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სამარხი ორმოს ძირზე მდებარე დერგის მოზრდილი ნატეხი, რომლის სტილიზებული ზოომორფული ყური, უკან გადალაგებული რქებით, ჯიხვს, ნიამორს (?) ემსგავსება (სურ.10). მიუხედავად იმისა, რომ სამშვილდის სამარხში აღმოჩენილი დერგის ზოომორფული ყურის ზუსტ ანალოგს ვერ მივაკვლიეთ ცხინვალის ნაცარგორის, საციხურის გორის, ღრმაღელის ყორღანების, ფლევის სამაროვნის, ქობალას სამაროვნის, მელიღელე I-ის, თრელიგორების, დმანისის, წითელი გორის, გრაკლიანი გორისა და მადნისჭალის სამაროვნის მასალებში [ფიცხელაური, 2005; Abramishvili, 2008; რეზესიძე, 2011; კვირკველია, მურვანიძე, 2016; ლიჩელი, 2010; 2017], მაინც მიგვაჩნია, რომ სამშვილდური ჭურჭელი ქრონოლოგიურად სწორედ ამ ძეგლებზე გამოვლენილ ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის მასალების თანადროულია.

განსაკუთრებით საყურადღებოა, ის ფაქტი, რომ სამარხში კერამიკულ ნაწარმთან ერთად აღმოჩნდა ირმის რქა, რომელიც უძრავ მდგომარეობაში, დაკრძალული ადამიანის თავთან, მისი შუბლის არეში მდებარეობდა (სურ.11). ცნობილია, რომ ირემი და მასთან დაკავშირებული წარმოდგენები განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო

სურ. 10.

სურ. 11.

გვიანი ბრინჯაოს ხანისთვის და, თავის მხრივ, უკავშირდებოდა ამავე პერიოდის იდეოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებს [ფიცხელაური, 1973, 115]. კვლევის ამ ეტაპზე რთულია გადაჭრით ითქვას, თუ რა ფუნქცია ჰქონდა სამარხში აღმოჩენილ ირმის რქას, იყო თუ არა იგი აქ დაკრძალული ადამიანის პირადი ნივთი, თუ სამარხში მისი არსებობა უკავშირდებოდა აღნიშნული პეროდის იდეოლოგიას და ითვლებოდა როგორც განსაზღვრული ძალაუფლების სიმბოლო.

ანთროპოლოგიური კვლევა

არქეოლოგიური მასალის შესწავლის პარალელურად მიმდინარეობდა სამარხში აღმოჩენილი ძვლოვანი ნაშთების ანთროპოლოგიური კვლევებიც. კერძოდ, განისაზღვრა, მიცვალებულის სქესი, ასაკი, სიკვდილის გამომწვევი მიზეზი და ძვლოვანი ანომალიები. კვლევების ამ ეტაპზე უკვე შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ მიცვალებული მამრობითი სქესისაა. ეს დასტურდება როგორც ძლიერი და ფართე მენჯის ძვლებით (os coxa), ასევე, მასიური და წინ წამოწეული წარბზედა ლილვით (სურ.12).



სურ. 12.

საინტერესოა, რომ კბილებისა და ყბის ზედა ნაწილის კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვესაზღვრა მისი ასაკიც (სურ.13). როგორც ამაზე საღეჭი კბილების ემალის ცვეთის ხარისხი მიუთითებს იგი უნდა გარდაცვლილიყო 35-დან 55 წლამდე ასაკში. ამასვე ადასტურებს ქვედა კიდურის ძვლებზე განვითარებული ძვლოვანი წანაზარდებიც, რომლებიც სწორედ ამ ასაკში იჩენს ხოლმე თავს (სურ.14). როგორც სტრესის სხვა მარკერები მიუთითებენ, გარდაცვალებამდე ინდივიდი ინტენსიურ ფიზიკურ დატვირთვასა და აქტივობას ეწეოდა. ამ მხრივ საინტერესოა მისი წვივის ძვლების შესწავლაც, რომლებიც ე.წ. ,,მხედრის ფეხებს'' ემსგავსებიან და მათი დეფორმაცია ხანგრძლივად ცხენზე ჯდომასთან არის დაკავშირებული [Molleson, Blondiaux, 1994]. ცნობილია, რომ

სწორედ მხედრობას უკავშირდება ბარძაყის ძვლების ფორმის შეცვლაც და ასევე, წელის მალების დეფექტები, რაც სხვადასხვა დაავადებების (ოსტეოართრითი, ართრიტი) ხშირი მიზეზი ხდება (სურ.15). აღნიშნული მარკერების არსებობა სამარხში აღმოჩენილ ძვლოვან ნაშთებზე გვაძლევს საშუალებას, ვივარაუდოთ ინდივიდის ძალზედ აქტიური და უფრო მეტიც, სტრესულ ფიზიკურ გარემოში ცხოვრების წესი.

სურ. 13.

სურ. 14.

სურ. 15.

სურ. 16.

სურ. 17.

სურ. 18.

თუმცა, ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო სამარხში დაკრძალული ინდივიდის თავის ქალაა, რომელიც სხვა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ჯერ კიდევ პრეპარაციის დროს გახდა შესამჩნევი თავის ქალის ძლიერი დეფორმაცია, რამაც მისი გრძივი დაბზარვა გამოიწვია. თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს სიცოცხლეში მიღებულ ტრამვად და სამარხში ჩამოწოლილი ქვების ზემოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს (სურ. 16). მეორეს მხრივ, ნამდვილად სიცოცხლეში მიღებულ მძიმე ტრამვების კვალს განასახიერებს თავის ქალის პერიფერიებზე არსებული ორი გრძივი ნახეთქი, რომელთაგან პირველი ბასრი (ცული?) (სურ.17), ხოლო მეორე ბლაგვი საგნის (საბრძოლო კვერთხი ?) დარტყმით უნდა იყოს გამოწვეული (სურ.18).

შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, ამ ადამიანის სიკვდილის გამომწვევი მიზეზი შესაძლოა საბრძოლო ხასიათის შეტაკება ყოფილიყო, თუმცა, კვლევის ამ ეტაპზე არ გამოვრიცხავთ, რომ საქმე გვქონდეს ადამიანის, საგანგებო, გარკვეული სახის რიტუალურ მოკვდინებასთანაც.

დასკვნა

საშვილდის ციტადელში გვიანბრინჯაოს ხანის სამარხის აღმოჩენა ძალზედ მნიშვნელოვანია და ძეგლის პერიოდიზაცია-ქრონოლოგიის საკითხების გადააზრებას მოითხოვს. დადგინდა, რომ გვიანი და განვითარებული შუა საუკუნეების შენობა-ნაგებობებისა და კონტექსტების ქვეშ მდებარეობს უფრო ადრეული პერიოდის სამარხი (შესაძლოა სამაროვანიც) და ეს ფაქტი, ადამიანის მიერ ამ ადგილის უფრო ადრეულ ხანებში ათვისების დასტურია, ვიდრე ჩვენ ამის შესახებ დღემდე გვქონდა წარმოდგენა.

როგორც ცნობილია ამ პერიოდის სამაროვნებისთვის დამახასიათებელია კომპაქტურობა და სამარხების მიჯრით, ერთმანეთის სიახლოვეს განლაგება. შესაბამისად, არ გამოვრიცხავთ სამომავლო სამუშაოების დროს, აქ ამავე ეპოქის სხვა სამარხების აღმოჩენის შესაძლებლობასაც.

ასევე, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია სამარხეული კონტექსტის დონეზე დაბლა, კიდევ უფრო ადრეული პერიოდის არქეოლოგიური ფენების არსებობა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბახტაძე, ნ. (2007). *კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში*. თბილისი.

ბერიკაშვილი, დ. (2018). არქეოლოგიური გათხრები სამშვილდეში 2017 წელს. *„არქეოლოგია“ №2*. საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი. თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., პატარიძე, მ. (2019). სამშვილდის განძი. თბილისი.

გრიგოლია, გ., ბერიკაშვილი, დ. (2018). ნეოლითური ქვის ინდუსტრია სამშვილდედან. *„არქეოლოგია“ №2*. საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი. თბილისი.

თუშიშვილი, ნ. (1972). *მადნისჭალის სამაროვანი*. თბილისი.

კვირკველია, გ., მურვანიძე, ბ. (2016). არქეოლოგიური გათხრები გრაკლიანის გორაზე 2011 წელს. ბრინჯაოს ხანის სამარხები. *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. #23.* თბილისი.

ლიჩელი, ვ. (2010). *კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები ცენტრალურ ამიერკავკასიაში.* (გრაკლიანი გორა) აპ. ქუთათელაძის სახ. თბ. სახ-ფო სამხატვრო აკადემია. N1. თბილისი.

ლიჩელი, ვ. (2018). *2017 წელს გრაკლიან გორაზე ჩატარებული გათხრების მოკლე ანგარიში.* 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიშების კრებული. თბილისი.

მირცხულავა, გ. (1975). *სამშვილდე.* თბილისი.

ორბელიანი, პ. (1981). *ამბავი ქართლისანი.* თბილისი.

რეზესიძე, ნ. (2011). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი დმანისის ნაქალაქარიდან. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე # II. (47-B).* თბილისი.

სანაძე, მ. (2016). *ქართველთა ცხოვრება.* წიგნი III. ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე). საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

ფიცხელაური, კ. (1973). *აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს).* თბილისი.

ფიცხელაური, კ. (2005). *ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ.წ. XIV-XIII სს.* თბილისი.

(1955). *ქართლის ცხოვრება.* ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ტომი I.

ჭილაშვილი, ლ. (1970). *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში.* ტ. II. თბილისი.

Abramishvili, R., Abramishvili, M. (2008). *Late Bronze Age Barrows at Tsitelgori. Archaeology in Southern Caucasus:* Perspectives from Georgia. Leuven-Paris-Dudley.

Hillson, Simon. (2016). *Mammal bones and teeth: an introductory guide to methods of identification.* Routledge.

Mann, Robert, W., Hunt, D.R. (2013). *Photographic regional atlas of bone disease: a guide to pathologic and normal variation in the human skeleton*. Charles C Thomas Publisher.

Molleson, Theya, Blondiaux, J. (1994). "Riders' Bones from Kish, Iraq." *Cambridge Archaeological Journal 4.2.*

Narimanishvili, D., Vadachkoria, R., Tamazashvili, K., Juszczyk, K., Tomczyk, W. (2017). "Archaeological excavations at Beshtasheni Late Bronze Age – Early Iron Age Cemetery (2015-2016 results)." *Aramazd AJNES XI. 1-2.*

Sprague, Roderick. (2005). *Burial terminology: a guide for researchers*. Rowman Altamira.

White, T. D., Folkens, P. A. (2005). *The human bone manual*. Elsevier.

ტაბულების აღწერილობა

(სურათები ეკუთვნით დ. ბერიკაშვილსა და იზ. კუპალს)

1. სამშვილდის ციტადელი აღმოსავლეთიდან. 2018 წ.
2. არქეოლოგიური თხრილები სამშვილდის ციტადელში. 2018 წ.
3. № 69 თხრილში გამოვლენილი ჰიდროლოგიური ქსელის ფრაგმენტი.
4. № 60 თხრილში გამოვლენილი სათავსო.
5. № 68 თხრილში გამოვლენილი ორმოები.
6. №68 თხრილში გამოვლენილი სამარხი გვერდულად დაკრძალული მიცვალებულით.

7-10. სამარხში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტები.

11. სამარხში აღმოჩენილი ირმის რქა. In Situ.
12. სამარხში დაკრძალული მიცვალებულის შუბლის ძვალი და წარბზედა ლილვები.
13. ზედა ყბისა და კბილების ფრაგმენტები.
14. ბარძაყის ძვალზე განვითარებული ძვლოვანი ანომალია.
15. წელის მესამე მალა ოსტეოართრიტის ნიშნებით.
16. თავის ქალაზე არსებული გრძივი ბზარები.
17. თავის ქალაზე ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობის კვალი.
18. თავის ქალაზე ბლაგვი საგნით მიყენებული ჭრილობის კვალი.

Recently Discovered Late Bronze Period Burial from Samshvilde Citadel

Berikashvili David,
The University of Georgia
d.berikashvili@yahoo.com

Coupal Isabelle,
University of Montreal
isabellecoupal1@gmail.com

Summary

The multilayered archeological complex of Samshvilde is situated in southern Georgia, in the region of Kvemo Kartli. It is often considered one of the most important historical sites in the region. It is located on the basalt promontory located at the confluence of the Khrami and Chivchava rivers, which was a convenient location during the Middle Ages. According to various Georgian historical traditions, the founding of Samshvilde Saeristao (feudal unit) is related to King Parnavaz, although the latest archeological findings confirm that Samshvilde and its nearby territories were already used by humans in the Neolithic Era.

In 2012, the University of Georgia established a long-term project focusing on archaeological and interdisciplinary research of the site. The project is still in progress and in the frame of that project, systematic archaeological excavations are conducted inside the Citadel walls – the main fortification system of the city.

During the field season in 2018 a notable discovery took place in the trench #68 of the citadel. Under the archaeological contexts of late and high medieval centuries a burial cist from the Late Bronze-Early Iron Age appeared, located at a depth of nearly 5 meters below ground surface. During excavation of the burial black polished fragments of pottery decorated with various geometric motifs were discovered. Horizontal and vertical lines, zig-zag lines, concentric circles and inscribed notches are among these motifs, but the most characteristic is a large sherd of a jug with a zoomorphic handle representing a wild goat (Capra aegagrus) or Caucasian tur (Capra caucasicus) with prominent horns.

This type of pottery is well known for Late Bronze-Early Iron age sites of Eastern Georgia such as: Tskhinvalis Natsargora, Satsikhuris Gora, Ghrmaghelis Kurgans, Phlevis Semetery, Qobalas Cemetery, Meligele – I, Treligorebi, Dmanisi, Tsiteli Gora, Grakliani Gora and Madnischalis Cemetery; and date to the second half of the second millennium B.C. We therefore estimate the date of this Samshvilde funeral pottery and the burial to be 13-11 cc B.C.

A preliminary study of the skeletal remains and the mortuary context indicate this is a primary individual burial of an adult male in a typical semi-flexed position. Other than pottery, the only grave good is the antler of a fallow deer (Dama dama), which makes this grave significantly less richly adorned than other male burials of its time. Sharp- and blunt-force trauma wounds are visible on the skull, indicating this male was involved in warfare, interpersonal violence, or a ritual killing. Osteological markers also suggest this male was a habitual horse-rider.

List of Illustrations
(Illustrations by D. Berikashvili & Is. Coupal)

1. Samshvilde citadel. View from West. 2018.
2. Archaeological trenches inside Samshvilde citadel. 2018.
3. Fragment of hydrological network in trench № 69. Samshvilde citadel.
4. Room in the trench № 60. Samshvilde citadel.
5. Pit contours in the trench № 68. Samshvilde citadel.
6. Burial in the trench № 68 with the human remains.
7-10. Fragments of pottery from the burial. Trench № 68.
11. Antler inside the burial chamber.
12. Pronounced brow ridge suggesting male sex of the individual.
13. Maxilla and upper dentition with heavy occlusal wear.
14. Right femur with enthesophytic “spicule”.
15. Thoracic vertebra with advanced osteoarthritis (macroporosity) on the right inferior articular facet.
16. Skull with taphonomic (post-mortem) deformation.
17. Skull with sharp-force wound trauma on the right parietal and frontal bones.
18. Skull with blunt-force trauma on the left parietal bone.

რუბრიკა

პროექტი

Yococu-International-ის და საქართველოს უნივერსიტეტის პარტნიორობა კულტურული მემკვიდრეობისათვის

ალვარო იგუერასი
საერთაშორისო ექსპერტი კულტურული
მემკვიდრეობის დარგში
Alvarohig@yahoo.com

შესავალი

2018 წლის გაზაფხულზე საერთაშორისო ორგანიზაცია Yococu (Youth in Conservation of Cultural Heritage) International-სა და საქართველოს უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პარტნიორობის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში არსებული უძრავ-მოძრავი ძეგლების კონსერვაციის მიმართულებით ერთობლივი სტრატეგიის შემუშავებასა და ასევე, სტუდენტი-ახალგაზრდების მაქსიმალურ ჩართულობას ამავე მემკვიდრეობის მართვა-მენეჯმენტის საკითხებში.

შეთანხმების მიხედვით, ახალი სტრატეგია გულისხმობს თანამედროვე ხედვასა და ინიციატივებს, რაც დღეისათვის არსებული, ტრადიციული მიდგომებისაგან განსხვავდება და ორიენტირებულია იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც ჯერ კიდევ სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ირიცხებიან და დამოუკიდებელი პროფესიული კარიერა ჯერ-ჯერობით არ დაუწყიათ.

გარდა ამისა, ამ ახალი ინიციატივის მეორე, და არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზანი ისეც გახლავთ, რომ ხელი შეუწყოს კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა დარგისა და ცალკეული ობიექტების პოპულარიზაციას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ არა მარტო ლოკალური მნიშვნელობა, არამედ საერთაშორისო ფასეულობაც გააჩნიათ. ამავდროულად, Yococu და მისი პარტნიორი ორგანიზაციები ორიენტირებული არიან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლასა და ცალკეული არტეფაქტების სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებში ახალი, ინოვაციური, ტექნოლოგიურად თანამედროვე და ეკოლოგიურად ჯანსაღი მეთოდების დანერგვაზე.

ისტორია

Yococu International-ს საფუძველი ჩაეყარა ქალაქ რომში, 2008 წელს, როდესაც, ლა საპიენსას უნივერსიტეტის ინიციატივით, სხვადასხვა სამეცნიერო სფეროებსა და დისციპლინებში ჩართულ ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი ჩამოყალიბდა. იმავე წელს, შედგა პირველი საერთაშორისო ფორუმი, სადაც წარმოადგინეს ახლადდაფუძნებული ორგანიზაციის მიზნები, ამოცანები და სამოქმედო გეგმა. მომდევნო ხუთი ფორუმის (პალერმო 2010, ანტვერპენი 2012, ბაქო 2014, მადრიდი 2016 და მატერა 2018) შედეგად კი, Yococu იქცა ერთერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ახალგაზრდა ორგანიზაციად, რომელიც დღემდე დინამიურად ვითარდება (სურ.1).

2018 წლის გაზაფხულზე, ქალაქ მატერაში (ბაზილიკატა, იტალია) გამართულ რიგით მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუზე საქართველო ოფიციალურად იქნა დასახელებელი, როგორც Yococu 2020-ის მასპინძელი ქვეყანა, საქართველოს უნივერსიტეტი კი როგორც ამ ღონისძიების მასპინძელი ორგანიზაცია (სურ.2). ამავე დროს საქართველოს უნივერსიტეტის ინიციატივით შეიქმნა კონსორციუმი, რომელიც აერთიანებს ქვეყნის ყველა წამყვან საგანმანათლებლო და პროფესიულ ინსტიტუტებს (საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტი, თბილისის სახელმწფიფო სამხატვრო აკადემია, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) და ორგანიზებას უწევს 2020 წლისათვის დაგეგმილ ღონისძიებას.



სურ.1.

სურ. 2.

პირველი ნაბიჯები

საქართველოს, როგორც Yococu-2020 ფორუმის მასპინძელი ქვეყნის ოფიციალურად დასახელების შემდეგ, განხორციელდა მნიშვნელოვანი საორგანიზაციო ღონისძიებები და გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

- 2018 წლის აპრილში თბილისს ეწვია Yococu-International-ის დირექტორატი. ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს უნივერსიტეტთან. ასევე, შედგა საგანგებო პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო აკადემიის სტუდენტთათვის, სადაც Yococu-ს პრეზიდენტმა ანდრეა მაკკიამ წარადგინა ახლებური ხედვა, სამომავლო გეგმები, მსგავსება და განსხვავება ტრადიციულ და თანამედროვე მიდგომებს შორის. პრეზენტაციაზე აქცენტი გაკეთდა იმ გამოწვევებსა და პრობლემებზეც, რომლებიც დაკავშირებულია კულტურული მემკვიდრეობის უძრავ-მოძრავი ძეგლების კონსერვაცია-რეაბილიტაციის სფეროსთან.
- 2018 წლის მაისში, ქალაქ მატერაში (იტალია) გამართულ პრეზენტაციაზე, საქართველოს უნივერისტეტის პრეზიდენტმა, პროფესორმა გიული ალასანიამ წარადგინა საქართველო, როგორც უძველესი ტრადიციებისა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მქონე ქვეყანა. ამავე ფორუმზე პროფესორ დავით ბერიკაშვილის მიერ წარდგენილი იქნა საქართველოს უნივერსიტეტის პროექტი „სამშვილდე“, როგორც კომპლექსური და ინტერდისციპლინური მიდგომის ერთ-ერთი ნიმუში.
- 2018 წლის ივნისში, საქართველოს უნივერსიტეტის თაოსნობით ჩამოყალიბდა კონსორციუმი, რომელშიც გაერთიანდნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო და პროფესიული ინსტიტუციები (საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი). ყველა მათგანი წარმოადგენს წამყვან ქართულ ინსტიტუციას, რომლებიც ჩართული არიან კულტურული მემკვიდრეობის კვლევასა და მენეჯმენტში.
- 2018 წლის ივნისში შედგა კონსორციუმის წევრების პირველი შეხვედრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც მთლიანად დაეთმო სტუდენტთათვის აქტუალური საკითხების განხილვასა და სამუშაო მოდელის შექმნას. ასევე, განისაზღვრა ის თემებიც, რომლებიც 2020 წლისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს.
- 2018 წლის ნოემბერში Yococu-საქართველოს ფარგლებში განხორციელდა პირველი პრაქტიკული მეცადინეობა, არქეოლოგიის სპეციალობის სტუდენტთათვის წარმატებული საგრანტო-საპროექტო წინადადების შესადგენად საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის (სურ.3).
- ამავე წლის ნოემბერში კონსორციუმს შეუერთდა ICOM (International Council of Museums) საქართველო, მასზე დაქვემდებარებულ რეგიონალურ სტრუქტურებთან ერთად.

YOCOCU GEORGIA

writitng workshop in heritage

YOCOCU Workshop 1a: November 21. 1-5 pm. The University of Georgia.

YOCOCU Workshop 1b: November 28. 1-5 pm. Iv. Jvakhishvili Tbilisi State University.



სურ. 3.

ვორქშოპი 2019

2019 წლის მაისში Yococu-ს ექსპერტთა მიერ საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის სამეცნიერო ბაზაზე გაიმართა სპეციალიზირებული კურსი კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების კონსერვაცია-რესტავრაციისა და მართვის მიმართულებით (სურ.4). კურსი დაფინანსდა საქართველოს უნივერსიტეტის, იტალიის საელჩოს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ და განსაზღვრული იყო სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთათვის. ხუთდღიანი ინტენსიური მეცადინეობის ფარგლებში პროგრამის მონაწილეებმა მიიღეს პრაქტიკული გამოცდილება, როგორც სალექციო ფორმატიდან და დისკუსიებიდან, ასევე, ლაბორატორიული და საველე სამუშაოებიდან. გარდა ამისა, ისინი გაეცნენ კვლევებისა და რესტავრაცია-კონსერვაციის უახლეს მეთოდებს, რომლებიც აქტიურად გამოიყენება დასავლეთის ქვეყნებში (სურ.5).

სურ. 4.



სურ. 5.

აღსანიშნავია, რომ ვორქშოპის დასრულების შემდეგ, პროგრამის მონაწილეებს ერთი წლის სამუშაო ვადით განესაზღვრათ მცირე მოცულობის პროექტები, რომელთა მულტიდისციპლინარული კვლევის შედეგებს ისენი 2020 წლის საერთაშორისო სიმპოზიუმზე წარმოადგენენ.

Yococu-საქართველო 2020

2020 წელს თბილისში დაგეგმილი საერთაშორისო ფორუმი ასევე მთლიანად დაეთმობა პრაქტიკულ მეცადინეობებსა და უახლესი კვლევების შედეგების ურთიერთგაზიარებას.

პრიორიტეტი მიენიჭება არქეოლოგიურ, სახელოვნებათმცოდნეო, საკონსერვაციო, სარესტავრაციო, კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტისა და მართვის იმ კვლევებსა და შრომებს, რომლებიც ხორციელდება სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა მიერ.

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს, ზოგადად, კავკასიისა და ევროპის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები გაეცნობიან უახლეს ინფორმაციას და გაიღრმავებენ ცოდნას ქაღალდის, პერგამენტის, ქსოვილის, მინის, ძვლის, ხისა და სხვა ორნაგული თუ არა ორგანული მასალისაგან დამზადებული არტეფაქტების კონსერვაციის საკითხებში. ასევე, მნიშვნელოვანი იქნება მათთვის სამუზეუმო კოლექციების, მუზეუმების, კერძო არქივებისა და საარქივო დოკუმენტების მართვა-მენეჯმენტის გამოცდილების გაზიარებაც.

თეორიულ მეცადინეობებთან ერთად, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანი დრო დაეთმობა პრაქტიკულ აქტივობებს, რომლის დროსაც მონაწილეებს საშუალება ექნებათ გაეცნონ და უშუალოდ განახორციელონ ზემოთ ჩამოთვლილი არტეფაქტების სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ დასავლეთში აპრობირებულ მეთოდებთან ერთად გათვალისწინებული იქნება ქართული გამოცდილებაც, რაც ეფუძვნება ადგილობრივ ტრადიციებსა და რეალობას.

Yococu-საქართველო 2020-ის მთავარი მიზანია წარმოაჩინოს საქართველო, როგორც მსოფლიოს ერთერთი უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის მქონე ქვეყანა და მისი პოტენციალი. გარდა ამისა, საშუალება მისცეს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ჩართულ ახალგაზრდა მეცნიერებსა და სტუდენტებს გაეცნონ ამავე სფეროს თანამედროვე მიღწევებს, მეთოდებს, ტექნოლოგიებსა და მეორე მხრივ, წარმოაჩინონ საკუთარი კვლევები საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე.

სამშვილდის სამეცნიერო ბაზა

Yococu-საქართველოს მიერ 2019 წელს დაგეგმილი პრაქტიკული მეცადინეობები, ისევე როგორც, 2020 წლის საერთაშორისო სიმპოზიუმის მნიშვნელოვანი ნაწილი, სამშვილდის სამეცნიერო ბაზაზე (სურ.6), სამშვილდის ნაქალაქარის უშუალო სიახლოვეს გაიმართება.

ბაზა დაფუძვნებულია 2015 წელს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ და ადაპტირებულია როგორც პრაქტიკული-კვლევითი სამუშაოებისათვის, ასევე, თეორიული მეცადინეობისა და ლექცია-სემინარებისათვის. გარდა ამისა, ინტენსიურად მიმდინარეობს საუნივერსიტეტო არქეოლოგიური მუზეუმის განვითარებაც, სადაც ექსპონირებუ-

ლი იქნება სამშვილდის არქეოლოგიური მონაპოვარი და რესტავრირებული ნივთები.

აღსანიშნავია, რომ სამშვილდის ნაქალაქარის არქეოლოგიური და ინტერდისციპ-ლინური კვლევები მიმდინარეობს პროექტის ფარგლებში, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სა-აგენტო ერთობლივად ანხორციელებს. სხვადასხვა მიმართულების კვლევების წარმო-ების, მომიჯნავე დარგის სპეციალისტთა ჩართულობისა და კულტურული ტურიზმის განვი-თარების საშუალებას უშუალოდ სამშვილდის ნაქალაქარი იძლევა. ამავე კონტექსტში, ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ სამშვილდეს უზარმაზრი სამეცნიერო და ტურისტული პოტენციალი აქვს არა მარტო ლოკალური, არამედ რეგიონალური მასშტაბითაც. ასეთი ვითარება ზემოთ აღნიშნული ბაზის სწრაფი და დინამიური განვითარების წინაპირობაა.

სურ. 6.

2019 წლის Yococu-საქართველოს ვორქშოპი, ფაქტობრივად, პირველი საერთაშორი-სო ღონისძიება იყო, რომელსაც უმასპინძლა სამშვილდის სამეცნიერო ბაზამ. აღ-სანიშნავია, რომ ვორქშოპის მონაწილე სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების უშუალო მონაწილეობით დაიგეგმა და განხორციელდება საველე სამუშაოები, ნაქალა-ქარის მონაცემთა ბაზის შექმნა, პრიორიტეტული ძეგლებისა და ამოცანების განსაზღვრა, მოძრავი თუ უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევისათვის საჭირო მეთოდებისა და მიდგომების შერჩევა. მოპოვებული ინფორმაციისა და ანალიზის სა-ფუძველზე, მონაწილეთა მიერვე განისაზღვრება საკონსერვაციო-სარესტავრაციო სა-მუშაოების სახეები და თანმიმდევრობა.

ამგვარი კომპლექსური, თუმცა, თანამედროვე და ინოვაციური მიდგომების საფუძ-ველზე, სრული შესაძლებლობა არსებობს იმისათვის, რომ სამშვილდე იქცეს სანი-მუშო ძეგლად, როგორც არქეოლოგიური, ისე ინტერდისციპლინური კვლევისა და კონსერვაცია-რესტავრაციის თვალსაზრისით. სამშვილდის სამეცნიერო ბაზა კი ქვეყ-ნის ერთ-ერთი წამყვან ცენტრად აღნიშნულ სფეროში.

University of Georgia & YOCOCU Partnership: Envisioning a new future for cultural heritage in Georgia

Alvaro Higueras.
Yococu-International.
Expert in Cultural Heritage Management
Alvarohig@yahoo.com

In the spring of 2018, YOCOCU Italy and the University of Georgia started their partnership to explore the creation of new strategies in the conservation and management of cultural heritage. These new strategies would, first, be distinct from the classical government-based initiatives. High-learning centers dedicated to heritage would encourage their students to start thinking in practical ways to collaborate in the realm of heritage, before they graduate and using the financial opportunities provided by private sources and even government ones. Second, these strategies would explore new venues and new means to promote the conservation and appreciation of cultural heritage, more so when evidence of potential heritage evidence is being ignored, or when heritage from certain population and/or religious groups (within a multiethnic country) is being let to decay without understanding how it can contribute to a more complete heritage offer for local populations and foreign visitors. Thirdly, and at the core of YOCOCU, is the use of a set of recent, novel, green and reversible conservation strategies to physically care for artifacts and monumental structures. One could say that YOCOCU is interested in pursuing green, ecological, sustainable, culturally-centered, unorthodox strategies in the conservation as in the management spheres.

YOCOCU (Youth in Conservation of Cultural Heritage) was born in 2008 with the aim to create a network among young professionals and researchers, working in different fields of cultural heritage. YOCOCU 2008 was the first International meeting focused on Cultural Heritage completely devoted to the participation of young professionals. It was an important occasion to share knowledge and expertise and a clear example of how strong is the willingness of the youth to be present, to be visible and to compete in the sector. The past five editions (Rome 2008, Palermo 2010, Antwerp 2012, Agsu 2014, Madrid 2016 and Matera 2018) have made YOCOCU a network for interdisciplinary and international collaborations (pic.1).

The YOCOCU 2020 conference in Tbilisi (May 20-24), “Green Conservation and Green Managment” will be devoted to experiences in learning and working on real-life scenarios in the realm of the conservation and management of cultural heritage (pic.2). YOCOCU meetings are aimed at transmitting and disseminating knowledge and experiences in this broad and complex realm. In Tbilisi Georgian, Caucasian and European students will be able to attend sessions set as “short-workshops”, where students and researchers will update their knowledge in the conservation of film, paper, textiles, or the management of site museums, world heritage sites, archaeological research in monumental heritage. All this by using cases drawn from the Georgian heritage institutions, guided by Georgian researchers and their foreign counterparts. They will be short but intensive workshops where the objective will be to demonstrate the options available in each field as adapted to the Georgian context. The other part of the symposium will deal

with the more traditional presentations, which we hope will come also in the form of organized symposia, as, for example, metallurgy conservation practices. Individual presentations will also be accepted and directed to create thematic symposia.

On our way to YOCOCU Tbilisi 2020 a series of events have and will be organized. These events need the participation, curiosity and ideas of the students involved in the fields of cultural heritage.

- April 2018: Initial visit by YOCOCU directive and agreement with the University of Georgia. Presentation at the Tabukashvili branch of the Tbilisi State Academy for the Arts in April, which was mostly attended by Academy students, Andrea Macchia presented the main features of the YOCOCU model in the conservation and management of cultural heritage. What is that model? How is it different from traditional models? These are questions and a discussion that will now take place among us, with a sample of students from more institutions in Tbilisi, with the very important opinion by students and researchers, all together, expressing and comparing points of view on the subject.
- May 2018: Presentation of YOCOCU Tbilisi 2020 at the Matera 2018 Conference with an introductory session with the presence of Dr. Giuli Alasania, President of the University of Georgia, and David Berikashvili, Chair of the Committee Tbilisi 2020.
- June 2018: Creation of the Consortium YOCOCU 2020, chaired by the University of Georgia and with the participation of these institutions: Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Tbilisi State Academy for the Arts; National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia; Georgian National Museum; Georgian Technical University; and, Ilia State University.
- October 2018: First meeting of YOCOCU members at TSU. In the meeting we reviewed the purpose and model of YOCOCU Georgia; discussed issues in cultural heritage in Georgia: what do students feel for the future of heritage? Proposals of other activities that could enhance the impact of the YOCOCU model in Georgia.
- November 2018: YOCOCU Workshop on Proposal Writing for Cultural Heritage Projects (UoG & TSU) (pic.3).
- November 2018: ICOM Georgia and the ICOM subcommittee on Regional Museums joins the Consortium and will organize a set of workshops.
- May 2019: Professional course on conservation and management of cultural heritage. Tbilisi/Samshvilde. Sponsored by the Embassy of Italy, the Agency

COURSE: Conservation, Restoration and Management of Archaeological Sites.

This course will adopt a collaborative and multidisciplinary approach to the issues attaining heritage (from the physical integrity to the social inclusion issues) and is designed for students and young professionals involved in the conservation of archaeological sites, which includes professionals will to understand better the work of conservators and the strategies they employ depending on the circumstances present. The primary goal of the course is to provide the participants with a very specific set of experiences to address conservation issues of heritage, which could be put into use from the very early stages in the management of a monument or artefact (pic.4). The focus of the techniques will be on innovative and eco-friendly methods, from maintenance to treatments, applied to the conservation of ceramics materials and stone. These will include cost-effective and integrity-effective conservation methodologies (pic.5), and ensuring a practical understanding of appropriate repair methods and long-term management strategies.

A series of lectures, discussions, laboratory sessions, demonstrations and field exercises by different specialists will provide the participants the basic know-how, models and methodologies to discuss both the fundamental theories of conservation as well as consider how advances in technology and research can be put forward in special or specific contexts. Additionally, group fieldwork exercises at a worksite will provide participants with the opportunity to address actual work scenarios where multidisciplinary solutions and collaboration are required. Throughout the course, participants will be encouraged to draw upon their collective expertise from various specializations to help them arrive at more effective conservation solutions.

The course is open to all but is aimed to Georgian students and young professionals in the field of conservation in Georgia. The instructors of the course will be EU restorers, professionals and researchers in of conservation, restoration and heritage management field. Preference will be given to individuals belonging to the existing YOCOCU network.

Samshvilde as laboratory

An additional theme of the course will be the planning of education activities to transform an archaeological site in an open-air park welcoming visitors and schools. The archaeological site of Samshvilde is: a vast and complex area to conserve; an ensemble of artefacts and natural features that need to be well balanced for its conservation; and, an important cultural asset in the heritage of Georgia and an important site in the regional history of the Caucasus region. The site of Samshvilde is undergoing a systematic recovery of information through controlled archaeological excavations since 2013. It is thanks to this information and interest that the site will be able to achieve a rightful place to be a living centre of research and cultural activities in the present territory and society.

Information and activities at the site will speak about cultural heritage conservation and to recognize the job of archaeologists, restorers, conservators and museographers in the future of the site. These inputs and the interest on the site will allow us to transform an archaeological site in a dynamic park to promote culture with the help of professionals from diverse disciplines in a team-work effort.

In the course Georgian students, coming from different curricula, will be exposed to novel and distinct conservation and management approaches and laboratory demonstrations combining hands-on learning. They will plan for activities that will then be re-enacted directly in the archaeological site, or in schools or in special events to promote cultural heritage conservation. The activities will connect the archaeology with others scientific disciplines, as chemistry and physics, introducing into cultural heritage management new ways of thinking to support the physical integrity of artefacts and monuments. This process will also be conveyed to visitors and students so that the site, its context, its potential and its problems are analysed and interpreted as heritage that needs to be preserved from different points of view.

რუბრიკა

ინტერვიუ

„არქეოლოგიის“ მესამე ნომერი წარმოადგენს ინტერვიუს ცნობილ ქართველ მეცნიერ და საზოგადო მოღვაწე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ, არქეოლოგ ვახტანგ ჯაფარიძესთან.

პროფესორი ვ. ჯაფარიძის მრავალწლიანი მოღვაწეობა მთლიანად დაკავშირებულია არქეოლოგიასა და საუნივერსიტეტო საქმიანობასთან. წლების მანძილზე იგი ხელმძღვანელობდა სხვადასხვა სამეცნიერო ექსპედიციებს, რომლებიც იკვლევდნენ არქეოლოგიური კულტურული მემკვიდროების უმნიშვნელოვანეს ძეგლებს.

პროფესორი ვ. ჯაფარიძე დღესაც აქტიურადაა ჩართული როგორც საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებში, ისე საგანმანათლებლო საქმიანობასა და კულტურული მემკვიდრეობის მართვა-მენეჯმენტში.

ჟურნალი არქეოლოგია მას ჯანმრთელობას და კვალვაც ნაყოფიერ მოღვაწეობას უსურვებს.

● თქვენი მრავალწლიანი პროფესიონალური გამოცდილებიდან საქართველოს რომელ ისტორიულ ქალაქს გამოარჩევდით და ზოგადად, რა განაპირობებდა შუა საუკუნეებში ქალაქის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ სიძლიერეს?

გარეგნულად, მიმზიდველობითა და ლანშაფტის სირთულით ნოქალაქევსა და ქუთაისს, აგრეთვე, დმანისს, თბილისსა და უჯარმას, ასევე სამშვილდეს, სხვათაც გამოვარჩევდი. ქართულ ქალაქზე ბევრია დაწერილი, კარგადაც, მაგრამ ახლა, როცა თქვენს კითხვებზე საპასუხოდ დავფიქრდი, ჩვენი ცოდნის სინაკლულე ვიგრძენი; ბევრი კითხვა კიდევ დარჩენილია პასუხგაუცემელი...რთული საკითხია, ამიტომ გარდა საველე საქმიანობისა, სპეციალურ საგანგებო კვლევებს საჭიროებს, არა მარტო ინდივიდუალურს, არამედ სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებისა, თუ უნივერსიტეტებისა... პრაქტიკული კვლევებისთვის დმანისის ნაქალაქარი იყო საამისოდ შერჩეული და წარმატებითაც ითხრებოდა ათეული წლების მანძილზე (ლ.მუსხელიშვილი, ვ.ჯაფარიძე), და შერჩეულ იქნა სანიმუშოდ სწორედ, 30-ანი წწ-ში, რუსთაველის საიუბილეოდ... შემდგომმა გათხრებმაც ბევრი მნიშვნელოვანი მონაცემი გამოავლინა, მაგრამ კითხვები, განსაკუთრებით ქალაქის დაგეგმარების, უფრო სწორედ ტოპოგრაფიის (არა საფორთიფიკაციო თვალსაზრისით), მისი ეკონომიკური ცხოვრების შესწავლის თვალსაზრისით ახლაც კვლევის სფეროშია... ეს ეხება თითქმის ყველა ნაქალაქარს.. ყველგან უპირატესად წინ წამოწეულია ქალაქის თავდაცვითი ფუნქციის მატარებელი კომპონენტი- გამაგრებული ნაწილი (ზოგადად ციხე, კონკრეტულად კი ციტადელი), თვით ქალაქის ეკონომიკური ცხოვრების ამსახველი მონაცემები კი შედარებით არათანაბრად შეისწავლება (ალბათ სირ-

თულის გამოც),ამიტომ ტოპოგრაფია (არა გეოგრაფიული) ქართული ქალაქისა სრულფასოვნად არ ვიცით...ამიტომაც ახალ გათხრებს და სათანადო მონაცემების გამოვლენას მომავალი თეორიული ხასიათის კვლევებისთვის დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

● შორაპნის კვლევას თქვენ მრავალი წელი მიუძღვენით და ამ კვლევებს დღესაც აგრძელებთ. რა იყო იმ ინტერესის საფუძველი, რის გამოც თქვენ ამ ძეგლის შესწავლა დაიწყეთ და როგორია ამ კვლევების მოკლე ისტორია?

ეს მართალია. შორაპანში ჩემი საქმიანობა უკვე გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, იგი 2016 წელს განახლდა, მაგრამ უმნიშვნელო მასშტაბებით... მაშინ, შორაპანში, მანამდეც, მაგალითად ვარდციხეში, სხვაგანაც, შეიძლება ითქვას, საკუთარი ინიციატივით არსად სამუშაოები არც დაწყებულა და რამდენადმე მასშტაბურად არც განხორციელებულა...მაგალითად, ვარდციხეში სადაც ბ-ნ გ. ლომთათიძისა და გ. ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით შევუდექი დაზვერვებს, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებელ გათხრებს, საქმიანობა ვარციხჰესის მშნებლობის მესვეურთა ჩვენთვის მულოდნელმა საქმიანობამ, კერძოდ უკვე პროექტმა განსაზღვრა; მისი მიხედვით კაშხალი თვით ნაქალაქართან შენდებოდა და გზატკეცილიც პირდაპირ ნაქალაქარზე უნდა გადაეტარებინათ...სხვა გზა არ იყო, ეგრისის თემაზე მუშაობისა და ძეგლის გადარჩენის მიზნით, მშენებლობის მთელი ტრასის (გეგუთ-პატრიკეთისა, თვით ისტორიულად ცნობილ ბაშამდე), სადაც რამდენიმე ჰესი კიდევ უნდა აშენებულიყო, არქეოლოგიური დაზვერვები , ნაწილობრივ მაინც, შესწავლა უნდა განგვეხორციელებინა...მცირე ფინანსური შესაძლებლობით შევუდექით ამ საქმიანობას, რომელიც, შემდეგ, ასევე მკაცრად ლიმიტირებული თანხებით ფინანსდებოდა უკვე მშენებლების მხრივ... ამ თვალსაზრისით სამშვილდის კვლევასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

მრავალი წელი გაგრძელდა აქ გათხრები, მაგრამ მთელი რიგი სირთულეების გამო შედარებით მოკრძალებული ფართობი გაითხარა. ის კია, რომ საფორტიფიკაციო ნაგებობების გეგმა სრულად იქნა დადგენილი. მაშინ შევძელით ვარდციხის ანტიკურ დასახლებათა ცენტრიც გამოგვევლინა, იგი მდ. რიონის ტერასის გასწვრივ არსებულ ნასახლარების სისტემაში და ხელოვნური თხრილით ამათგან გამოცალკევებულ მცირე, ნაწილობრივ დაზიანებულ ბორცვს წარმოადგენდა; აქვე აღმოჩნდა კირქვისა და რიყის ქვით ნაშენი სასიმაგრო ნაგებობის (უფრო კოშკის) ნაშთები. ანტიკური სამოსახლო ხანძრით იყო განადგურებული; აქ არსებული მოზრდილი ლურსმნები მრავლად იპოვებოდა მორღვეულ ფერდზე და მოსახლეობას ადრე აქ არსებულ სამჭდლოზე უქმნიდა მცდარ აზრს; სინამდვილეში კი ეს უკვე მითითებულ ქვით ნაშენ ნაგებობებთან ხის კონსტრუქციების არსებობაზეც მიუთითებდა. დაგვიანდა მაშინ არქეოლოგების გამოჩენა ვარდციხეში; მაგ. ვერ დავადასტურეთ ამ ნასახლარის ფარგლებში ქვევრსამარხების არსებობა თუმცა ამაზე, მიგვითითებდნენ კიდეც, თითქოს. აქედან, წინაქრისტიანული ხანის ნასახლარიდან, ვფიქრობთ, წარმართული საკულტო ცენტრიდან, 800-დე მ-ის დაშორებით, ახ.წ. IV ს-დან წარმოქმილ ახალი დროის ციხეს (ციხე-ქალაქს), ასევე საკულტო ცენტრს, მხოლოდ უკვე ქრისტიანული ხანის საეპისკოპოსო ტაძრის სახელი - ვარდიციხე - წარმართული სამოსახლოსა და მისი საკულტო ცენტრიდან შეიძლება მომდინარეობდეს. ამაზე, ასე თამამად,

შედარებით ვრცლად თქვენი ჟურნალისთვის ვყვები (იმედია მკითხველი მომიტევებს). აქვე დავუმატებ, რომ ქრისტიანული ვარდციხის, როგორც ქალაქის ინტენსიური საცხოვრებელი ფართობი ციხის ზღუდით არის შემოფარგლული (თუმცა არის ცნობა ომიანობის დროს მოქალაქეთა (მცხოვრებთა) ერთი ნაწილის „სანახებში“ გასვლის შესახებ).

შორაპანშიც, ასევე აქეოლოგიური, უფრო გაწმენდითი, სამუშაოები ძეგლისთვის აუცილებელ, გადაუდებელ რესატავრაციას დაუკავშირდა. სოფ.საზანოში (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი), საინტერესო დაზვერვებით დაკავებულს, ძველი სარაპანისის ციხის სამუშაოებზე მომიხდა გადმობარგება... დარამდენიმე წელს, ყოველგვარი ხელფასების გარეშე, მხოლოდ სამივლინებო სახსრებითა და რაიონის ხელმძღვანელობის ინიციატივით მობილიზებული შაბათობებით ვაწარმოებდით ზღუდის პერიმეტრის წმენდას; ასე იყო საჭირო დაგეგმილი სარესტავრაციო სამუშაოებისთვის. საწუხაროდ, არც ექსპედიციის დაკომპლექტება იყო სათანადო; ტოპო და არქიტექტურული სამუშაოები მთელი სისრულით ვერ განხორციელდა, მაგრამ იმ ეტაპისთვის აუცილებელი საქმე, სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები მთელ პერიმეტრზე შესრულდა. გარდა ზღუდისა, პერიმეტრზე რესტავრაცია შეეხო ციტადელის მესამე ტერასის ნაგებობებსაც. არ მოესწრო, მხოლოდ 65 მ-დე სიგრძის გვირაბის გამაგრება, რომლის გაწმენდა ჩვენი მხრივ დასრულებულია.

შორაპნის გათხრების ახალი ეტაპის (2016 წლიდან) სამუშოებიც თუმცა, ჯერ-ჯერობით, მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობებით წარმოებს, შეიძლებაითქვას, ისევ ძეგლის საფორტიფიკაციო სისტემის ცალკეული მონაკვეთების გამოვლენას, ზოგადი სტრატიგრაფიის დადგენასა და ძეგლის რესტარვაცია-კონსერვაციისა და ადაპტაციის მიზნით ხორციელდება. რაც შეეხება კულტურულ ფენებს, სამწუხაროდ, ციტადელის ფარგლებში ანტიკური ხანის ნაგებობათა კულტურული ფენების მხოლოდ ფრაგმენტებია გამოვლენილი; თხემის კლდოვანი ქანის კონფიგურაცია განსაზღვრავდა მის განაპირა ზოლში, ერთმანეთის მონაცვლეობით, სხვადასხვა დროის ზღუდის კედლების შენებას; ყოველი ახალი დროის კედელი ძველს ანგრევდა, ან შთანთქავდა; ეს განსაკუთრებით ეხება ანტიკური ხანის უდუღაბო წყობებს, რომელთა ნაშთები, გვიანელინისტური ხანისა, ე.წ პირონებიაინი ქვები, შუა ტერასის ფარგლებში, და სხვაგანაც, მაგ. მე-3 ტერასის ციტადელის კედლის თხრილშიც (აკად. ს. ყაუხჩშვილის ორგანიზებულ 1949წ გათხრების მონაწილის გ. ცქიტიშვილის ცნობა), იყო ნაპოვნი. შუა ტერასის N4 თხრილში გამოვლენილი კირქვის ფლეთილი ქვების ცალპირა წყობები კი (მათი მსგავსი, უკანასკნელ ხანებში, ნოქალაქევშიც არის დადასტურებული) ჩვენთან ადრეელინისტური ხანით თარიღდება.

შორაპნის გათხრების სიახლე „ქვედა ქალაქის“- მდ. ძირულასა და ყვირილას შესართავის კონცხის (თანამედროვე შორაპნის დასახლება), ცალკეული მონაკვეთების თხრილებში გამოვლენილი ანტიკური ნასახლარისა და ძველი ზღუდის ნაშთების დადასტურებაა. სტრუქტურულად იგი ბაზალტისა და რიყის ქვებით, თიხა-ალიზის ხსნარზე, ნაშენ წყობებს წარმოადგენს და ხანძრით არის განადგურებული. მისი ძიება, დიდ ფართობებზე, გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება (გამოიყენებოდა ფიზიკური ძიების რამდენიმე მეთოდი). კულტურულ ფენებსაც, თითქმის ყველგან, ხანძრის კვალი ეტყობა; ერთგან, იტაკის (?) დონეზე, გადამწვარი ბათქაშების ჰორიზონტალური გავრცელების დონეა დადასტურებულ; სწორედ მას უკავშირდება, უმეტესწილად, ასევე ხურვებით დეფორმირებული არქოლოგიური მასალები, ძირითადად კერამიკა,

რომელთა შორის სჭარბობს იმპორტული შვეულკიდიანი და ბორბლისებური ქუსლის მქონე ჯამები, უპირატესად მოყავისფრო კეცისა, შიგნიდან სითხის(ღვინო?) კვალით, ერთ შემთხვევაში ბერძნული (MA) გრაფიტოთი, არის შავლაკიანი(?) ჯამის ფრაგმენტიც; მომიჯნავე ფართობზე არეულ და ნაყარ ფენაში, ერთეულ იმპორტულ მასალებთან ერთად, შედარებით სქელკედლიან ჭურჭლებისა და სამშენებლო კერამიკის, იშვითად კი, იმპორტული ჯამების ფრაგმენტებია დადასტურებული. შემთხვევით არ ვამახვილებ ყურადღებას ამ დეტალებზე: ეს შორაპნისთვის დიდი სიახლეა, საკვირველი კია: ათული წლებია მოსახლეობა აქ აშენებს, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა და, თუ ერთი საუკუნის წინანდელ, შემთხვევით გამოვლენილ მონაცემებს (ადგ. მკვიდრ ნ. გველესიანის მიერ გაჭრილი თხრილი) არ ჩავთვლით, ინფორმაცია ძველი ნაშთების შესახებ თითქმის არ გვქონდა. მაშ!, ის გამოვიდა, რომ შორაპნის ამ, ანტიკური ხანის ნაქალაქარის ძიება, გამოვლენა და გადარჩენაც დღევანდელი არქეოლოგიის ვალია. ამიტომ ვართ ჩვენ დღეს (ისევ იძულებით!) შორაპანში, რომ კვლავ არ დაიკარგოს სიძველეების მონაცემები... არადა მაშინ, გასული საუკუნის 30-იან წლებში აღიშნულ ფართობზე ანტიკური კვადრებით ნაშენ ნაგებობათა ნაშთები იყო ნაპოვნი, რომელიც ახალი სახლის მშენებლობის დროს გამოიყენეს მასიურად. ამ ქვებში პირონებიანი ცალებიც ურევია და,ზოგადად მათი თარიღი I ს. შეიძლება განისაზღვროს)... მაგრამ ქართული წყაროების ფარნავაზის დროინდელი ნაშთებიც ხომ საძებნია.., ჩვენ გვაქვს ასეთი, მხოლოდ ციტადელის ფარგლებში... ამრიგად,ჩვენი ბოლო სეზონის კვლევის შედეგად სტრაბონის ცნობის ფრაგმენტს: „...ამ ქალაქს შეუძლია მთელი ქალაქი დაიტიოს“ (თ.ყაუხჩიშვილის თარგმანი), შეიძლება ითქვას, მატერიალური დასაბუთება გაუჩნდა.

● დმანისის, რუსთავისა და თბილისის გარდა, ქვემო ქართლის ქალაქებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სამშვილდეს. როგორია თქვენი აზრი სამშვილდესთან დაკავშირებით და რა უნდა ყოფილიყო ის მიზეზები, რის გამოც საუკუნეების განმავლობაში სამშვილდე ინარჩუნებდა ლიდერობას ამ რეგიონში?

სამშვილდე მნიშვნელოვან გზათა შესაყარზე ძევს, ეს მონაცემი გამოარჩევდა ქართულ ქალაქებსაც, ზოგადად, მაგრამ მათი სივრცითი მონაცემები ყოველთვის გამოკვეთილად არ ჩანს...ასევე ძნელია მათი ეკონომიკური რაიონის („ქვეყანა“,“ხორა“) გამოყოფა და განსაზღვრა...არათანაბარი და არაგეგმაზომიერი კვლევებითაც არის ეს განპირობებული...რუსთავში სცადეს მეტ-ნაკლები წარმატებით, თბილისში მისი განსაზღვრა შემთხვევით აღმოჩენებსა და მშენებლობებს დაუკავშირდა, თანაც არასრულფასოვნად (სხვა დროს ითქვას)...აქ კი, სამშვილდეში, გეოგრაფიული გარემო, მნიშვნელოვანი ფართობის მქონე კონცხი და, შესაბამისად, ქალაქური ეკონომიკური გარემოცვისთვის („ქვეყანა“, „ხორა“),მისი ფართოდ ათვისებისთვის საჭირო პირობებია...პოლიტიკური ფაქტორიც წინა პლანზეა, ქართული და უცხოური წყაროების მუდმივი ყურადღების ქვეშაა (რაც, ასევე, ინტესიური ცხოვრების მაუწყებელია...), მაგრამ ანტიკური ხანის სამშვილდისთვის მარტო ქართული წყაროების მონაცემებს ვერ დავეყრდნობით...მომავალში უფრო ვრცლად გიპასუხებთ ამ რთულ კითხვაზე, შეძლებისდაგვარად...მაშინ როცა ერთხელ კიდევ ვნახავ თქვენი უნივერსიტეტის გათხრებს...კარგია,რომ ძეგლს ახლა სახელმწიფოს მხრივ მეტი ყურადღება მიექცა და მისი რეაბილიტაციის გეგმებიც დაისახა...ამასაც გავეცნობი უკეთ...

● 2012 წლიდან საქართველოს უნივერსიტეტი სამშვილდეში არქეოლოგიურ და ინტერდისციპლინურ კვლევებს აწარმოებს. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ კვლევებისადმი, რას ურჩევდით და უსურვებდით თქვენს ახალგაზრდა კოლეგებს?

კარგა ხანია გასული მას შემდეგ, რაც მე სამშვილდე არქეოლოგიურ კომისიასთან ერთად ვნახე...შემდეგაც, არაერთხელ ვეცნობოდი სტუდენტთა საქმიანობასა და ახალ მონაპოვრებს. ახალგაზრდა პროფესორის თაოსნობით სამშვილდის ნაქალაქარზე თავდაპირველად აქ არსებული ქრისტიანული ტაძრები შეისწავლებოდა, მათი შემდგომში რესტავრაციის მიზნით. შემდეგ, უკვე ნაქალაქარის ტერიტორიაზე საცდელ გათხრებში, სტუდენტთა მონაწილეობა მეტი აქტივობით წარიმართა... და ასე, წლიდან წლამდე მეტი აქტივობა და წარმატებებისკენ სწრაფვა შეეტყობოდათ, როგორც ხელმძღვანელს, ასევე სტუდენტებს. ეს თანამშრომლობა, როგორც აღნიშნულია, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან (მის სათანადო ლაბორატორიებთან და, ზოგადად, სათანადო დარგის სპეციალისტებთან) ფართო თანამშრომლობით ხორციელდება. ამავე დროს გაიზარდა სტუდენტი-პრაქტიკანტების, პედაგოგ-მასწავლებლებისა, თვით უცხოელ მკვლევართა და, ვგონებ სტუდენტების მონაწილეობა საველე და თეორიული ხასიათის კვლევებში... გაჩნდა სათანადო საექსპედიციო ბაზა, რაც ასე აუცილებელია ნაყოფიერი საქმიანობისთვის (ყველაფერ ამაში, ცხადია, დიდი როლი მუძღვის უნივერსიტეტისა და შესაბამისი სამეცნიერო დანაყოფის ხელმძღვანელობას).

ინტერესს იწვევს პროგრამები, რომლებიც ძირითად არქეოლოგიურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული: ეს კვლევების ინტერდისციპლინარული ხასიათია. ამ მხრივ ინტერესს იწვევს , პროფ. ცირამუას ხელმძღვანელობითა და სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით, ელექტრონულ-სატელიტური მონაცემების ბაზის შექმნა, საკუთრივ ნაქალაქარისა და მისი შემოგარენის ძეგლების ტოპოგრაფიისთვის, ისევე როგორც, ასეთივე ბაზისა ქვეყნის მასშტაბით, ტურიზმის გაზრდილი ინტერესის გათვალისწინებით. ვიცი იმ კვლების შესახებ, რომლებიც გეოფიზიკის თანამშრომლებთან ერთად (პროფ. ოდილავაძე) განახორციელეთ ძველი კედლების ძიებისა და ზოგადი სტრატიგრაფიის განსაზღვრის მიზნით; ჩამოთვლილ ღონისძიებებს არაერთი პრეზენტაცია დაუკავშირდა. ინტერესს იწვევს ყოველწლიური საანგარიშო და, დროდადრო, სამეცნიერო სესიები...ისინი კარგი ორგანიზებით გამოირჩევიან...უნივერსიტეტის არქეოლოგიის ამ უჯრედის აქტივობით საერთაშორისო ღონისძიებებიც იგეგმება ხშირად, რასაც არ შეიძლებოდა კარგი შედეგები არ მოჰყოლოდა...ახლა უკვე ექსპედიციის საქმიანობაში უფრო აქტიურად არიან ჩართული უცხოელი მეცნიერები, გაღრმავდა საერთაშორისო ურთიერთობები, იგეგმება ღონისძიებები; აი ახლაც დიდი ინტერესით ველოდებით ირანის ერთ-ერთი უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორის ლექციას ირანის ახალ გათხრებზე.

● გთხოვთ, გვიამბოთ ერთ-ერთი ეპიზოდი თქვენი მრავალწლიანი კარიერიდან რომელიც დაკავშირებულია მნიშვნელოვან არქეოლოგიურ აღმოჩენასთან?

ასეთი აღმოჩენებით განებივრებული არ გახლავართ...ხომ ვიცით, რომ სენსაციური აღმოჩენები უფრო მდიდრულ სამარხებს უკავშირდება, ის კი, კოლხეთში თითქმის მხლოდ ვანშია ნაპოვნი, მე მქონდა სიამოვნება ვყოფილიყავი მოწმე ასეთი აღმოჩენებისა ჩემი ერთ-ერთი ხელმძღვანელისა და უფროსი მეგობრის პროფ. ოთ.

ლორთქფანიძის სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგაც, როცა მდიდრულ სამარხში ნაპოვნი წარჩინებული ქალის თავსარჭის ძირითად თემად ირმის სქემატური (ჭვირული ტექნოლოგიით შესრულებული) გამოსახულება, ანუ უფრო გვიანდელი, სარმატულად მიჩნეული, ჭვირული ბალთების თემისა და ტექნოლოგიების გენეტიკუტრი კავშირის შესაძლებლობა გაჩნდა.

არაერთი სასიამოვნო შეგრძნება გამჩენია პირადი გათხრების დროსაც (ერთს ნამდვილად ვერ დავასახელებ). ბოლოდან რომ დავიწყოთ: შორაპნის ანტიკური ხანის ნაქალაქარის მიკვლევა სივრცითი განფენილობის ფაქტიური დადასტურებაა. ამასთან კავშირშია ანტიკური ზღუდის, სავარაუდოდ, არქაული ფენა, რომელიც სტრუქტურულად ქვედა დონეზე სანახევრად დამუშვებული კირქვის მოზრდილი და მასზე დაფუძნებული რიყის ქვების წყობებით არის წარმოდგენილი; არაპირდაპირი მონაცემებით მათი ნაშთები მდ. ყვირილასა და ძირულას შესართავთან არსებული კონცხის მონაკვეთშიც იყო ნაპოვნი (პასუხის ამ ნაწილის ემოციურობას გაზრდიდა თუ ქართლის ცხოვრების ლეონტისეული ცნობილ ფრაზას შეგახსენებდით: „ამან ფარნავაზ აღაშენა შესართავსა შინა ციხე და ჰყო საერისთაოდ“.

უფრო ადრე, ვარდციხის ანტიკური სამოსახლოს ცენტრის ნაგებობების (ისევ კირქვის, კვადრული, ქვედა რიგში, და რიყის ქვის ანტიკური წყობები) პოვნა იყო. შემდეგ სოფ. ქვედა საზანოს ბორცვ „კვინწიხზე“, ანტიკური, კოლხეთის სინამდვილეში უძველესი ზღუდის (14C - ძვ.წ. VI ს. შუა ხანები) ზღუდის მიგნება იყო და სხვ. (იმედია მოკრძლება არ დავარღვიე).

● მრავალწლიანი საუნივერსიტეტო - საგანმანათლებლო საქმიანობის შემდეგ, როგორ შეაფასებდით თანამედროვე ქართულ უნივერსიტეტებში არქეოლოგიის სწავლების დონეს და ზოგადად, ქვეყანაში არქეოლოგიური მემკვიდრეობის მდგომარეობასა და პერსპექტივებს?

ზოგადად, რა თქმა უნდა თანამედროვე ქართულ უნივესიტეტებში არქეოლოგიის სწავლების დონე ამაღლებულია, თუმცა ყველა მათგანის ამგვარ საქმიანობას არ ვიცნობ; ეს უკვე ხარვეზია, და არა მარტო ჩემი: იშვიათად მესმის და ვხედავ ამ დარგის სტუდენტთა ერთობლი ღონისძიებებს: საკონფერენციოს თუ ერთობლივ პუბლიკაციებს. იქ სადაც ეს იგეგმება კიდეც, დასწრება არ ჩანს სათანადო. ამ საყვედურს, პირველ რიგში, ჩემი უნივერსიტეტის მიმართაც ვიტყოდი. კარგ ტრადიციად იქცა სტუდენტური პრაქტიკით დაგეგმილი გათხრები, მაგრამ გათხრების მონაცემები, როგორც ვიცი და, ზოგადად წარმომიდგენია, სათანადოდ არ გამოიყენება სწავლების პროცესში, ნაკლებად სარგებლობს სტუდენტთა დიდი ნაწილი, როგორც შიდა საუნივერსიტეტო ახალგაზრდულ კონფერენციებისთვის მზადების, ისე უნივერსიტეტთაშორისი ღონისძიებების მოწყობის დროს. მაინც, გამოირჩევიან ხოლმე ცალკეული ბეჯითი და ინიციატივიანი სტუდენტები, რომლებიც გათხრებშიც, მათ შორის უცხოური ექსპედიციებისა,მონაწილეობენ, უცხო ენებსაც ბეჯითად შეისწავლიან, მოხსენებებსაც ამზადებენ; სახელმწიფო მუზეუმში სტაჟიორებად ეწყობიან, უფრო იშვიათად ასპირანტურა-დოქტორანტურაშიც...ბოლო ორი წელია სტუდენტთა მონაწილეობას საექსპედიციო საქმიანობაში ერთგვარ სტიმულს აძლევს ძეგლთა დაცვის სააგენტოს ხაზით მომუშვე ექსპედიციებისთვის დაწესებული მოთხოვნა: მინიმუმ 5 სტუდენტის სავალდებულო მონაწილეობის შესახებ თითოეულ ექსპედიციაში. გასულ წელს შორაპნის ექსპედიციაში სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად,

სასულიერო აკადემიის 4 ჩემი სტუდენტიც მონაწილებდა და თავი სასარგებლო საქმიანობითაც გამოიჩინეს. ცნობილია თქვენი, ივ. ჯავახიშვილისა და ილიაუნის, აგრეთვე, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების აქტივობის შესახებ საველე საქმიანობასა და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზებაში. ცხადია ყველაფერი ვერ ვთქვი, შესაძლოა ინფორმაციის ნაკლებობის გამოც...

ინტერვიუ მოამზადა
ლევან კვახაძემ